


K54.211  
2





ДИМИТРИИ БЕНАШВИЛИ, ШАЛВА ШАВГУЛИДЗЕ  
ФРИДОН НАРОУШВИЛИ, ПЛАТОН КИКОДЗЕ

# БОРЬБА ЗА КЛАССИКОВ

С ПРЕДИСЛОВИЕМ Ф. МАХАРАДЗЕ

1 9 8 1

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИИ  
ТИФЛИС

~~+ დიხითრი გენაზვილი, უალა უავგულის, ცემი~~  
~~+ ფრიდონ ნარიშვალი, პლატონ გირემა~~

~~16.9.2~~

## ბრძოლა

### კრასიპოსებისათვის

ფილიპე მახარაძის ჭინასიტავაობით



1931

ს ა ხ ე მ ე ა ზ ი 8 1 8 0 8 9 8 0 8 3 8 1  
0 7 0 3 0 6 0

XXIII (c-118) 3. (1A x 14). 28



88


სპეც-2000  
შემოწმებულია

---

სახელგამის 1-ლი სტამბა.  
პლეხანოვის პროსპ. № 91.  
მთავარლიტი № 1746. შეკვე-  
თის № 3117. ტირ. 3.000.

---

K 54 241  
2



## მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ვერაა მაინცდა-  
მაინც დამაკმაყოფილებელი. მე, ეს-ეს არის გავეცანი,  
სხვათა შორის, იხალვაზრდა პროლეტარულ ივრორების  
წერილებს, რომლებიც მოთავსებულია კრებულში სახელ-  
წოდებით: „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. ფაქტები, რო-  
მლებიც გამომეღავნებულია დასახელებულ წერილებში  
ერთ და იმავე დროს აღმაშფოთებელიცაა და სამარცხვი-  
ნოც. სხვანაირად შეფასება ამ ფაქტების შეუძლებელია.  
როგორ ვნებავთ შეურიგდეთ, მაგ., იმ გარემოებას, რომ  
ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა თითქმის  
სავსებით ჩაბარებული აქვთ მუშათა კლასისატების სრუ-  
ლიად უცხო ელემენტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა,  
მტრულად არიან განწყობილი როგორც საბჭოთა ხელის-  
უფლების მიმართ, ისე მით უფრო უცნებელი გადასახლიშის მიმართაც.  
საკმარისია გადაიკითხოთ ჸევრი, დასახელებული წიგნის  
9-10 გვერდი, რომ „რამდენიმედ“. მათქმა წარმოიდგინოთ  
ის სავალალო მდგომარეობრივ, რომელშიაც იმყოფება  
დღეს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა და  
კრიტიკა. აშკარაა, რომ ისინი, ვინც სათავეში უდგანან  
დღეს ამ საქმეს, იმათ არ შეუძლიათ არა თუ მარქსისტუ-  
ლიად მიუდგენ და გააშუქონ ქართული ლიტერატურის  
კლასიკოსები, არამედ იმათ არ ძალუდ, დაიცვან მცირე-

ოდენი ობიექტიობაც კი ისტორიულ სინამდვილის მართ, ე. ი. რამდენიმედ მაინც მიუდგომლად ფინმარტონი და გააშუქონ ისტორიული ფაქტები. ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენ პოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულშიაც გვეძრძოდენ, და როგორც ჩანს, ახლაც გვებრძვიან, იმ განსხვავებით, რომ წინედ ისინი გვიბრძოდენ ნაციონალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და მენშევიკების პარტიების სახელით, ახლა კი იმავე როლს წარმატებით ასრულებენ გარეგნულად თითქოს როგორც ყოველივე პარტიის გარეშე მდგომნი. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე ფაქტი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეფის რეეიმის დროს ზოგიერთ ქართველმა პუბლიცისტებმა თავადაზნაურული წრიდან და შემდეგ სოციალ-ფედერალისტების პარტიაშ (გ. მაიაშვილი, არ. ჯორჯაძე და სხვები) შეთხხეს ზღაპარი, თითქოს ისინი, ვინც ჩვენში, საქართველოში, პირველად განაცხადეს ენერგიული პროტესტი და აღიმაღლეს სმა ბატონიშვილი მონობის წინააღმდეგ, იყვნენ მესამოცე წლების მოღვაწენი, ევრედ წოდებული — თერგდალეჭლები საერთოდ და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე. რათქმა უნდა, აქ ჭეშმარიტების ნამცეციც არ იყო. მართალი იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვაეგბატონები, ყველანი წარჩინებული წოდების (ე. ი. თავადაზნაურობის) წარმომადგენლები, ვაცნობილი იყვნენ იმ კამათთან, რომელსაც ადგილი ქონდა იმ დროს (მესამოცე წლები) რუსეთში ბატონიშვილის გაუქმების ირგვლივ. შეიძლება მესამოცე წლების მოღვაწეები რამოდენიმედ იზიარებდენ რუსეთის განმანათლებლების (ჩერნიშვესკი, დობროლიუბოვი, ნე-

კრასოვი და სხვ.) ზოგიერთ შეხედულებებს, მაგრამ რომ  
იმათ საჯაროდ არასოდეს არ გამოუცხადებიათ რაიმე  
პროტესტი ბატონიუმობის წინააღმდეგ, სანამ ეს უკანასკნე-  
ლი ჯერ კიდევ არსებობდა, ეს ურუვი ფაქტია. ყოველ  
შემთხვევაში არ არსებობს ისეთი დოკუმენტები, რომე-  
ლიც ამის წინააღმდეგს ამტკიცებდეს. და სხვათერ შეუ-  
ძლებელიც იყო. თავადები და მემამულები, რომელთა  
არსებობის ერთად ერთ და უმთავრეს წყაროს დამონიტუ-  
ლი გლეხების ექსპლოატაცია შეადგენდა, შეიძლება ბა-  
ტონიუმურ ურთიერთობათა ზოგიერთ უხეშ ფაქტების წი-  
ნააღმდეგნი ყოფილიყვენ, მაგრამ ისინი თავისი ნებით  
მაინც არ მოსჭრიდენ იმ ტოტს, რომელზედაც თითონ ის-  
ხდენ. ეს ვაებატონები ხანდისხან არ ერიდებოდენ ლიბერა-  
ლურ ფრაზების ხმარებას, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ყოვ-  
ლად უაზრო ლაყბობა. ასეთ ლიბერალ-თავადებს დ. ჭონ-  
ქაძემ ძალიან მოსწრებულად „კნიაზ ლიბერალები“  
უწოდა.

{ რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, ყველა მისი ნაწერების  
და ყველა იმ დოკუმენტების და მასალების მიხედვით,  
რაც მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება, მუდამეამ ტი-  
პიური თავადი და მემამულე იყო თავიდანვე და ბოლო-  
მდეც ასეთივე დარჩა.

შეიძლება ჩვენ შეგვეკითხონ: რას იტყვით ი. ჭავჭავა-  
ძის პოემაზე: „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრები-  
დანო“. დიახ, აქ არის ერთგვარი პროტესტი ბატონიუმობის  
წინააღმდეგ. მაგრამ მერე რა? ჯერ ერთი: როგორც ყვე-  
ლამ იცის, ეს პოემა გამოქვეყნებული იქნა იმ დროს, როცა  
ბატონიუმობა უკვე დიდი ხნიდან გაუქმებული იყო და, მა-  
შასადამე, მისი ავტორი უკანა რიცხვით უცხადებდა პრო-

ტესტს ბატონყმობას, რომელიც უკვე აღარ პრესენტდა. მეორე: ხსენებული პოემის ავტორი დიდი ზნის განმავლობაში თავის მაგიდის უჯრაში /ინახავდა მას, რაც იმას ამტკიცებს, რომ ავტორს ეშინოდა მისი გამოქვეყნების — რაიმე უსიამოვნების მოლოდინში, და გამოაქვეყნა იმ დროს, როცა ასეთ შიშს უკვე არავითარი საფუძველი აღარ ქონდა. ეს იყო და ეს: ი. ჭავჭავაძეს თავისი საქმარისად ხანგრძლივი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ერთხელაც არ მოუკია ჩვენთვის საბუთი იმისთვის, რომ იგი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ან სიტყვით, ან კალმით. პირიქით, ამის საწინააღმდევო მასალა მოიპოვა, რამდენიც გნებავთ, ისევე. როგორც აკაკი წერეთლის, ორბელიანების და იმ დროის სხვა მრავალ თავადაზნაურულ მწერლების შესახებ.

თქვენ იკითხავთ: მაშ, თუ ასეა, რისთვის შეიქნა საჭირო ამ ზღაპრის შექმნა, ამ სიცრუის გამოვლება? ეს სრულიად ადვილი გასაგებია. დადგა ისეთი დრო (მეცხრამეტე საუკუნის ბოლო და მეოცე საუკუნის დასაწყისი), როცა ეს საჭირო შეიქნა. საქმე იმაშია, რომ ამ დროს მესამოცე წლების მოღვაწეობის ავტორიტეტი ქართველ ხალხის მშრომელ მასებში მნიშვნელოვნად შეირყა. ახლა უკვე აღარ იყო საქმარისი ლაპარაკი ისეთ განყენებულ რამეებზე, როგორც, მაგ., „კაცურ კაცობაზე“, ან „აღა-მიანობაზე“ და სხვა ასეთებზე. ავტორიტეტის მოსაპოებლად საჭირო იყო რაიმე ნამდვილი დამსახურება წარსულ მოღვაწეობაში და არ ამ ნიადაგზე რეაქციონურ მწერლების მომხრეებმა შეთხზეს თერვდალეულებზე საერთოდ და ი. ჭავჭავაძეზე განსაკუთრებით ის ზღაპარი, რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი. მაგრამ ეს არ კმაროდა:

რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ეს ფაქტი, ამ ვაუ-  
ბატონებს ამ მიზნით უნდოდათ დაემაღად მკითხველები,  
პისათვის ის პირი, ვინც ჩვენში მართლაც პირველად აღი-  
მალლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ, ვინც პირველად  
საჯაროდ, მწერლობაში უშიშრად და გაბედულად დაგმო  
ბატონყმობა და გაილაშქრა ამ სამარცხეინო წესწყობი-  
ლების წინააღმდეგ. დღეს ყველამ იცის, რომ ეს იყო და-  
ნიელ კონქაძე. ეს შეურყევი ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ეს  
ფაქტია. საკვირველია ის გარემოება, რომ ის ავტორები,  
რომლებიც სრულიად უსამართლოდ და უსაბუთოდ  
ი. ჭავჭავაძეს აწერენ ამ დიდ დამსახურებას, ერთი სიტყვი-  
თაც არ იხსენიებენ დ. ჭონქაძეს. გამოდის, რომ არც  
დ. ჭონქაძეს და არც მის „სურამის ციხეს“ თითქო არავითა-  
რი ქავშირი არ ქონდა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძო-  
ლასთან. უნდა ითვეას, რომ ასეთი სიჩუმის ტაქტიკა ჭონ-  
ქაძის მიმართ თავიდან იქნა მიღებული ქართულ ლიტე-  
რატურაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ხულ  
ერთთავად თავადაზნაურული მწერლების განკარგულე-  
ბაში იმყოფებოდა. ერთ დროს თითქმის ყველა ქართველ  
მწერლებს პირი ქონდათ შეკრული ჭონქაძის მიმართ, რომ  
იგი სრულებით არ ეხსენებიათ, რადგანაც ჭონქაძის სახე-  
ლი მათ ცუდ გუნებაშე აყენებდა.

როგორც იცით, ეს სიჩუმი უკვე დიდი ხანია დაირღვა.  
ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ წლებშივე დ. ჭონ-  
ქაძის ლვაწლი და დამსახურება ქართულ ლიტერატუ-  
რის ცნობილი და სათანადოთ დაფასებული იქნა. ისიც  
ცნობილია, რომ დ. ჭონქაძის სახელის აღდგენა ქართულ  
მწერლობაში და მისი ლვაწლის დაფასება საესებით მხო-  
ლოდ მარქსისტების ხაქმე იყო. ასე რომ ეს საკითხი ჩვენ-

თვის, მარქსისტებისათვის, უკვე თითქმის სამი ათეული  
წლების უკან გადაჭრილი იყო. მიუხედავად ამისა, დაძუნებულ  
და ყალბ შეხედულებას თერგდალეულების და  
იმათ რიცხვში ი. ჭავჭავაძის შესახებ „ახლაც ყოლია მო-  
მხრეები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ  
ზოგიერთები მიღიან კიდევ უფრო შორს. აი, მაგ., კ. ჭაბა-  
ნელის აზრით, ილია ჭავჭავაძე თურმე ყოფილა „ქართულ  
ლიტერატურაში ჭეშმარიტი ღალადება. თავისუფლებისა,  
თანასწორობისა, ადამიანობისა, შრომის პატივისცემისა,  
რევოლიუციისა და ხოციალიზმისა“. (ციტატა ამოლებუ-  
ლია კრებულიდან „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, გვ.  
31). მე ვერ გამიგია, რას უნდა მიეწეროს ასეთი ყოვლად  
უსაფუძვლო მტკიცება: არცოდნას, უვიცობას თუ შეგნე-  
ბულ სიცრუეს?

აბა ერთი წუთით შეეცადეთ წარმოიდგინოთ ილია  
ჭავჭავაძე „რევოლიუციონერი“ და „ხოციალისტი“. ჭეშ-  
მარიტათ, როგორც ამბობენ: ქალალდი უველავერს აიტან-  
სო! აი თურმე რა სიყალბეს უნერგავენ თავში ეს ვაჟბა-  
ტონები ჩვენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას! მაგრამ ეს  
კიდევ არაფერი: ვახტანგ კოტეტიშვილი, ალბად გათამა-  
მებული კაპანელის მაგალითით, მიღის იქამდის, რომ აცხა-  
დებს: „ჩვენი თერგდალეულები ხოციალისტებიც იუვნე-  
ნო“. ამითაც არ კმაყოფილდება ეს მოქალაქე; იგი თურ-  
მე სწერს თავის „ისტორიაში“ შემდეგს: „პატონუმობის  
წინააღმდეგ თქმა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძეს  
ეკუთვნისონ“. (ციტატა ამოლებულია იმავე კრებულიდან,  
გვ. 32). ასე გაბიაბრუება ისტორიის მეჯერ არ მინახავს.  
ესაა დაცინვა, და არა ისტორია. და ათასჯერ მართალნი  
არიან ამხანაგები, როცა ისინი აყენებენ საკითხს ასე: „ეის

ხელშია კლასიკოსებით“? მე ამას ვუმატებ კადეც ასეთ საკითხს: ვის ხელშია მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის აღზრდა? ვის ხელშია ნამდვილი სოციალისტური კადრების მომზადების საქმე?

მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალო შეცდომასთან არა გვაძვს საქმე. აქ ჩვენ ალბად საქმე გვაძვს უფრო სერიოზულ მოვლენასთან. რა თქმა უნდა, ეს ვაჟბატონები ამახინჯებენ სინამდვილეს. ისინი რყვნიან ისტორიას. ეს აშკარაა, რადგანაც ვიცის ან სულელის მეტი აბა ვინ დაიჯერებს თერგდალეულების რევოლიუციონერობას და სოციალისტობას! რა თქმა უნდა ასეთი სისულელე არ სწამო იმათაც, ვინც ამაზე სწერენ; ეს ვაჟბატონები არც ისე სულელები არიან. მაშ, რაშია საქმე? რის-თვის გათავსედდენ ისე ეს ვაჟბატონები, რომ ასეთ სისულელეს ჯერ სთხავენ და შემდეგ უსირცხვილოდ აქვეყნებენ? შეიძლება ვისმეს გონია, რომ ამ ვაჟბატონებს რევოლიუცია და სოციალიზმი უყვართ, და იმიტომ გამოყავთ რევოლიუციონერებად და სოციალისტებად თერგდალეულები და ჭავჭავაძეები? არა, იმათ მთელი თავისი არსებით სძულო როგორც რევოლიუცია, ისე სოციალიზმი. და თუ იმათ ილია ჭავჭავაძე და ძმანი მისნი გამოყავთ რევოლიუციონერებათ და სოციალისტებად, ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ რევოლიუციის და სოციალიზმის სახელი დასცენ მკითხველის თვალში. და მართლაც რა ფასი, რა მნიშვნელობა უნდა ექნეს რევოლიუციას და სოციალიზმს, როდესაც როგორც ერთის, ისე მეორის მებაირანტრებად გამოდიან ისეთი რეაქციონური და მონარქისტული მწერლები, როგორც იყვნენ ჭავჭავაძეები და ძმანი მათნი?

ით თურმე ვის ჩატყრია საძირკველი საქართველოში!!  
სოციალიზმისათვის! აი როგორ იწერება ისტორია! კინ კა  
მოიგონა მარქსი, ენგელსი, ლენინი! ვინ მოიგონა მთელ  
თაობათა თავგანწირული ბრძოლა, საპყრობდლები, კა-  
ტორლა, სახიობელები! ყოველივე ეს თურმე შეთხხული  
ამბავი ყოფილა. რევოლიუციას თურმე ამზადებდენ რეაქ-  
ციონერები და მონარქისტული მწერლები, სოციალიზმი-  
სათვისაც თურმე ისინი სწირავდენ თავს!

არა, ეს არ გავივათ, პატივცემულო მოქალაქენო, ქო-  
ტეტიშვილებო, კაპანელებო და სხვანო! ყველაფერს თა-  
ვისი საზღვარი აქვს. ამას ბოლო უნდა მოელოს და ამის  
ნიშნები უკვე არის. ერთ ამ ნიშანთაგანი არის თუნდაც  
ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლების პირველი გაბე-  
დული ნაბიჯი, რომელიც იმათ გადადგეს ზევის დასახე-  
ლებული კრებულის გამოცემით. მართალია ამ ამხანაგე-  
ბის ჯგუფი ჯერ მეტად მცირეა, სულ ოთხი კაცისაგან  
შესდგება: (დ. ბენაშვილი, შ. შავგულიძე, ფრ. ნაროუ-  
შვილი, პლ. ქიქოძე), მაგრამ ეს ჯგუფი ჩქარა გაიზრდება.  
ყოველ შემთხვევაში ხსენებული კრებულის გამოცემა  
უთუოდ დიდ გარდატეხას ნიშნავს თანამედროვე ქართულ  
მწერლობაში.

მართალია, სხვათა შორის ერთი დიდი სიძნელე დგას  
იმათ წინაშე. ამაზე გვითითებენ თვით კრებულის ახალ-  
გაზრდა ავტორები. საქმე იმაშია, რომ ძველი რეაქციო-  
ნური და კონტრრევოლუციონური მწერლების გამო-  
ძახილს ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ შემთხვევაში თვით კომ-  
პარტიის შიგნითაც. აი რას ამბობენ ამის შესახებ ჩვენი  
ავტორები: „ასეთი გამოძახილის კლასიკურ ნიმუშს წა-  
რმოადგენს სიმონ ხუნდაძე, რომლის მთელი რიგი ისტო-

რიულ-ლიტერატურული შრომები წარმოადგენენ ამა-  
ნამედროვე პირობებში იმ პროგრამის გამოძახილს ისტო-  
რიისა და ლიტერატურის საკითხებში, რომელიც წამოაყე-  
ნეს ნაციონალისტ-„ხალხოსნებმა“ და ბოლოს სოციალ-  
ფედერალისტებმა. ამგვარი მოვლენა თავის-თავად სამწუ-  
ხაროა, რადგანაც ეს ხდება კომუნისტური პარტიის შიგ-  
ნიდან და მკითხველ საზოგადოებაში ანტიმარქისტული  
და ანტიბოლშევიკური აზრი მარქსიზმ-ლენინიზმათ საღ-  
დება“.

„სიმონ ხუნდაძე — განაგრძობენ ჩვენი ავტორები —  
პირველ რიგში მკაცრ პროტესტს აცხადებს იმ „უსამარ-  
თლობის“ წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ჩვენში ჭავჭა-  
ვაძე და საერთოდ ოერგდალეულები არ იყენენ ცნო-  
ბილნი, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი  
ჯგუფი: „ჩვენში, ამბობს იგი, გავრცელებული არის ყალ-  
ბი შეხედულება, თითქოს ჩვენი სამოციანი წლების ინტე-  
ლიგენცია არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონ-  
ყმური წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონყმო-  
ბის მოსპობას არ მოხოვდენ, არამედ შეკეთებას და სხვა.  
უნდა ვსთქვა, რომ ასეთი შეხედულება გაუგებრობაზე  
არის აღმოცენებული; იგი საკითხების უკოდინარობის  
ნაყოფი უფრო არის, ვინემ ობიექტიური მსჯელობაო“  
და შემდეგ ისინი ეკითხებიან ს. ხუნდაძეს:

„რომელ „ყალბ“ შეხედულებაზე ლაპარაკობს ხუნ-  
დაძე? ვის აზრს უწოდებს ავტორი სიყალბეს, გაუგებრო-  
ბისა და უკოდინარობის ნაყოფს? ვისზე მიაქვს იერიშები?  
ჩვენთვის ნათელია რომ ეს რისხეა მიმართულია მარქსი-  
ზმის და ბოლშევიკების წინააღმდეგ! ასეთი იერიში მარ-



ქსისტების მისამართით გამოქმაურებაა ჯორჯიშვილის „შეტყოფა ვებისა“. (იხ. დასახელებული კრებული, გვ. 81-82).

ეს გარემოება, თავის თავად იგულისხმება, მეტად სამწუხაროა. როგორც დავინახეთ ზევით, მარქსისტებმა უკვე სამი ათეული წლების წინედ გამოამეღავნეს ის სიყალბე, რომელსაც მაშინ ავტოლებდა ქართულ მწერლობაში ფეოდალური სულით გაუდენთილი რეაქციონური ინტელიგენცია, რაც თავადაზნაურობის და ბურჯუაზის ინტერესების აშკარად დაცეის მიზნით იყო გამოწვეული და რაც იმათთვის საჭირო იყო ნამდვილ რევოლუციონერების და ნამდვილ სოციალისტების წინააღმდეგ, მხოლოდ ერთის განსხვავებით: წინედ თუ თერგდალეულები და იმათ რიცხვში ი. ჭავჭავაძეც გამოყავდათ ლიბერალებად და დემოკრატებად, ახლა ეს უკანასკნელები გამოყავთ უკვე „ხოციალისტებადაც“.

ამ როგორ ახასიათებს ს. ხუნდაძე ილია ჭავჭავაძეს:

„ძველი სოციალური წყობილების (ბატონყმობის) წინააღმდეგ ბრძოლაში, — სწერს იგი, — მეთაურობა უცილოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ საზოგადოებასთ“. მაგრამ ამას არ ჯერდება ს. ხუნდაძე. გამარჯვების წყურვილით გატაცებული საჯაროთ ამტკიცებს: „ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ჩვენ ეცვდებით სოციალისტური აზროვნების ელემენტებსთ“. (იხ. დასახელებული კრებული, გვ. 83).

რა არის ეს? დაცინვა და გამასხარავება ყველაფრის და მეტი არაფერი.

საჭიროა შევვეკითხოთ სიმონ ხუნდაძეს პირველ ყოვლისა აი რის შესახებ: სახელდობრ — ის „ყალბ შეხედულებაზე“ ლაპარაკობს იგი, როცა იცავს მესამოცე წლების

მოლიბერალო-ნაციონალისტურ ინტელიგენციას: და ასე  
ხელაპყრობით იჩოქებს მის წინაშე? აშკარაა, მას მხედ-  
ველობაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შრომა  
„დ. ჭონქაძე და მისი დრო“, რომელიც დაიწერა 1903 წ.  
და გამოქვეყნდა 1904 წლის დასაწყისში. მაგრამ მას არ  
ყოფნის გამბედაობა და სახელებია ჩემი შრომა. ყველამ  
იცის, რომ ის შეხედულებები, რომლებიც მე იქ მაქვს გა-  
მოთქმული, დასაბუთებული იყო დოკუმენტებით და არა  
ზეპირად. ს. ხუნდაძეს ჯერ უნდა დაერლვია ის საბუთები,  
რომლებიც დასახელებულია იქ და მხოლოდ შემდეგ: ამისა  
გამოეყვანა თავისი დასკვნა.. მაგრამ ეს მას არ შეეძლო,  
რადგანაც ამისათვის საჭირო იყო ჩემ შრომაში დასახე-  
ლებულ საბუთების და ფაქტების უარყოფა. ეს კი არც  
ისე ადვილი საჭმა. სხვათა შორის, ცნობისათვის ყურად-  
ღების ლირსია ის ფაქტიც, რომ არც ერთ მაშინდელ  
გაზეოთს, როცა ზევით დასახელებული ჩემი წიგნი გამო-  
ქვეყნდა, არ უცდია იქ დასახელებულ ფაქტების უარყოფა  
და კიდევ მეტი: არც ერთ იმათვანს არ უცდია იმ შეხე-  
დულებათა უარყოფა, რომლებიც იქ იყო გატარებული.  
ვანა სასიამოვნო იყო რეაქციონურ თავადაზნაურულ და  
ფედერალისტურ ინტელიგენციისათვის ყოველივე ის, რა-  
საც მე იქ ვამბობდი? ვფიქრობ, რომ არა. მაგრამ რალას  
იზამდენ.

ჩვენმა მოწინააღმდეგებმა, ბურუჟაზიულ-თავადაზ-  
ნაურულ ფედერალისტურ ინტელიგენციამ, მაშინ ხმა  
გაკმინდეს, კამათს დუმილი ამჯობინეს. და მოხდა საკვირ-  
ველი ამბავი: თითქო ახლა ახლდება მარქსისტების კრი-  
ტიკა ამ საკითხში, თითქო ახლა იწყება მაშინდელი მარ-  
ქსისტული კრიტიკის რევიზია. და ეს ხდება, ასე წარმო-



იდგინეთ, მარქსიზმის და ლენინიზმის დროშის ჭეკში. ეს ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ. ეს ძირშივე უნდა იქნას აღმოფხვრილი. მსგავს მოვლენას რუსეთის ლიტერატურაშიაც ქონდა ადგილი. მოიგონეთ რუბინი და ძმანი მათნი, რომლებიც ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ შეხედულებებს მარქსიზმის სახელით ასაღებდენ. ს. ხუნდაძე ჩვენში ცდილობს გააცოცხლოს რეაქციონური და კონტრარევოლუციონური შეხედულებები გადაგვარებულ, ე. ი. განაციონალისტებულ „ნაროდნიკების“ და სოც.-ფედერალისტებისა. კომუნისტი ს. ხუნდაძე, სამწუხაროდ, მოქალა ერთის მხრივ არ. ჯორჯაძის და გ. მაიაშვილის და მეორე მხრივ — კატეტიშვილის და კაპანელის გავლენის ქვეშ. ეს არაფრად ვარგა, მით უმეტეს იმისათვის, ვინც თავის თავს მარქსისტს და ლენინელს უწიოდებს და ბოლშევიკობას ჩემულობს. არა, ეს არ ვარგა. ს. ხუნდაძემ როგორც მარქსისტმა აქ გამოიჩინა არა მარტო სრული უტაქტობა, არამედ სრული უპრინციპობაც, სრული შეუთავსებლობა მარქსიზმისა და ლენინიზმისა. ეს პატარა შეცდომა არაა. მაგრამ იშვიათია ისეთი შეცდომა, რომლის გამოსწორება არ შეიძლებოდეს. ს. ხუნდაძეს შეუძლია და ვალდებულიცაა თავისი შეცდომები თითონვე გამოისწოროს. ჩემი წერილის მიზანიც სწორედ ესაა.

ეს, ამხ. ხუნდაძეს შესახებ. სამწუხაროდ, ამ მხრით ს. ხუნდაძე მარტო არ არის. მასთან ერთად ი. ჭავჭავაძეზე და საერთოდ მესამოცე წლების მწერლებზე ყალბი შეხედულების გავრცელებაში წილი მიუძღვის აგრეთვე ამხ. ბენიტო ბუაჩიძესაც. ამხ. ბ. ბუაჩიძეც კომუნისტია და მასთან პროლეტარული მწერლობის ერთერთი ხელმძღვანელი. მას ამიტომ უფრო მეტი მოქონვება; მეტი ცოდნა,

როგორც აწმყოსი, ისე წარსულის, რამდენადაც იგი ამას ეხება. ზოგიერთ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვების და მის მიერვე დამუშავებულ რეზოლიუციების (მერე რამდენ ვრცელი და ხშირ-ხშირია ეს რეზოლიუციები!) მიხედვით ბ. ბუაჩიძის მემარჯვენობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. პირიქით, ამხ. ბუაჩიძე ქართული მწერლობის საკითხებში მეტ წილად უფრო მემარჯვენე ხასიათის გადახრებს იჩენდა, უინემ მემარჯვენე ხასიათისას. ამიტომ მით უფრო გასაკვირალია მისი მიღვომა მესამოცე წლების მწერლობისადმი ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. ეს მიღვომა მართლაც რომ მემარჯვენე — ოპორტუნისტულია და არსებითად გამოსთვამს ფედერალისტების შეხედულებას და არა მარქსისტულ შეხედულებას.

ამას წინედ სრულიად შემთხვევით მე წავაწყდი ამხ. ბ. ბუაჩიძის ნაწერების ზოგიერთ ადგილებს, სადაც იგი იძლევა ი. ჭავჭავაძის და მისი ჯგუფის მწერლების დახასიათებას. მე საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ ამხ. ბუაჩიძის ნაწერებიდან რამდენიმე ამონაწერი იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც ჩვენ ახლა გვაინტერესებს.

ამხ. ბ. ბუაჩიძის ერთ-ერთ ნაწერში, რომელიც გამოქვენებული იყო 1927 წ., ჩვენ შევამჩნიეთ ორი ადგილი, სადაც შემცდარი და მარქსისტისათვის ყოვლად მიუღებელი შეხედულებაა გამოთქმული. ამ წერილის ერთ ადგილას ჩვენ ვკითხულობთ: „მესამოცე წლების ქართული ლიტერატურის ძლიერი ნაკადი ხელს უწყობდა და იძრდოდა (!?) ბატონიშვილის წინააღმდეგო“ (იხ. „ლიტერატურა და თანამედროვეობა“. გამ. 1927 წ. გვ. 14).

მკითხველი მიხედება, რომ ზევით მოყვანილ სიტყვებში, თუმცა ბუნდოვნად (გამოდის მაგალ. თითქო ნაკადი



თავის თავად იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ) გამო-  
ფქმულია სრულიად არა მარქსისტული შეფასება შესამო-  
ც წლების ლიტერატურისა. ჯერ ერთი ის, რომ აქ აღე-  
ბულია მესამოც წლების მთელი ქართული ლიტერატურა;  
გამოდის, რომ მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში  
სრულიად არავითარი განსხვავება არ იყო, არ იყო სრუ-  
ლებით არავითარი დაყოფა. იყო თითქო ერთი მთლიანი  
ლიტერატურა, რომელიც იბრძოდა ბატონყმობის წინა-  
აღმდეგ. რა თქმა უნდა, ასე არ იყო სინამდვილეში. ამხ.  
ბუაჩიძის მტკიცება სრულიად განყენებული მსჯელობაა:  
და სინამდვილის დამახინჯება. შემდეგ იმავე წერილში  
ავტორი ამბობს:

„ეგნატე ნინოშვილმა ღირსეულად შესძლო იღიას  
(ე. ი. ი. ჭავჭავაძის) მემკვდრეობა და ცხოვრების მსვლე-  
ლობასთან ერთად შესაბამისი ახალი კუთხით (ვერაფერი  
ქართულია ფ. მ.) და თვალსაზრისით, გამწვავებულ სო-  
ციალურ ფონზე გაშალა თავისი მხატვრული მზერის სი-  
ძლიერეო“ (იქვე, გვ. 63. ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.  
ფ. მანარაძე).

ზევით მოყვანილი სიტყვები ამტკიცებენ, ჩვენი აზრით,  
ერთ რამეს: ამხ. ბუაჩიძე არ იცნობს იმ საგანს, რაზედაც  
სწერს, თორემ ასეთ ველურ რამეს არ დასწერდა. ეგნატე  
ნინოშვილს რომ შეეძლოს ამ სიტყვების მოსმენა, იგი ხომ  
საფლავშიაც კი გადაბრუნდებოდა. ჯერ ერთი რა მე-  
მკვიდრეობაზე შეიძლება ლაპარაკი ნინოშვილის მხრით  
ა. ჭავჭავაძის მიმართ! არც წარმოშობით და მდგომარეო-  
ბით, არც იდეიურად ნინოშვილისა და ჭავჭავაძის შორის  
შემკვიდრეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი მტკი-  
ცება არსებითად წარმოადგენს აშკარა ჩემი გამოსახულ შე-

ხედულებას; ეს მტკიცება ძირიანად ეწინააღმდეგება მარქიზიზმის და ლენინიზმის პრინციპებს.

ნინოშვილი იყო ლარიბი გლეხის შვილი, სოფლის მასწავლებელი, ქარხნის მუშა, ერთი სიტყვით ნამდვილი პროლეტარი და რევოლიუციონერი, და როგორც ნამდვილი რევოლიუციონერი განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში იგი შეიქნა მარქსისტი. ი. ჭავჭავაძე-კი იყო: წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი, როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულები დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი.

რა არის საერთო ამ ორ პიროვნებას შორის? ან რა მემკვიდრეობის მიღება შეეძლო ნინოშვილს ი. ჭავჭავაძესაგან? არავითარი! არ ვიკი, გრძნობს თუ არა ამხ. ბუაჩიძე იმ უხერხეულობას, რომელშიაც იგი ჩავარდა, და თუ როგორ იმცირებს იგი ეგ. ნინოშვილს, როცა იმბობს, რომ „ე. ნინოშვილმა ლირსეულად შესძლო იღიას მემკვიდრეობაო“. ეგნატე ნინოშვილი ილ. ჭავჭავაძის ლირსეული მემკვიდრე! არა, ეს შეფარდება სრულებით შეუსაბამოა. უგ. ნინოშვილი ხომ ხორცი და სისხლია მუშათბალის! იგი ხომ წინამორბედი იყო ჩვენში მარქსიზმის, პროლეტარული რევოლიუციის. კომუნიზმის? ვინ-და იყო ი. ჭავჭავაძე? ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცის: რეაქციონერი თა კონტრრევოლიუციონერი. აჭერან ვერ იხსნის მას ხანდისან ისეთი სიტყვების წამოსროლა, როგორც: მაგ., თავისუფლება, სამშობლო და სხვა ასეთები. ამაზე შეიძლება ამხ. ბუაჩიძემ გვიპასუხოს, რომ იგი ადა-

რებს მხატვარ ჭავჭავაძეს მხატვარ ნინოშვილთან, მაგრამ მწერლის გაორება არ ხდება, ეს შეუძლებელია. და კი დევაც რომ დავეთანხმოთ ამხ. ბუაჩიძეს, თითქო მას ზე-ვით მოყვანილ სიტყვებში მხოლოდ ამ ორი მწერლის მხატვრული მხარე ქონდა მხედველობაში, განა ეს დამა-ჯერებელ საბუთად გამოდგება? რაა საერთო - ამ ორი მწერლის შორის, რომ ე. ნინოშვილი ჭავჭავაძის მეკვიდ-რედ და ისიც ღირსეულ მემკვიდრედ გამოვაცხადოთ? პირველი საფეხურის სკოლის მოწაფეც კი მიხვდება, რომ ამ ორი მწერლის ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია, რადგანაც ისინი, როგორც მხატვრები, სრულებით სხვა-დასხვა მისწრაფებებს, სრულებით სხვადასხვა იდეალებს გვიხატავენ.

საინტერესოა, ვიცოდეთ, რა მიზანი ქონდა ამხ. ბუა-ჩიძეს ამ შემთხვევაში? ერთი კი ითქმის: ნებსით ოუ-უნებლიერ ობიექტიურად ამხ. ბუაჩიძე ზევით მოყვანილ ამონაწერში არსებითად აკეთებს ძველი ხალხოსნების და სოც.-ფედერალისტების საქმეს, ე. ი. იგი სახელს უკი-თებს და ავტორიტეტს უქმნის ქართულ ლიტერატურაში რეაქციონურ მწერლებს, და უწინარეს ყოვლისა იმათ ბურჯალ და მებაირახტრეს ი. ჭავჭავაძეს. ეს უნდა ითქვას კატეგორიულად, მოელი სიმკვეთრით და ეს მით უმეტეს, რომ ამხ. ბუაჩიძე კომუნისტური პარტიის წევრია. პარ-ტია ვერ მისცემს მას უფლებას პარტიის შიგნით ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ძველი და ახალი მოწინააღმდე-გების შეხედულებათა გავრცელებას. ამხ. ბუაჩიძე სხვა წერილშია („იმეორებს თავის შემცირ შეხედულებას. ასე, მაგ., წერილში „ქართული მწერლობა 1929 წელს“ („მნათობი“ 1930 წ. № 1, გვ. 166), სხვათა შორის, იგი

სწერს: „თუ ილია ჭავჭავაძე ისეთი სიძლიერით ებრძოდა ბატონყმობას, თამამედროვე მწერალს ჯავახიშვილს რათ უნდა გაუჭირდეს ბატონყმობის ნამდვილი ურთიერთობის ასახვაო“!..

პირველ ყოვლისა აქ პირდაპირ შეუსაბამობაა წინა-დადების პირველ ნახევარსა და მეორეს შორის: ჭავჭავაძე ებრძოდა ბატონყმობას, ჯავახიშვილს რაღა დაემართაო! აქ არაეითარი ლოლიკა არაა. ვთქვათ ივანეს შეეძლო ბრძოლის წარმოება, მაგრამ აქედან ჩვენ ვერასოდეს ვერ დავისკვნით, რომ პავლესაც უნდა შესძლებოდა ისეთი. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამხ. ბუაჩიძე სა-შინლად ცდება, როცა ამტკიცებს, რომ ი. ჭავჭავაძე ბრძოლას აწარმოებდა ბატონყმობის წინააღმდეგო.

ეს მართალი არაა, ეს სიცრუეა. ამ ზღაპარს ბოლო უნდა მოელოს. ეს ძირიანად უნდა აღმოიფხვრას საბჭოთა საქართველოს მწერლობიდან, და უპირველეს ყოვლისა ეს უნდა მოახდინონ კომუნისტ-მწერლებმა. ამ ყალბი შე-ხედულების გაზიარება აუცილებელი შედევი იყო მარ-ქსიზმისა და ლენინიზმიდან გადახვევისა ერთი მხრით და ბოლშევიზმის ტრადიციების დავიწყებისა მეორე მხრით. ამიტომ აუცილებლად საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, რათა ზოგიერთ კომუნისტ-მწერლებმა უფრო ბეჯი-თად დაუკვირდენ იმას, რასაც ამბობენ და პირველყოვლი-სა, რასაც სწერენ. ჩვენს პროლეტარულ მწერლობას მე-ტად დიდი ამოცანები აქვთ გადასაკრელად, რა თქმა უნდა არა მარტო რეზოლუციების გამოტანით (რაც რა-საკვირველია საჭიროა) ან არა მარტო რადიკალური და რევოლუციონური ფრაზელოგიის საშუალებით, არა-მედ თვით ლიტერატურის დაუფლებით. ბრძოლას კლასი-



კოსებისათვის აქვს უფრო ღრმა და უფრო ფართო მნიშვნელობა, ვინემ ეს პირველი წარმოდგენით ეგონათ ზოგიერთებს.

დასასრულ, არ შემიძლია კიდევ და კიდევ აღტაცებით არ მივეგებო იმ ახალგაზრდა პროლეტარულ შეერლების ნაბიჯებს, რომელებმაც იყისრეს ზევით დასახელებული კრებულის გამოცემა. ვფიქრობ, რომ ეს პირველი ნაბიჯია, რომელსაც შემდეგი, უფრო ნაყოფიერი, ნაბიჯები მოყვება. მეტია ლაპარაკი, რომ ეს ახალგაზრდები სწირ მარქსისტურ-ლენინურ პოზიციაზე დგანან და ბოლშევიზმის ერთგული დამცველები არიან. შეიძლება იმათაც მოუვიდეთ შეცდომები, მაგრამ ეს სრულიად სხვა ხასიათის შეცდომები იქნება, რასაც ისინი სულ ადვილად გამოასწორებენ.

ვუსურვოთ მათ წარმატებით განაგრძონ თავისი ნაყოფიერი და ფრიად საჭირო მუშაობა.

### ვ. მახარაძე

## ვის ხელშია კლასიკოსები?

მხატვრული მწერლობის დიდი აღმზრდელობითი გაფლენა ფართო მკითხველ მასებზე დღეს საერთოდ მიღებული აზრია. ეს მიზეზია, რომ დიდი ყურადღება ექცივა პარტიული პოლიტიკის გამომუშავებას კულტურის ამ სფეროში, მაგრამ პარტიული პოლიტიკის ობიექტი უმთავრესად მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებაა და ამიტომ ჩვენ ზშირად გვავიწყდება მწერლების ის უდიდესი, უკვე შექმნილი და დასრულებული ნაწილი, რომელსაც კლასიკური მწერლობა ჰქვია, და თუ მწერლობის თანამედროვე სექტორი კომუნისტური პარტიის ზეგავლენას განიცდის, თუ ამ მხრივ უკვე ვლაპარაკობთ პროლეტარიატის მოსალოდნელ ჰეგემონიაზე ახალ მწერლობაში, საშავიეროთ თითქოს სრულებით უძლური ვართ კლასიკოსებზე ზეგავლენის საკითხში.

ზოგიერთ მკითხველს ძლიერ გაუკვირდება ასეთი „თავხედობა“, (? ) მართლაც, როგორ შეიძლება რაიმე ზეგავლენა მოახდინო კლასიკურ მწერლებზე, როგორ შეიძლება „გააკომუნისტო“ გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვები?? როგორ შეიძლება შესცვალო ტექსტი, გრ. ორბელიანის „სადლეგრძელო“-სი და მონარქისტულ პიმნიდან კომუნისტურ პიმნად აქციო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკოსების ასეთ

„გათანამედროვეებისაც“ ხშირად ხვდებით: ხშირია ტაქ-  
სტების გადაკეთებ-გადმოკეთება, სახელმძღვანელოებში  
დაბახინჯებული სახით „გაწითლებული“ რატერელ ქრის-  
თავის შეტანა და სხვა. ყოველივე ეს დიდი გაუგებობა  
და ბოროტმოქმედებაა! არის მეორე შემთხვევა კლასიკო-  
სების „გათანამედროვეების“. რომელიმე თანამედროვე  
მწერალი ეპიგონური პედანტობით ხელს მოჰკიდებს ჩოლ-  
მე კლასიკოსების მიერ უკვე ნამღერის „თანამედროვე“  
კილოზე გადამღერებას — ესეც დიდი კულტურული მავ-  
ნებლობაა! არის მესამე შემთხვევაც; როდესაც რომელიმე  
ცნობილ კლასიკოსს, რომელსაც სოციალისტურ იდეებთან  
არაფერი საერთო არა ჰქონია — სოციალისტათ აცხადე-  
ბენ. ჩვენ გვინდა გავათრთხილოთ მკითხველი, რომ კლასი-  
კოსების არა ასეთ გათანამედროვეობაზე გვექნება ლაპა-  
რაკი.

სასტიკად სცდება, ვინც ჰყიქრობს, თითქოს ძველი  
მწერლობა დღეს არ იყითხებოდეს, თითქოს ის აღარ ახ-  
დენდეს ზეგავლენას ფართო მასებზე, თითქოს არ იყვეს  
აქტუალური და სხვა. განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე  
აქვს დიდი გავლენა კლასიკოსებს, სკოლაში ხომ კლასი-  
კოსებზე იზრდება ჩვენი ახალგაზრდობა. ლიტერატურში,  
კლუბებში, უნივერსიტეტში ხომ კლასიკოსები არიან შეს-  
წავლის ობიექტი?! მუშურ-გლეხური მკითხველი მასა  
დღესაც კითხულობს კლასიკოსებს, მით უმეტეს მაშინ,  
როდესაც ჩვენი ხელისუფლება ენერგიულად შეუდვა მათ  
ხელახლ გამოცემას.

კლასიკოსების პრობლემის აქტუალობას საერთოდ სე-  
რიოზული საზოგადოებრივი მიზეზებიც აქვს: კლასიკოსე-  
ბის შემქმნელი, მათი იდეურად მასულდგმულებელი სა-  
ზოგადოებრივ კლების ნარჩენები დღესაც არსებობენ.

არსებობს ფეოდალური მწერლობის მასულდგმულებელი ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენები, არსებობს ხალხოსნური ილიუზიების შთამომავალი „დემოკრატიული“ განწყობილი წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნარჩენები, ცოცხალია გლეხობის კულაკური ნაწილი და ყველა ეს ფენები არამც თუ კითხულობენ, არამედ იდეურადაც უთანაგრძნობენ ყველაზე უფრო რეაქციონურ კლასიკოსებს და ეს თანაგრძნობა მეტად აქტიურ ფორმებს ღებულობს არა მარქსისტულ, ანტირევოლუციონურ, ანტიპროლეტარულ ლიტერატურის ისტორიებში, ლიტერატურულ კრიტიკაში და სხვა. გარდა ამისა, კლასიკოსების კითხვას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩვენ ჯერ არ გვაქვს კლასიციზმზე უფრო ძლიერი პროლეტარული მწერლობა ფართო მასებისათვის საკითხავად, კლასიკური მწერლობის ასეთი დიდი გავლენის შესუსტება მხოლოდ პროლეტარული მწერლობის პედემონიის დაპყრობის შემდეგ მოხდება. ძველი მწერლობა ძლიერია, განსაკუთრებით — პროზით — ამიტომ ჩვენი პროლეტარულად განწყობილი მკითხველიც ხშირად მას უბრუნდება. ამის საილიუსტრაციოთ მთელი რიგი სამკითხველოების სტატისტიკის მოყვანაც შეიძლებოდა. ამიტომ კლასიური მწერლობა დღესაც იქითხება, დღესაც აქტუალურია და მკითხველ მასებშე, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენთვის არა სასარგებლო გავლენას ახდენს.

ასეთ შემთხვევაში საკითხი ისმება იმის შესახებ თუ როგორ მივსცეთ კლასიკოსებს ჩვენი, მარქსისტული, კომუნისტური ინტერპრეტაცია, როგორ განვაიარალოთ კლასიკოსები ჩვენთვის მავნე ტენდენციებისაგან, როგორ გაშოვყოთ კარგი ცუდისაგან და სხვა. ამის ერთად ერთი საშვალება მარქსისტული, კომუნისტური კრიტიკაა. კო-

შუნისტურად გაკრიტიკებული კლასიციზმი სულ სხვა სახისა იქნება; ყოველგვარ ლიტერატურულ განწყობილებებს კლასობრივი საფუძველი ექნება გამონახული და ათასნაირი ლეგენდები, მაგალითად ლიტერატურაში პატრიოტიზმის ზეკლასობრივი თვისებების ან ლიბერალიზმის ადამიანური ბუნების შესახებ სავსებით დაინგრევა.

რომელი კლასობრივი იდეოლოგიის ხელშიაც არის ლიტერატურის ისტორია და კლასიციზმის კრიტიკა, ვინც აძლევს თავის ინტერპრეტაციას ამ მწერლობას — სწორედ მის ხელშია თვით კლასიკოსებიც, მაშინ ამ იდეოლოგიის სასარგებლოდ მოქმედებს ეს ძველი მწერლობა. დღეს ბავშვაც ვერ დაარწმუნებ ლიტერატურული კრიტიკის „ობიექტიურობაში“, თითქოს ის განსაზღვრული კლასის იარაღი არ იყვეს და როდესაც თანამედროვე მკითხველი ითვისებს ნაციონალიზმის გაელენთილ კლასიციზმის ნიმუშებს, როდესაც ის ძველი საქართველოს იდეალიზაციას ეჩვევა — შევეცადეთ თუ არა ჩვენ კარგად ავევხსნა, დაგვერწმუნებინა ეს მკითხველი, რომ ეს ნაციონალიზმი კეთილშობილი არ იყო, რომ მას საფუძვლად მებატონეფეოდალის საქმაოდ არაკეთილშობილი ინტერესები უძვეს, რომ ძველის იდეალიზაცია ამა და ამ რეაქციონური ფენების ინტერესებით იყო გამოწვეული და ო. შ. ჩვენ ამ მხრივ ჯერ-ჯერობით უძლურნი ვართ, ჩვენ არ გვყავს კლასიკურ მწერლობის კომუნისტური კრიტიკოსები, მარქსისტი ისტორიკოსები. ლიტერატურის ისტორია დღემდე ნაციონალიზმის ხელშია. მაგრამ რაღვანაც კლასიკური მწერლობის დიდი ნაწილი თავისთავადაც არ არის რევოლიუციონური და ამასთანავე მათი შესწავლა და კრიტიკაც სხვის ხელშია, ამიტომ ჭლებულობთ საგრძნობ იდეოლოგიურ საშიშროების მთელ ფრონტს. და თუ დღეს ჩვენ

ვლაპარაკობთ თანამედროვე მწერლობაში რეაქციონურ  
ფრონტზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მემარჯვენე  
საშიშროების ერთ ნაწილს კლასიკოსები შეადგენენ, ვი-  
ნაიდან სხვის ხელში ბევრი მათგანი „მკვდრეობით აღმსდ-  
გარან“ ჩვენ წინააღმდეგ.

ხშირათ თვით ჩვენი სახელმწიფო ორგანოებიც ხელს  
უწყობენ კლასიკოსების ჩვენვე წინააღმდეგ დარაზმეას.  
ილია ჭავჭავაძის დიდი მემკვიდრეობა, რა თქმა. უნდა,  
მარქსისტულად ჯერ შეუსწავლელია, მაგრამ ჩვენ დაახ-  
ლოებით გამომუშავებული მარქსისტული შეხედულება  
მაინც გვაქვს ილიაზე (ფ. მახარაძე, პ. გელეიშვილი და  
სხვ.). მაგრამ დავთიქმდით თუ არა, რომ ი. ჭავჭავაძის გა-  
მოცემა კერძო გამომცემლის ხელში არ ჩაგვეგდო და მარქ-  
სისტული კომენტარიები მაინც მიგვეცა ამ გამოცემისათვის  
(ეხლა ამ გამოცემას რედაქტორობს პ. ინგოროვა და ალ.  
აბაშელი. კრიტიკული განხილვა პ. ინგოროვასია, შე-  
ნიშვნებიც მათია).

არც სახელმწიფო გამომცემლობა იძლევა მარქსის-  
ტულ კრიტიკას. ჭოლა ლომთათიძე, სეით დევდარიანის  
წინასიტყვაობით გამოვიდა, ნიკო ლომაური გახტანგ კო-  
ტეტიშვილის წინასიტყვაობით, შიო არაგვისპირელი ტი-  
კიან ტაბიძის ლირიკული შესავლით, ვაჟა-ფშაველა. გე-  
რონტი ქიქოძის და ტიკიან ტაბიძის კრიტიკული განხილ-  
ვებით, სოფრომ მგალობლიშვილის კრებულის წინასიტ-  
ყვაობას ხელს არავინ აწერს მაგრამ თუ შევადარებო  
ვ. კოტეტიშვილის „ისტორიას“, მივხვდებით, რომ ეს მისი  
წინასიტყვაობაა, რაფიელ ერისთავის წიგნაქს (გამომცემ-  
ლობა „შრომა“) ამავე კოტეტიშვილის წერილი აქვს წარ-  
შეღვარებული, თუმცა არც აქ აწერს ხელს, მაგრამ რო-  
გორც დოკუმენტალურად შეიძლება დამტკიცდეს, ეს წე-

რილიც ვ. კოტეტიშვილის „ისტორიიდან“ არას გადმომეტ-  
დილი ცვტორების გვარების დამალებით უნდათ ალბათ  
გამომცემლობებს დაპფარონ ცვტორების იტელოგიური  
ხარისხი, მაგრამ ეს გულუბრყვილობა მეტის მეტად მოვა-  
გონებს „სტრაუსისებურ“ პოლიტიკას, ვინაიდან კრიტი-  
კის ხარისხი არა ხელისმოწერაში, არამედ თვით ტექსტში  
აშკარავდება, — რის შესახებაც ქვემოთ ვიღობარაკებთ),  
„ქართულმა წიგნმა“ გამოსცა ვრ. ორბელიანი იმავე ვ.  
კოტეტიშვილის შესავალი წერილით და რედაქტორობით,  
ასევე გამოიცა დავითაშვილი „შრომის“ მიერ. ს. აბაშე-  
ლის რედაქციით გამოვიდა აკ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი.  
ია ეკალაძე სცემს მთელი ქართული მწერლობის „ანთო-  
ლოვიას“ და სხვა. მკითხველისთვის ალბათ აშკარაა, რომ  
შხოლოდ ამ კრიტიკული განხილვების ავტორების ზემოთ  
ჩამოთვლილი ავტორების მეტად ცნობილი პოლიტიკური  
და ლიტერატურული პოზიციები ხმა მაღლა ლაპარაკო-  
ბენ იმის შესახებ, თუ როგორ განმარტებებს იძლევიან  
ისინი, რა ნაწარმოებებს შეარჩევენ გამოსაცემად იმ შემ-  
თხვევაში თუ მწერლების რჩეული ნაწერები იცემა, რო-  
გორ რედაქტორობას გაუწევენ, რა შენიშვნები იქნება  
და სხვა.

აქვე გვინდა ჩამოვთვალოთ ის ისტორიები და კრიტი-  
კული ნაშრომები ქართულ მწერლობაზე, რომლითაც  
ფაქტიურად ასწავლიან სასწავლებლებში, უნივერსიტე-  
ტებში და რომლის მიხედვით მკითხველი მასები ითვისე-  
ბენ კლასიკურ მწერლობას. აი ეს წიგნები: კ. ძიგილიძე, //  
„ქართული ლიტერატურის ისტორია“, კ. აბაშიძე „ეტიუ-  
დები“, კ. კაპანელი „ქართული სული ესთეტიურ სახეებ-  
ში“, ვ. კოტეტიშვილი „ქართული ლიტერატურის ისტო-  
რია“, არ. ჯორჯაძე „მასილები ქართულ ინტელიგენციის

ისტორიისათვის", აღ. ხახანაშვილის „ქართული სიცემაზე რების ისტორია", და სხვა. ცალკე შონოვრაფიებშიც იშვიათად თუ შეგხვდებათ მარქსისტების გვარები.

საკმარისია ზემოდ დასახელებულ კრიტიკო-ისტორიკოსებიდან დავახასიათოდ რამოდენიმე მათგანის შეხედულებები ხელოვნებაზე და ლიტერატურის კვლევის მეთოდზე, რომ გავიგებთ თუ კლასიკური მწერლობის შესახებ დღითი დღე როგორ იმაგრებს ფესვებს ყალბი, არა მეცნიერული, იდეალისტური, რეაქციონური, ნაციონალისტური და ბოლოს საესებით უკულტურო მოსაზრებები.

ყველაზე უფრო პოპულიარული და დასაბუთებული ამ წიგნებიდან — კ. აბაშიძის „ერიუდები", დიდი ხანია კანონად არის გადაჭცული. კ. აბაშიძე „ასპროცენტიანი“ არის ისტორიატია, მისი შეხედულებები, რა თქმა უნდა, სავსებით ანტიკომუნისტურია. კ. აბაშიძის შეხედულებების გამოსარკვევად მშენებელ მაგალითს წარმოადგენს მისი გიორგი წერეთლისადმი მიღვომა. ეს საკითხი მთელი უიდი მონოგრაფიის ღირსია. აქ კ. აბაშიძის, ამ ჯანაცლებული არის ისტორიატის მთელი კლასიკური დაბრმავება გამოაშეარავდა. იგი „ყველა საქართველოს ბელეტრისტებზე დაბლა“, აყენებს გ. წერეთელს და რისთვის? იმისთვის, რომ გ. წერეთელის გმირებს თურმე „საუბედუროთ იმდენზედ ატყვიათ დღევანდლობა და ეხლანდელობა, რომ...“ (ტ. II გვ. 57). კ. აბაშიძის აზრით: „რამდენათაც უურნალისტის და პუბლიცისტის მოვალეობაა აღნიშნოს ყოველივე ახალი მოვლენა ცხოვრებაში, განმარტოს იგი მოვლენა და გამოარკვიოს, იმდენად ეს პოეტსა და რომანისტს სრულებითაც არ მოეთხოვება და არცა მისი საქმე“, (იქვე, გვ. 61) და ვინაიდან გ. წერეთელი თავის ნაწერებში ამ „გაჭუჭყიანებულსა და ტალახით შესერილ“

(იქვე, გვ. 51) სინამდვილეს იძლევა, ამიტომ ის „მიწისთან გასწორებულ იქნა“. კ. აბაშიძე სწყრება წერეთელზე, რადგან მწერალი დიდ ყურადღებას არ იქცევს, კრიტიკოსის აზრით, მთავარ თემას — სქესობრივს, რადგან სახეების შექმნისას წერეთელი სინამდვილიდან იღებს შედარების ობიექტებს და ა. შ. კ. აბაშიძის აღელვებას საზღვარი არ იქვს, მაშინ, როდესაც განათლებულ არისტოკრატის ჯორის „კუდის უკანა“ მუსიკა მოასმინეს. მაგრამ გ. წერეთლის მხრივ იყო ჯორის ეს „ამღერება“. აქ მწერალმა (უნდოდა თუ არა — ეს სხვა საკითხია) სასტიკი და გენიალური ცინიზმით გამათრახა და დაასამართა ცრუკლასიკური „ამაღლებული“ სტილი, ეს იყო, ვიმეორებთ, პირდაპირ გენიალური ისტორიული დაცინვა ძველ სტილის მიმართ და ამ გაუგონარი თავხედობით აღელვებულმა კ. აბაშიძემ ნატურალისტის დარქმევით ლანძღა მწერალი (კიტას აზრით ნატურალისტად მონათვლა საკმარისია მწერლის დისკრედიტაციისთვის), მაშინ როდესაც ის ჩვეულებრივი რევოლიუციონური ბურჟუაზიული სოციოლოგი-რეალისტია, საზოგადოებრივად მოწინავე და აქტიური პოლიტიკურად. სწორედ ეს აქტიობა არ მოსწონდა არისტოკრატ კ. აბაშიძეს და ფურნალისტ-პუბლიცისტის დარქმევით „აგინებს“ გ. წერეთელს, თითქოს ესეც გინება იყვეს.

კვლევის მეთოდის მხრივ კ. აბაშიძე თითქოს თანამედროვე ფორმალიზმის წინაპარია. მისთვის მოვლენა ლიტერატურაში საყურადღებოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ფორმის მხრივ რაიმე ახალს იძლევა. მხატვრული ნაწარმოების იდეური სიახლე არაფერს არ ამბობს კ. აბაშიძისათვის. დაბოლოს, თუ მოვიგონებო რევოლიუციონერებისადმი იმ კლასიური სიძულვილის ისტორიულ მაგალითს, რომელიც კ. აბაშიძემ ჩაიდინა ეგნატე ნინოშვი-

ლის მიმართ (მისი ისტორიაში არ შეტანით), მაშინ ჩვენ  
დავრწმუნდებით, თუ როგორ კატეგორიულად შეუძლე-  
ბელია კ. აბაშიძით ხელმძღვანელობა თანამეტროვე მკით-  
ხველისთვის.

ვ. კოტეტიშვილის „ისტორიაც“ ამ მხრივ არ ჩამორჩე-  
ბა თუ არ წაუსწრებს კ. აბაშიძისას. კოტეტიშვილის კვლე-  
ვის მეთოდი უმოწყალო ეკლექტიზმით ხასიათდება. ილია  
ჭავჭავაძე ასეთ უმშეობას თვითმსჯელობის და თვითმოქ-  
მედების უქონლობას ეძახოდა. მაგრამ განსაკუთრებით ჩა-  
მორჩენილი და პრიმიტიულია კოტეტიშვილის შეხედულე-  
ბები ხელოვნებაზე. ამ მხრივ ის გაყინულია ერთ საუკუნის  
ადრინდელ დონეზე და ჯიუტად ამტკიცებს წმინდა ხე-  
ლოვნების არსებობას: „...მე-60 წლების მოღვაწეებს რუ-  
სეთში მეტად ცალმხრივად ესმოდათ ხელოვნება. ხალხის  
სამსახური, მის წინაშე მოვალეობის გადახდა და სხვა.  
წმინდა მოტივებია, მაგრამ განა ეს უარყოფს წმინდა ხე-  
ლოვნებას“ (ნაწ. II გვ. 171), „აეილოთ მაგალ. „ლაოკონი“,  
სწერს კოტეტიშვილი, ბეთჰოვენის „კრეიცერის“ სო-  
ნერთა ან გვორეს „ფაუსტი“. აქ ორის რაიმე ანგარიში, მიზ-  
ნით განსაზღვრა და ფორმის დამორჩილება მიზნისაგან?  
რასაკვირველია არა. აქ არ არის არც ერთი პრაქტიკული  
მომენტი, აქ ფორმა თვითშიზანია...“ (ნაწ. I, გვ. 7). ან კი-  
დევ: „პოლიტიკურ-ეკონომიკური რიგის მოვლენები ხში-  
რად (და არა ყოველთვის?! პ. ქ.) ახდენენ გავლენას (ახდე-  
ნენ გავლენას და არ განსაზღვრავენ?! პ. ქ.) კულტურულ  
სფეროზე, მაგრამ კულტურული აღორძინების თუ და-  
ცემის ფაქტები სულ სხვა სიცრცეში იშლებიან“ (ნაწ. I,  
გვ. 23).

• ეკლეკტიკოსია კ. კაპანელიც, ის „თავის“ საკუთარ  
„ორგანოტროპიულ“ სისტემად ცენტრულ მატერიალიზმს

უმოწყალოდ არეულს იდეალიზმთან, მაგრამ კ. კაპანელი  
შედარებით თითქოს უფრო ახლოს სდგას მატერიალის-  
ტურ საფუძვლებთან. ზოგან თითქოს კლასობრივ განხილ-  
ვებსაც იძლევა და ამ მხრივ მისი წიგნი ზემოთ ჩამოთ-  
ვლილ წიგნებს „მორის ცოტათი განირჩევა. კ. კაპანელის  
მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატუ-  
რული თემების იდეური ანალიზი, მან იდეების თემატიური  
ანალიზით შესცვალა (იდეების თემატიური ანალიზი უს-  
რულესი ფორმაა ლიტერატურული კრიტიკისა“, — გვ.  
10) და ამიტომაა, რომ ავტორის აზრით ი. ჭავჭავაძის მი-  
ხედვით შეგვიძლია შევისწავლოთ გლეხების ყოფა (გვ.  
23), მაშინ როდესაც ილია ჭავჭავაძის მიხედვით შეიძლე-  
ბა შესწავლა უმთავრესად ილიასა და მისი კლასის იდეე-  
ბისა მაშინდელი გლეხობის შესახებ. ამიტომაა რომ კაპა-  
ნელის აზრით, რახან ილია თავისუფლებაზე სწერს, რა-  
ხან მისი თემაა ასეთი — თითქოს ამიტომ ის სოციალის-  
ტიც შეიძლება იყვეს და სხვ. (146).

როგორც აღვნიშნეთ კ. კაპანელში იდეალისტური შე-  
ხედულებები და დუალიზმი სასტიკად არეულია რაღაც  
პრიმიტიულ მატერიალიზმთან. მაგ. იგი სრულიად მეცნიე-  
რულ დასაბუთების გარეშე ხელოვნებაში ქვემცნობიერის  
ჰეგემონიას ამტკიცებს (21) ან და სწერს ასეთი სტილით:  
„ჩვენი სულის ყოველ ვლენაში არის ორი მხარე — წუ-  
თიერი ჩხვლეტა (ჩხვლეტა!) და გენეტიური წვა (წვა!)“<sup>4</sup>.  
საერთოდ ყოველ ორ სტრიქონში გხვდებათ ეს ამაღლე-  
ბული „შტილი“, გხვდებათ არეულ-გადმობრუნებული  
და ყოველგვარ იდამიანურ აზრიანობას და უბრალოებას  
მოკლებული სტილი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი იქნებო-  
და, რომ კაპანელს შეეძლოს მეცნიერული მტკიცება. მთე-  
ლი მრავალ წიგნი ლირიკაა და ამ მხრივ ის თვით უფრო არის

„მხატვრული“ (!) ხაწარმოები, ვიდრე მეცნიერული. ყოველ ორ სტრიქონში ვხვდებათ „ხალხი“, „გეპრანჭულება“, „ქართული სული“, „სული“, „წვა“ ა. წმინდაშება, „ორთქლება“, „აბგერება“, და სხვა სიტყვები, რომლებიც შეთი ტერმინოლოგიური მხიშვნელობის გარკვევის გარეშე მეცნიერული წიგნისთვის აბსურდს წარმოადგენ. „ქართული სული“ არ არსებობს — საკიროა მეცნიერული და კლასობრივი კონკრეტიზაცია.

გარდა უკვე დახასიათებული თვისებებისა ქართული მწერლობის თითქმის გამოუკლებლივ ყველა ისტორიებს უაღრესი ნაცონალიზმი ახასიათებთ. მაგალითად, ვ. კოტეტიშვილს უფრო შესაფერისი იქნებოდა, თავისი ისტორიისათვის შემდეგი სათაური რომ დაერქმია: „ქართული მწერლობის ისტორია ნაცონალისტური იდეიის განვითარების თვალსაზრისით“. მართლაც მთელი მისი წიგნის მანძილზე ირჩევა თუ როგორ არის ამა თუ იმ ავტორში მოცემული ნაცონალისტური იდეა და არსაც არ არის ცდა ამ იდეების კლასიური ანალიზისა.

მართალია, ნაცონალისტური მოტივი ქართული მწერლობის ერთ-ერთი შთავარი მოტივი იყო წინეთ, მაგრამ პირველად ყოვლისა, თვით ეს შოტივები განსაზღვრული კლასის იდეები იყო და მეორეც ის არის ვ. კოტეტიშვილის შიერ უყურადღებოთ დატოვებული, რომ გარდა ამ იდეებისა ქართულ მწერლობაში ბევრი სხვა საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემები ისმებოდა. ვ. კოტეტიშვილის თვის კი ის მწერალი მწერალი არ არის, რომელიც ამ იდეას არ ემსახურებოდა. თუ ასეთს მწერლებს წააწყდება ავტორი. მათაც უეპველად ნაცონალისტებად გამოაცხადებს, აქვს ამის საკმარისი საბუთი თუ არა. მაგალითად, ალ. ჭავჭავაძეზე ამ ფეოდალური ყოფის და სიყვარულის

პოეტზე, ის წერს: „და ყველა ამის შემდეგ განა შესაძლებელია, რომ ალ. ჭავაჭავაძის პოეზიაში პატრიტურიცად შროვარი (ხაზი ჩვენია) ნოტი არ დავინახოთ“ (ნაწ. I, გვ. 77). ასე სწერს ჩვენი ისტორიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ჭავაჭავაძის ნაციონალიზმი დიდათ განსხვავდებოდა სხვისი ნაციონალიზმისაგან.

სასტიკად ამაზინჯებს ფაქტებს ვ. კოტეტიშვილი ნ. ბარათაშვილის, ამ ფეოდალიზმის ისტორიული ნგრევის საფუძველზე წარმოშობილ „ადამიანური“ და „კოსმიური“ სევდის პოეტის მიმართაც. „მთვარი მოტივი. სწერს იგი რომელიც ნ. ბარათაშვილის პოეზის განსაზღვრავს, — რასაკეიირევლია ხაშშობლოს ხიყვარულია“ (ნაწ. I, გვ. 171) და: აქაც ყველა ნაციონალისტებზე უფრო ნაციონალისტი აღმოჩნდა ჩვენი ისტორიკოსი; ნაციონალიზმის ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა გერონტი ჭიქოძე — ბარათიშვილზე სწერდა: „დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი ლიტიკოსი ეროვნული იდეის მოციქულად ან წამებულად მივეჩნია... ძნელი გამოსაცნობია, ვის მხარეზეა მგოსნის სიმპატია „ბედი ქართლისაში“ ბრძენი მსაჯულისათვე ბებერი მეფისაეკენ“. (იხ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წლ. გამოცემა, გვ. 183). მაგრამ კოტეტიშვილს რაღა გავუმტყვნოთ, როდესაც ქართულ კრიტიკაში მარქსისტად იუარა, მატერიალისტად მაინც ცნობილი ხომლელიც კა სწერდა, რომ ნ. ბარათაშვილმა „თავის ნაწარმოებში ხელოვნურად დახატულ სურათებად განახორციელა მთელი ერის მწერალებაც და ალტაცებაც, სულის თქმა და ვულის ძერა“ (იხ. ხომლელის, ნ. ბარათაშვილი და მისი დრო” 1923 წლ. გვ. 381).

ლარენს ნაციონალიზმის საკითხს:

თითქმის ყველა ისტორიკოსები მე-19-ტე საუკუნეები/  
გამეფებულ ნაციონალიზმს მთელი ერის ტკივილებათ-აც  
ხადებენ. ამრიგად სრულიად მიჩქმალულია ის „ანბანური“  
კეშარიტება, რომ მწერლების „საქართველოს განთავი-  
სუფლებისათვის ბრძოლა“ ქართული ფეოდალების ძე-  
ლებურად ბატონობისთვის ბრძოლა იყო და თუ ერის მეო-  
რე უდიდესი ნაწილი — გლეხობა აპყებოდა ხოლმე ფეო-  
დალური ნაციონალიზმის ამ ტალღას, არა ეროვნული  
იდეის გამო. არამედ იმიტომ, რომ ვერ ითმენდა რუსეთის  
ბიუროკრატიის ბატონობას. ლიტერატურის ისტორიკო-  
სებისთვის თითქოს მოკვედა გრ. ორბელიანის და მთელი  
ქართველი პაგონებიანი ფეოდალების რუსულ ბიუროკრა-  
ტიზმთან სრული შეგუების ფაქტი. განა თვით ნაციონა-  
ლისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ფეოდალებმა უფრო  
ადრე არ დასტოვეს თავიანთი საგუშავოები, ვიღრე გლე-  
ხობამ, რომელიც სულ სხვა მოტივებით იბრძოდა. განა  
გრიგოლ ორბელიანი არ იყო, რომ თავისივე ხელით და  
თავისივე „კეთილმზრუნველის“ ენით აქტრობდა ტფილი-  
სის „დემოკრატიის“ აჯანყებას 1865 წელს?! და განა ნა-  
ციონალისტური სიბეჭე არ არის, როდესაც დღესაც, თვით  
ილია ჰავავავაძის თაობისაც და ძეველ ქართული ინტელი-  
გენციის მიერ ჩაქსოვილი, მეფის ჩინოვნიკის გრ. ორბელია-  
ნის რეპუტაციის აღდგენას ცდილობენ, როდესაც გრ. ორ-  
ბელიანსაც კი ვ. კოტეტიშვილი ნაციონალური იდეისთვის  
ტანჯულ გმირად აცხადებს. განა მეცნიერებისა და ისტო-  
რიის წინაშე ბოროტმოქმედება არ არის, როდესაც იგივე  
ისტორიკოსი „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულ გრ.  
ორბელიანის ლექსებში. ~~ამასთან ერთად გრძელობის~~ არ  
აა ავსებს მეფე ნიკოლოზისადმი ~~ამასთან ერთად გრძელობის~~  
გრძნობებით დაწერალ „ქართველი პატივისათვეს გრძელობის

მოტივით, თითქოს ამას „ლექსთა კონსტრუქცია მოითხოვდა“ (გვ. VI). აი თურმე ჩვენ დროშიც სცოცხლობს ხელშედ რომელიც სპეციალურად იმაზე ზრუნავს, თუ ჩოგონა აღმდეგინოს „ქართველების“ თვალში გრ. ორბელიანის გაფუჭებული რეპუტაცია პატრიოტისა. გრ. ორბელიანის რეპუტაციის აღსადგენად ვ. კოტეტიშვილი გაორების მთელ ფილოსოფიასაც იგონებს: იგი იტანჯებოდა და გაორებული იყო! ვ. კოტეტიშვილის აზრით გრ. ორბელიანი „მთავარ-მართველობის ტახტიდან ეროვნული და სოციალური პატრიოტობით (რას ნიშნავს სოციალური პატრიოტობა? პ. ქ.) სავსე ლექსებს აწედიდა მკითხველებს, აჩსებული წყობილების წინააღმდეგ“ (გრ. ორბელიანი — ლექსები, გამ. „ქ. წ.“ გვ. XXI). და ამრიგად პოეტი „გაბზარული სახით გამოიყურება. უფრო მეტიც: იგი ორით არის განკვეთილი, ორი მეობა არის მასში...“ (იქვე).

გრ. ორბელიანი მეფის მოადგილე იყო, მეფე ნიკოლოზის საქმეს აგვირგვინებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თურმე რაღაც საწყალი ორიოდე ლექსით კი „ძირს უთხრიდა“ ამავე წყობილებას. ამიტომ ის ტრაგიულად ვაორებული იყო? მაგრამ სინამდვილე კი, რომლის დანახვა კოტეტიშვილებს არ სურთ. ასეთია: ქართველი ფეოდალური ინტელიგენციის დიდი ნაწილი შეუთანხმდა რუსეთის ბიუროკრატიას განსაზღვრულ „გასამჯელოს“ მიღების. შემდეგ და მეფის მოადგილის თუ გენერლის ჩბილ სავარძლებში ხანგამოშვებით ეძლეოდა ტებილ „ლიბერალურ“ მოგონებებს მამა-პაპური ფეოდალური სმა-ჭამის მშვენიერებათა შესახებ თავის საკუთარ „მამულში“ (ფეოდალის საკუთარ მიწაზე) და პოეზიაშიაც კი რუსეთის იმპერიის მეფის ქება დიდებაზე გადადიოდა. ამაში იყო მათი „ლიბერალობაც“, რისთვისაც ნაციონალური იდეები-

სათვის ტანჯულებათ გაძოჭყაფთ ლიტერატურის ისტორია-  
კოსებს გრ. ორბელიანის ტიპის „გმირები“. გრ. ორბე-  
ლიანს ამ მამა-პაპურ სმა-ჭამაში წასვლია მოედნი ზოგიერთი  
ლიტერატურული სახელი, ვ. კოტეტიშვილს კი ა. ეპოქალურ სურნელებათ  
მიაჩნია ეს პოეტის მიერ „სუფრისა და ყაბახის აღწერა“. (იხ. გვ. XXVI). „ილაილი“ ეს ფეოდალური მუცლის ნე-  
ბიერობის - რომანტიულად შეფერადებული მოგონებანი  
თითქმის ყველა ისტორიკოსებს და მათ შორის ვ. კოტე-  
ტიშვილსაც დიდ რევოლიუციონურ ლექსადაც კი მიაჩ-  
ნიათ. და თუ ზემოთ ჩვენ კ. კაპანელის წიგნი სხვებთან  
შედარებით უფრო მაღლა დავაყენოთ, ეს იმისთვის, რომ  
შან ქართველი ინტელიგენციის შიგნიდან „გასტეხა ციხე“  
და თუმცა გაუბედავათ, მაგრამ მაინც შეეცადა ეთქვა  
კეშმარიტება გრ. ორბელიანის და მისი ტიპის ნაცონა-  
ლისტების შესახებ. აი ზოგიერთი ნაწყვეტი ამ სამართ-  
ლიანი მხილებიდან: „ჯეორგიანის მწვადი შიშინით, კახუ-  
რის ღვინით აღვესილი აზარფეშა, მოთალი, თევზი, მწვა-  
ნილი (წითელი ბოლოები ალბად), სუფრა გაშლილი — აი  
რა აგონებს გრიგოლ თრბელიანს სამშობლოს. მხოლოდ  
ამის შემდევ ის ლაპარაკობს — „ცა მშვენიერი, ცა მშობ-  
ლიური“-ო, მაგრამ ორი სტრიქონია ქეცეით ისევ „ღვი-  
ნისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვივრილებს“-ო... ეს  
გაძლომის და კუჭის პატრიოტიზმია (დიდებულათაა ასეუ-  
ლი! ვ. ქ.), აქ მთელი ბოტანიკა და ფიზიოლოგია კუკი-  
სა; ამასე უარესი ლუარსაბ თათქარიძეც არ იტყოდა (იხ.  
კ. კაპანელი, გვ. 49), ანდა: „ძალაუნებურად ეჭვი გვეპა-  
რება პოეტის იდეალურ-რომანტიულ ზრახვებში. გარკვე-  
ვით გრძნობთ, რომ გრიგოლ თრბელიანის პატრიოტიზმ-  
ში (განა მხოლოდ გრ. ორბელიანისაში? ვ. ქ.) შედის დიდი  
დოზა (მხოლოდ დოზა? ვ. ქ.) კლასობრივ-ინდივიდუა-

ლისტური სოფულმხედველობისა და ესთეტიკის, გრძელი, რომ თქეენ საქმე არა გაქვთ დიდ პატრიოტთან; თქმეს წინაშე დგას ქართველი ფეოდალი თავისი ფეოდალურ-არის-ტოქრატიული ინტერესებით და მსოფლმხედველობით (იქვე გვ. 44).

როვორც ვხედავთ გრ. ორბელიანისადმი მიღომაში კ. კაპანელი შედარებით სწორია, მაგრამ ეს თვით კაპანელისთვის გამოხატულისია და როდესაც მის მიერვე ილია პავჭავაძეზე დაწერილ დაბრმავებული ნაციონალისტის ხორბას კითხულობთ, გვონიათ, რომ თავი გრ. ორბელიანზე ავტორს შემთხვევით წამოცდაო. ასევეა გამოთქმული კ. კაპანელის მიერ ერთი სწორი მოსაზრება, რომ მწერლებაში მოცემული „ქართული სულის ტკიფილები“ და ამ რიგად, დაუმატებთ ჩვენ, ეს ნაციონალიზმიც, ეპიკურის ფილოსოფიაა და სხვა ყოველივე „ფეოდალური სტრუქტურის რღვევის“ შედეგი იყო (5). აი ასეთ სწორ, ანბანურ მეცნიერულ დებულებას უნდა ეყრდნობოდეს კლასიკიზმის და საერთოდ ძველი მწერლობის შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ თვით ამ დებულების ავტორიც კი სრულებით ვერ სდგას ბოლომდე ამ მეცნიერულ საფუძვლებზე.

შემდეგი ხაერთო ხენი ქართული მწერლობის თითქმის კველა იხტორიკოსებისა ძველი მწერლებიდან მემარჯვეცნეების დაცვაში, მემარცხენეების: ხალხოსნების, რევოლიუციონერების, დემოკრატების არ დაფასებაში და ძველი, არა რევოლიუციონური, უმთავრესად ფეოდალური მწერლობისადმი კველა კარგი რევოლიუციონური თვისებების უსაფუძვლი მიკუთვნებაში მდგომარეობს. ვ. კოტეტიშვილის მთელი „ისტორია“ რეაქციონურების დაცვა! ისტორიკოსი მათი უფასო იურისკონსულტი გამხდა-

რა. კურნალ „ცისკარის“ ხაზის დაცვა (იხ. „შესაფეროსი-თავები), რეტროგრად ბ. ჯორჯაძის რეამილრტაცია, თუ-ორბელიანისადმი გამოქომაგება და სხვა. თუ როგორ ად-სინჯებს ფაქტებს ვ. კოტეტიშვილი გრ. ორბელიანს შეს-სახებ, ჩვენ ზემოდ ვნახეთ. მაგრამ სურათის სისრულისა-თვის საჭიროა კიდევ ერთი მაგალითი. გრ. ორბელიანი, რო-გორც გენერალი, შამილის მეთაურობით რუსეთის ბიუ-როკრატის წინააღმდეგ აჯანყებულ მეზობელ ერს არ-ბევს, მაშინ, როდესაც საქართველოს უფრო „გონიერი“ პატრიოტები (მაგ. ალ. ორბელიანი) მათთან (კერძოთ შა-მილთან) კავშირის გამპას სცდილობენ. გრ. ორბელიანი მხეცურად სვამს მეზობლების სისხლს და ვახტანგ კოტე-ტიშვილი კი იმეორებს რა იონა მეუნარგიას მიერ უკვი-ნათქვამს თავის ლიტერატურის ისტორიაში ამართლებს ამ სისხლისმსმელობას, რადგან თურმე „უკელაფერი ეს სის-ხლის წყურვილით კი არ აისნება, არამედ უფრო საპა-ტო („პატრიოტული“ პ. ქ.) ფსიქოლოგიური მოტი-ვით“-ო... (ნაწ. I, გვ. 97). მაგრამ ამის შესახებ ჯერ კი-დევ-კ. აბაშიძემ შენიშნა გრ. ორბელიანის ბიოგრაფი იონა მეუნარგიას საპასუხოდ, რომ „მისი (მეუნარგიას პ. ქ.) მი-კერძოებითი მსჯელობა გრ. ორბელიანის შესახებ იქამდის მიღის, რომ მტერთადმი ისეთ საშინელ გაბოროტებას პა-ტრიოტული გრძნობითა ხსნის“-ო (იხ. კ. აბაშიძე „ეტიუ-დები“ ტ. I, გვ. 34).

ჩვენ ვვონია, ამ ახალი ფაქტის დამატებაც არ იყო საჭირო, დასამტკიცებლად იმისა, რომ ლიტერატურის თა-ნამედროვე ისტორიკოსები უფრო ნაციონალისტობენ ვი-დრე საკმაოდ (!) მაგარი ნაციონალისტები ძველი პლე-ადისა. უმრავლეს შემთხვევებში ქართული მწერლობის თა-ნამედროვე ისტორიკოსებში უფრო მეტი ნაციონალისტუ-

რი დაბრმავება გვხვდება, რაიც ნაციონალისტურად ვთხ-  
წყობილი ძეელი ინტელიგენციის თანამედროვე კომუნის-  
ტური ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ გამოიროკებაზე  
უნდა მიეწეროს.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი კლასიკოსებიდან  
რეაქციონერ მწერლების შედარებით უფრო რევოლიუ-  
ციონერთა ხარჯზე გამოცოცხლების, რომელსაც სამწუხა-  
როდ ჩვენივე ორგანოები ხელს უწყობენ: სახელგამის მიერ  
მეორეხელ გამოიცა ვაჟა-ფშაველა. თითოხელ იყო გამო-  
ცემული ვაჟა და ეგნატე ნინოშვილიც. ორივე ავტორის  
პირველი გამოცემა უკვე გასაღებულია. მაშასადამე სა-  
კითხი უნდა დასმულიყო ისე, რომელი ამათგანი (ეგნატე  
ნინოშვილი თუ ვაჟა) უნდა გამოიცეს მეორეხელ პირველ  
რიგში? ჩვენის აზრით საკითხის ვადაჭრა აშკარა უნდა  
იყვეს. რა თქმა უნდა ეგნატე! მაგრამ სახელგამი სხვანაი-  
რად მსჯელობს, რადგან მასზე როგორც ჩანს ვაჟა-ფშა-  
ველას მომხსრები და იდეოლოგები უფრო დიდ გავლენას  
იხდენენ, ვიდრე ეგნატე ნინოშვილისა. ამრიგად გამოიცა  
ვაჟა! მაგრამ ეს კიდევ ნახევარი შეცდომა იქნებოდა, რომ  
მეორე გამოცემას მაინც ჰქონდა მარქსისტული კომენ-  
ტარიები. არა! წინასიტყვაობის ადგილი შევსებულია ტი-  
ციან ტაბიძის და გერონტი ქიქოძის მიერ. ტიციან ტაბიძეს  
აქ მორიგი დეკლარაცია გამოუქვეყნებია „ყანწელების“  
პოზიციის შესახებ. ძველი მწერლობიდან „ყანწელები“ ვა-  
უსა აღმერთებენ, ისინი ვაჟას უკულტურობას და მისტი-  
ციზმს იდეალად აყენებენ ჩვენი მწერლობისათვის. ვასა-  
გებიცაა რატომ! მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია. თუ რა  
მეცნიერულ ლიტებულებას, წარმოადგენს ტ. ტაბიძის  
„გულჩილი“ დეკლარაციები, რომლებიც „მეცნიერების“  
სახით სახელგამის გამოცემებს წინ უძლვის ხოლმე.

ვაჟასადმი მიძღვნილ წინასიტყვაობაში გერონტი კიკუ-  
ძე ერთ ადგილას შედარებით სწორ დებულებას იყენებს:  
„ვაჟა-ფშაველა ჩაშორჩხნილი ადამიანი იყო, ვერც ჟამი-  
ნარის კურსმა და ვერც უნივერსიტეტის ლექციაშია მა-  
ნამედროვე სული ვერ ჩაუჩიტეს... მისი მგრძნობიარობა  
პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია — ველური, მისი მო-  
რალი — საშუალო-საუკუნოებრივი. მას არაფერი ვაეგე-  
ბოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონა-  
ლიზმისა და ელექტრონისა, ორთქლმაცლისა და მანქანების  
ხანაში. ის წარსულის აჩრდილს ჰვავდა თავისი ჩაფუხითა  
და თავისი რაინდობით“ (გვ. XI). მაგრამ ოოგორც ვ. კო-  
ტეტიშვილი, სწორეთ ისე ტ. ტაბიძე ნაციონალისტებშე  
უფრო ნაციონალისტია და ზემოდ მოყვანილი შეხედულე-  
ბების უარყოფაა მთელი მისი „წერილი“. „ვაჟა-ფშაველა  
ისეთი ცომისაგან იყო მოზელილი რომ არც ერთ ქვეყა-  
ნაში მის პურს არ სჭირდნ: ვაჟა-ფშაველა მართლა რომ  
ახალი ქვეყანა იყო“, სწერს ავტორი, ვაჟა-ფშაველა თურ-  
მე „სოველ ფესვებს“ ეყრდნობოდა და მისი „იდეალი არ  
შეიძლებოდა სხვა არ ყოფილიყო — და ეს ქმნიდა წარ-  
მოდგენას, თითქოს ვაჟა-ფშაველა ჩამორჩა ეპოქას — მაგ-  
რამ დღეს ყველასათვის (ვინ ყველასათვის „ყანწელებისა-  
თვის?“ პ. ქ.) ცხადია — რომ ეს ამბავი გაუგებრობაა“ ვა-  
ნაგრძობს პოეტი, სკრინარისტი და საპონორარო მკვლევა-  
რი ტ. ტაბიძე. შაგრამ კიდევ ერთი, სულ ახალი აღმოჩენა-  
აქვს ტ. ტაბიძეს, ის რომ თურმე ქართული ბუნება წარ-  
მართული ყოფილა. „ვაჟა-ფშაველა, ვანაგრძობს ჩვენი  
„მკვლევარი“, არ ღალატობს ქართულ ბუნებას, მას აქვს  
ნამდვილი წარმართის სოფლმხედველობა და ყველაზე  
უფრო ეს მოცემულია „გველის მემელში“ -ო. ერთი სი-  
ტყვით ვაჟა იმიტომ ყოფილა „ქართული ბუნებისა“, რომ

იგი წარმართია! ამ ასეთი „წარმართულ“-ნაცონალი ტე-  
 რი იდეებით ვანუმარტა სახელგამმა ვაკა-ფშველას მა-  
 მქქმედება ახალ შეითხველს. გარდა ამ დახარისხებისა ც-  
 ტაბიძე წერილის ბოლოში პროლეტარულ მწერლების შე-  
 მკითხველს ხაზგასმით ურჩევს ისწავლონ ვაჭასაგან ცხოვ-  
 რების ათვისება, რადგან კლასიკოსებიდან თურმე სწო-  
 რედ ვაკაა ყველაზე უფრო მისაღები ჩვენი ეპოქისათვის,  
 ყველაზე ჯანსაღი. ცხოველმყოფელი და მგონი ინდუს-  
 ტრიალურიც კი. ამრიგად სახელგამმი პროლეტარულ მკი-  
 თხველს და მწერალს მისაბაძაცაც კი ურჩევს კლასიკოსე-  
 ბის რიცხვიდან აარჩიოს ყველაზე უფრო უკულტურო,  
 რეტროგრადიული, მისტიური, ანტისაზოგადობრივი და  
 ჩვენ კლასიურ ბრძოლის გაცხარებულ პერიოდისათვის  
 სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიალური  
 ეპოქისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელი მწერალი,  
 რომელიც არ ვიცით რა მოსაზრებით ატარებს კლასიკო-  
 ნის სახელს. კლასიკოსობა თუ ტიციან ტაბიძეებს და გე-  
 რონტი ქიქოძეებს დავაჩივებინეთ, მაშინ პირველი „ჩვენ  
 ძმა“ პაოლო იაშვილს ცოცხალ კლასიკოსად ვამოაცხა-  
 დებს და მეორე კი საქართველოში ყველაზე უნიკო და  
 უგემურ „მწერალ“. სანდრო შანშიაშვილს.

ძეელი მწერლობიდან უფრო რევოლიუციონურ ელე-  
 მენტების ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ არ დაფი-  
 სება-მიჩქმალების ტრადიცია დიდი ხანია არსებობს. ჩვენ  
 აქ აღარ მოვიგონებთ კ. აბაშიძის დამოკიდებულების შე-  
 სახებ ხალხოსნებისადმი, შემდევ ეგნ. ნინოშვილისა, გ. წე-  
 რეთილისა და სხვებისადმი — ყოველივე ეს კარგიდაა ცნო-  
 ბილი. მაგრამ სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ძეელი მწერ-  
 ლობის თანამედროვე კრიტიკა და ისტორია სავსებით ავ-

ჩელების კ. აბაშიძის მიერ „შვილებისათვის“ ნაწყობები ხაზს.

ავიღოთ მაგალითად ჭ. ლომთათიძის „თანამედროვე კრიტიკა. საქორო იყო დიდი ბოლშევიკური ფოლტრის რთუ ამ ისედაც ჯერ შეუსწავლელ სოციალ-დემოკრატ მწერალს მენშევიკური ეფექტი არ მოეხდინა. სახელგამმა კი ის ს. დევდარიანს ჩააბარა. ამას ჰქვია ცხვარი მგელს გადასც „შესაკრეპად“. ეს წინასიტყვაობაც, როგორც საერთოდ, ავტორმა დუალიზმის, გათრების და იდეოტური მენშევიზმის აგიტაციისათვის გამოიყენა. და-მის ძველის ძველ ოპორტუნიზმს შეეწირა ჭ. ლომთათიძეც. „ადამიანის გულშია, სწერს ს. დევდარიანი, ეს ორივე სტიქიონური ძალა, ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე. გრძნობა. ერთია ადამიანი თავის ბუნებით, ბუნებრივი მისწრაფებებით, მეორეა საზოგადოებრივ ურთიერთობაში შებმული“ (ჭ. ლომთათიძე. სახელგამი გვ. XV), „მე კაცისა და მე საზოგადოების... სხვადასხვაა ეს. სხვა არის ადამიანი თავისი კაცური გრძნობებით, მისწრაფებებით და სულ სხვაა იგივე ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობებში“ (იქვე გვ. XXII) და ამ ქარაფშუტა მოლაყბეს ჰქვითდა ოდესლაც მარქსისტი!! მარქსიზმმა, როგორც ორჯერ ორი თხია დაამტკიცა, რომ „ადამიანი თავისი კაცური გრძნობებით“ შეეფარდება ამავე ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომ არ არსებობს ადამიანი და მით უშეტეს მწერალი და ისიც ისეთი საზოგადოებრივი ხასიათის, როგორც ჭ. ლომთათიძე — ამ საზოგადოების ვარეშე: ს. დევდარიანი კი განაგრძობს: „ჭოლა სწერს და-მოუკიდებლად, არც ერთი საზოგადოებრივი მოძღვრება არ არის მისი მოკარნახე... როგორც მხატვარი და აზა როგორც მოახრე (მხატვრობა კი უაზრობაა? რომელი მხატვა-

რია არამოაზროვნე? პ. ქ.), ის ემრძვის კლასიურ სახოგადო-  
ებას კაცობრიული და ოდამიანური იდეალებისათვის” (იქვე  
XX). ასეთია სახელგამის „თანამედროვე მეცნიერებული-  
და „მარქსიზმი“ იმის შესახებ, რომ ქვეყანაზე მუსტე არის და  
სებობენ ისეთი მწერლები, რომლებიც თავისუფალი არიან  
საერთოდ მოსაზრებისაგან, საერთოდ იდეებისაგან და  
განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მოძღვრებისაგან.

ავილოთ შემდეგი შაგალითი ამ „სერიიდან“, სახელ-  
დობრ ვ. კოტეტიშვილის დახასიათება ხალხოსნებისა. სო-  
ფრომ მგალობლიშვილის შესახებ წინასიტყვაობაში ხალ-  
ხოსნებზე ვკითხულობთ: „ეს ჯვაფი ილია ჭავჭავაძის  
კალთაში აღიზარდა; მას იდეოლოგიურად ახალი არაფე-  
რი არ შეუქმნია...“ (ს. მგალობლიშვილი. - სახელგამი  
გვ. VI). ნიკო ლომოურის შესახებ ვ. კოტეტიშვილისვე  
მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში ასევე სწერია: „მართა-  
ლია ამ უკანასკნელთ (ხალხოსნებზეა ლაპარაკი პ. ქ.)  
იდეოლოგიურად ახალი არაფერი შეუქმნიათ...“ (ნ. ლო-  
მოური — სახელგამი გვ. VI), იგივე აზრი გვხვდება იმავე  
ავტორის „ისტორიაში“ და საერთოდ მთელ ქართულ კრი-  
ტიკაში. მაგრამ ის აზრი, თითქოს ხალხოსნებს, იდეოლო-  
გიურადაც კი არაფერი არ შემოეტანოთ ქართულ მწერ-  
ლობაში, თითქოს მთელი ქართული მწერლობა შეაღგენ-  
და „ერთ მთლიან ძმურ ოჯახს“, სადაც ცხვრები და მგლე-  
ბი ერთად სძოვდენ ერთი გულკეთილი და ყველასათვის  
ერთნაირად მშობლიური მამის ილია ჭავჭავაძის კალთის  
ქვეშ --- ყოველივე ეს ფეოდალური ინტელიგენციის მიერ  
მოქორილი ზღაპარია, პროვოკაციული ხრიკებია, რომე-  
ლიც დროა დაინგრეს მეცნიერებისა ე. ი. სოციოლოგიის  
იარაღის შემწეობით. ასეთი მტკიცება ნიშნავს: ხალხოს-  
ნების როლის არ დაფასებას ქართულ მწერლობაში, ხაერ-

თოდ რევოლიუციონერების ადგილის და ნამოდვაწევის  
მიჩქმალვით, იქნია ჭავჭავაძის უ. ი. ბურუჟაზიული გადა-  
გვარების გზაზე დამდგარი ფეოდალური ინტელიგენციის  
როლის უზომო გაზვიადებას, ძველ ქართულ მწერლობა-  
ში კლასობრივი ბრძოლის არ დანახვას და განვებ მიფუ-  
ჩეჩებას და სხვა. განა აშეარა არ არის, რომ ჯერ კიდევ  
თვით „მესამოცეანებს“ შორის იყო ზოგიერთი პოლიტი-  
კურ-სოციალური ხასიათის განსხვავება, მაგალითად ილია  
ჭავჭავაძისა და ანტონ ფურცელაძის შორის. ვ. კოტეტი-  
შვილი კა ამტკიცებს, რომ „... უთანხმოება, არსებული  
ანტონ ფურცელაძესა და იმ დროინდელ ჯგუფთა შორის  
არ იყო საპრინციპო ხასიათისა, თორემ დღესაც შეგვეძლე-  
ბოდა მისი დანახვა. იგი უფრო ტონის საკითხი იყო...“  
(ნაწ. II, გვ. 24). მაგრამ ტონი ხომ მუსიკას ჰქმნის და სწო-  
რედ ილიასა და ანტონს შორის შედარებით სხვადასხვა  
„პანგები“ ისმოდა. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ნაციონალიზ-  
მის თანამედროვე ეპიგონებისათვის რა სასარგებლოა ან-  
ტონ ფურცელაძის „კაცად“ ჩათვლა ან მისი ტონის მხე-  
დველობაში მიღება. ამიტომაა, რომ ყველგან ვხვდებით  
ასეთ მოსაზრებებს: „ის ჭირვეული პირდაპირობა (რა ცუ-  
დი რამ არის პირდაპირობა! პ. ქ.), რომელიც ზოგჯერ  
უტაქტობათ იქცევა, რაც ანტონ ფურცელაძეს ახასიათებ-  
და...“ (იქვე გვ. 246) ან „რასაკვირველია, ეს უკიდურე-  
სობა (ახ!) ახირება უფრო იყო, ვიდრე სერიოზული აზ-  
როვნება...“ (გვ. 248) ან კიდევ: „რასაკვირველია, აქ აჩქა-  
რებული მსჯელობისა და ერთგვარი ოღზნების (რა ცუდია  
აღგზნება! პ. ქ.) ნიმუშთან გვაქვს საქმე“ (ნაწ. III, გვ. 11)  
და ა. შ. დაუსრულებელი ლანდგა-გრინება იმ ხალხისა,  
რომელიც ილიას ყურმოჭრილ მონასავით არ მიყვებოდენ.

„ქ. გაპანელი კი თავის „ქართულ სულ“-ში სრულებით არიაფერს არ აშენდს იღლიას თანამედროვე ან პრე-შემწევებ გამოსულ ხალხოსნებ-დემოკრატებზე: დ. ჭონქეძეზე, ანუ ფურცელაძეზე და ისეთ მუშა მწერალზე როგორიცაა ი. დავითაშვილი, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ისინი ღირ-სნიც კი არ არიან ისტორიაში შეტანისა.

ზემოდებასახელებული ტენდენცია ქართულ მწერლო-ბაში შედარებით რევოლუციონურ ნაწილის არღაფასე-ბისა და სიძულვილი მათდამი მტკიცეთ არის გამჯდარი სკოლის სახელმძღვანელო წიგნებშიაც. ისეთი ხაზი თანდა-თან გადმოდის თანამედროვე პროლეტარული მწერლო-ბის მიმართაც. მაგ. ამ წლის სკოლაში შესასწავლად გა-ნათლების კომისარიატის მიერ გამოცხადებულია არაპრო-ლეტარული თანამედროვე მწერლობიდან ვინ იცის ვინ არა, საწყალი მოსაშვილიდან დაწყებული გორგაძით გა-თავებული (გავიკონია მეითხველო ისეთები?). და პროლე-ტარული მწერლები კი არა. იქვე უნდა აღინიშნოს სა-ხელგამის პოლიტიკის შესახებ: ვინ არ გამოიკა, მაგრამ ანტ. ფურცელაძეზე, ირ. ევდოშვილზე და სხვა ისეთებზე ნაკლებად პფიქრობენ!

ჩვენ პრესაში ზოგან უკვე იყო გაკრიტიკებული ქარ-თული ღიტერატურის ისტორიკოსების ცდა კლასიკოსე-ბის რევოლუციონერებად და სოციალისტებად მონათყ-ლისა. მაგრამ ჯერ არავის მიერ არ არის მონახული ისტო-რიკოს-კრიტიკოსების ამ ტენდენციის სოციალური ძირი. სოციალური მიზეზი ამ ტენდენციისა მშევნივრად ნათელ-ჰყო რეაქციონური ღიტერატურული ჯგუფის — „არი-ფიონის“ გამოსვლამ.

როგორც ვიცით საქართველოში განსაკუთრებული ეკონომიკური და სოციალური მიზეზების გამო ჯერ კიდევ

საკმაოდ ძლიერია ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენები. „არითონის“ გამოსვლის საერთო აზრც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რაიმე ნაირად მონასტრლიყო ამ ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენების რევოლიუციასთან „შეგუების“ ისეთი გზები, რომ ამ ინტელიგენციას, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაეთავისუფლებია რევოლიუციის და სოციალისტური მშენებლობის შინაარსი, რაც შეიძლება ნაკლებად მომხდარიყო მათი (ფეოდალური ინტელიგენციის) წარსულის რევიზია და რაც მთავარია გამონახულიყო ფეოდალური იდეებისა და ძველ კულტურის დილეტანტური არსებობის გაგრძელების ისეთი შესაძლებლობა, - როდესაც ძველი კულტურა ვარევოლიუციონერებული სამოსელით კომუნიზმთან „თანამშრომლების“ უფლებას მოიპოვებდა. ამისათვის საკიროა, რომ ფეოდალურმა ინტელიგენციამ, რაც შეიძლება რევოლიუციონურ და სოციალისტურ „საქონლად“ „გაასაღოს“ ყოველივე ის, რაც მას წარსულში მოებოება. და სწორედ ფეოდალური კულტურის თანამედროვეობაში უმტკივნელად გადმონერების, ამ ფეოდალური კულტურის წარსულისადმი კომუნისტებში ნდობის გამოსაწვევად, კულტურის სფეროში კომუნისტური კლასობრივი ხაზის შესასუსტებლად, ფეოდალური ინტელიგენციის რევოლიუციასთან თავის სახარებლოდ შეგუების სურვილით აიხსნება ქართული მწერლობის ისტორიკოსების მიერ ფეოდალურ კლასიკოსების სოციალისტებად და რევოლიუციონერებად გახადების ცდები.

მოკლედ რომ ესთქვათ ქართულ მწერლობაში და განსაკუთრებით კლასიკოსების კრიტიკაში ადგილი ჰქონდა და აქვს ფეოდალიზმის და კომუნიზმის შერიგების მეტად კურიოზულ ცდას. ყველაზედ უკეთესად, ვიმეორებ, ეს

იდეა გამოსთქვა „არიფიონბა“, „არიფიონის“ შექმნამდე  
კი მისმა იდეურმა სულის ჩამდგმელმა გერონტერექტომეტ-  
გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1926 წელს ფურნალ კარი-  
თული მწერლობის“ 1 №-ში ჩვენი ფეოდალური ინტელი-  
გენციის ორ კლასიკისადმი, აკაკისა და ილიასადმი, მიძ-  
ღვნილ წერილში სწერდა: „სოციალიზმს“ როგორც ავტო-  
რიტარულ აზროვნებას, შეიძლება მეტი საერთო პქონდეს  
არისტოკრატიის იდეოლოგიისთან, ვიდრე ლიბერალიზმსა  
და ბურჟუაზიულ დემოკრატიისთან. ყოველ შემთხვევაში,  
ცხოვრების განვითარების დიალექტიკა დღეს აცოცხლებს  
ისეთ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც სამუდამოდ  
მკვდარი გვვონია ფეოდალურ ხაზოგადოებასთან ერთად“  
(იხ. „ქართული მწერლობა“ № 1, 1926 წ. გვ. 34).

აი ეს ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგიის რე-  
სტავრაცია, რომელსაც გ. ქიქოძის აზრით ბურჟუაზიულ  
დემოკრატიაზე უფრო მეტი საერთო აქვს კომუნიზმთან  
„აცოცხლებს ისეთ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც  
სამუდამოდ მკვდარი გვვონია ფეოდალურ ხაზოგადოებას-  
თან ერთად“. ეს რესტავრატორული იდეოლოგია პქმნის  
ლეგენდებს ფეოდალური მწერლების რევოლიუციონურ-  
სოციალისტური წარსულის შესახებ, ეს იდოლოგიაა, რომ  
გვივლინება ხელოვნებაში „ქართული სტილის“ სახით,  
პოლიტიკაში — „სმენოვეხოველობის“ სახით, მწერლობა-  
ში — „არიფიონის“ სახით, რომლის მწერლები თანამედ-  
როვეობაში ცდილობენ თამარ მეფისა და „შოთას ბეჭ-  
დის“ პოვნის (ს. შანშიაშვილი), ან და მთელი თავიანთი  
მხატვრული ავტორიტეტით გვიხატავენ იდეალურ სურა-  
თებს მშვენიერი წარსულისას, რომელიც ჯვარის მონას-  
ტრის სახით თურმე ათასხელ უფრო დიდებული, ლამაზი  
და წარმტაცია, ვიდრე ზაჰესი (შ. დადიანი, გ. ქიქოძე).

ზემოდ დახასიათებული რესტავრატორული იდეკსებ  
შედეგია კ. კაპანელის მტკიცება იმის შესახებ, რომ ილია  
ჭავჭავაძე არის „ქართულ ლიტერატურაში ეჭრშმარიანობა  
ღალადება თავისუფლებისა, თანასწორობისა, ხრამის ინობის  
სა, შრომის, პატივისცემისა, რევოლიუციისა და სოცია-  
ლიზმის“ (იხ. გვ. 147). იმავე რესტავრატორულ იდეკსებმა  
აიძულეს ვ. კოტეტიშვილი დაეწყო მტკიცება, თითქოს  
ყველაზე უფრო რეტროგრადი მწერლები: გრ. ორბელია-  
ნი „სოციალური პატრიოტია“ (რას ნიშნავს ეს მცნება?)  
და ბარბარე ჯორჯაძე (ბარბარეც კი) ბატონიშვილის წი-  
ნააღმდეგ მებრძოლი (იხ. ნაწ. II, გვ. 71). ამ იდეკსები ხაზის  
გაგრძელებას შეადგენს ვ. კოტეტიშვილის ცდა, რათა ალ.  
ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას პატრიარქალური სიძველის  
იდეალიზაცია დაგვიხაზოს, როგორც მხოლოდ რუსეთის  
ბიუროკრატისმის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძო-  
ლის შედევი, მაშინ როდესაც „მთის შკოლა“ რუსეთის  
ბიუროკრატის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, იმრძო-  
და ხაერთოდ ცივილიზაციის, ხაერთოდ კულტურული (ამ  
შემთხვევაში ბურეუაზიული) წინსელის წინააღმდეგ, რაც  
შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი რეაქციონური  
ხალხოსნობისა, რომლის წარმომადგენლებია ჩვენში ვაჟა  
და თითქმის ისევე ალ. ყაზბეგიც.

ვ. კოტეტიშვილი, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეზეც  
დაახლოვებით იმავე შეხედულებისაა, რა შეხედულებისა  
აღმოჩნდა კ. კაპანელიც, მაგრამ ვ. კოტეტიშვილს იქაც  
არ უღალატა ყოველთვის მასთან მყოფმა წინ წასწრების  
გრძნობამ და მან უკვე არა მარტო ილია, არამედ მთელი  
შესამოცე წლიანების სკოლა სოციალისტურ მიმართულე-  
ბად გამოაცხადა: „ჩვენი თერგდალეულები სოციალისტე-  
ბიც იყვნენ“-ო სწერს ივი (იხ. ნაწ. II, გვ. 81). კიდევ უფ-

რო შორს მიღის ჩვენი ისტორიული, ის ალექსანდრე გა-  
კაცაძეზედაც კი სწერს, რომ „ბატონ-უმობის წინააღმდეგ  
თქმა პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეკუთვნის“ — ამ იშ.  
ნაწ. II, გვ. 211), რომ მისი შემოქმედება „ეს არის პოლ-  
ტესტი არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების წი-  
ნააღმდეგ, მონობის ყოველგვარი ფორმის დაგმობა, წო-  
დებრივი განსხვავების უარყოფა, ეკონომიკურ ექსპლუატა-  
ციისადმი ზიზღი და საერთოდ ცხოველი დაცვა დამდაბლე-  
ბულთა და შეურაცყოფილთა“ (იხ. ნაწ. II, გვ. 87). ერთი  
სიტყვით აღ. ჭავჭავაძეც სოციალისტია და ამას სწერენ  
იმ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, რომლის მთელი შემოქმედე-  
ბა ფეოდალური ყოფის ხოტბა და შექებაა, რომლის ინ-  
ტერესი სასახლისა და მისი ფუფუნების ფონზე გაშლილი  
სიყვარულია, რომელიც თუ ჩაიმე საზოგადოებრივ თემა-  
ზე სწერდა, მხოლოდ ისეთზე, სადაც იგი დაკარგულ სასახ-  
ლის სურნელებას გულამოსკვნილი დასტირის, სადაც ის  
საქართველოს მონარქიზმზე ოცნებობს, („გოგჩის ტბა“...).  
და განა ანეგდოტი არ არის, როდესაც იმ კაცს, რომელიც  
რუსეთს დასკინოდა, რომ იქ ძლიერი და სრული ბატონ-  
ყმობა არ არისო — სოციალისტად აცხადებენ. განა შეიძ-  
ლება ჩაიმე ნაირად წაიშალოს რუსეთის მიმართ აღ. ჭავ-  
ჭავაძის „მუსტაზადში“ თქმული:

„ქაჯო ყოფა-ქლევა, ვამა, სმევა, აქვსო არეულად,  
დიღნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;  
ბატონ-უმობანი, გარჩევანი არა აქვთ სრულად;  
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა  
პსწყვლენ მტრულად“.

(იხ. აღ. ჭავჭავაძის ლექსები, 1881 წლის გამოცემის  
გვ. 68).

წერილის წინა ნაწილებში ჩვენ დავახასიათეთ ისიც, თუ როგორ ასოციალისტებენ ვაჟა-ფშაველასაც კი (ტ. ტაბიძე). ასევე იქცევიან ისტორიკოს-მკვლევარების ხნია მწერლების მიმართ. მაგალითების გამრავლება ამ მხრივ საგრძნობათ შეიძლება, მაგრამ ჩვენ გვვონია საერთო ტენდენცია და მდგომარეობა საკმაოდ ნათელია მოყვანილი მაგალითების მიხედვითაც.

ქართული მხატვრული მწერლობის ის უდიდესი ნაწილი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე შექმნილა კლასობრივად მოწინააღმდეგე იდეოლოგიის ხელშია. ჩვენი წერილის ამოცანაც იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტებით ხელში ნათელგვეყო ეს მდგომარეობა. ჩვენ გვინდა პროლეტარული საზოგადოებრიობის და კერძოთ პარტიის ყურადღება მხატვრული მწერლების ამ მივიწყებულ ფრონტს მივაჭიოთ. კლასიკური მწერლობა დღევანდელ პირობებში როდესაც მისი კრიტიკა და ისტორია სხვას ხელშია — ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული. მაგრამ შესაძლებელი და საჭიროა საჭეების კომუნისტური მობრუნება, საჭიროა კომუნისტური ლიტერატურული კრიტიკის გაძლიერებული ცეცხლი, რათა კლასიკიზმი ჩვენ სასარგებლოთ იქნეს ამეტყველებული.

1931 წლის შენიშვნა: სამი წლის წინად დასტამბისას (ვ. „მნათობი“, 1929 წელი, № 5 — 6) დაშვებული ცალკე არასწორი ფორმულირებები აეტორის მიერ ეხლა სათანადოთ შესწორებულია, რის გამო პროველი ვარიანტი არ შეიძლება ჩითვალოს უფლებამონი ტექსტიდ.



## დიალექტიური გატერიალიზაციის თუ ეპლექტიური იდეალიზაციი

დიალექტიური მატერიალიზმი, როგორც მუშათა კლასის შემცენების მეთოდი უკანასკნელ ხანებში შეიჭრა მეცნიერების ყველა დარგში და კაცობრიობის ისტორიული გზის მაჩვენებელი და ხელმძღვანელი გახდა.

დღეს აშენაა, რომ მხოლოდ დიალექტიურ მატერიალიზმს შეუძლია მოვლენათა სწორი ანალიზი, მისი აუცილებლობისა და განვითარების შესაძლებლობათა ასსნა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა მსოფლმხედველობა შემოზღუდულია „კაბინეტური იდეალიზმით“. ისინი ცდილობენ ათასგვარ თთახურ „თეორიების“ გამოვლენებას და კატეგორიული იმპერატივების გამომუშავებას. მაგრამ ასეთი ხალხი ერთხელაც არ დაფიქრებულა და არ შეეითხებია საკუთარ თავს — ეთანხმებიან თუ არა ეს „თეორიები“ ობიექტიურ სინამდვილეს.

ასეთი ადამიანების შესახებ ნეკრასოვი ამბობდა:

Что ему книжка последняя скажет,  
То на душę его сверху и ляжет.

უკანასკნელ წიგნში ამოკითხული — მთელი სიმწვავით გამოაშკარავებულია მთელ რიგ ქართული ლიტერატურის

მკვლევართა შრომებში, რომლებიც ხშირად ეკლესიანთ-  
მის სამოსში არიან გახვეულნი და რომელთა ავტორები  
გვევლინებიან როგორც მარქსიზმის რევიზორებიდან და ასე

ამ უკანასკნელის საუკეთესო ნიმუშია — ქართული კაპანების წიგნი „ქართული ლიტერატურის სოციალური გა-  
ნეზისი“. აღნიშნული შრომა, როგორც ლიტერატურული,  
დოკუმენტი — წარმოადგენს იდეალიზმის ერთ-ერთ სახეს,  
რომლის წინააღმდეგ მარქსისტულ კრიტიკას ჯერ კიდევ  
არ აუმარლებია ხმა. მდგომარეობა მით უფრო სამწუხა-  
როა, რომ კ. კაპანელის ეს იდეალისტური წიგნი უანათ-  
ლების კომისარიატის მარკით მიღის საბჭოთა სკოლებში,  
როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. ამ იდეალისტურ  
წყაროდან იწყებს მოსწავლე ახალგაზრდობა მსოფლმხე-  
დველობის შემუშავებას. აქედან ითვისებენ ისიხი იდეა-  
ლისტურ აზრებს ლიტერატურის საკითხებზე.

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს კ. კაპანელის ორგანო-  
ტროპიზმის „თეორიის“ მეთოდოლოგიური მხარის მეც-  
ნიერული ანალიზი, (თუმცა მეცნიერული ამ წიგნში ძლიერ  
ნაკლებია), რომლის მიხედვითაც დაწერილია „ქართული  
ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. ჩვენ გვაინტერე-  
სებს დასახელებული შრომის ის ადგილები, რომლებიც  
სრულიად ეწინააღმდეგებიან კეშმარიტების ელემენტი-  
რულ კანონებსაც კი.

ჯერ კიდევ წინად კ. კაპანელი დიდი პრეტენზით აც-  
ხადებდა, რომ მისი შრომა სავსებით დაყრდნობილია მარ-  
ქსიზმზე, რომ ორგანოტროპიზმის „თეორია“ უკანასკნე-  
ლი სიტყვაა მეცნიერების და ხხვა. ამ პრეტენზის უსა-  
ფუძვლობა მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს, ჩვენ  
შევეცდებით კ. კაპანელის იდეალისტური ეკლექტიზმის  
შეს სინათლეზე გამოტანას.

კ. კაპანელი წიგნის შესავალში სწერს:

„ლიტერატურული ფაქტი უწინარებ ყოვლისა ფაქტა  
ბიოსფერიული და მხოლოდ შემდეგ ამისა იგი ემორჩი-  
ლება ეპოქის საერთო მიმდინარეობას ”) (ხუნა-სუსტარ-  
დ. ბ.).

ლიტერატურული ფაქტის ასეთი ახსნა — სავსებით  
ეწინააღმდეგება ობიექტიურ კეშმარიტებას. აქ მთლიანად  
გამოტოვებულია სოციალური არე, რომლის საფუ-  
ძველზე იქმნება ეს ლიტერატურა. მარტინიშვილის ლი-  
ტერატურული ფაქტი უპირველესად სოციალური პრო-  
დუქტია. ლიტერატურული დოკუმენტი წარმოადგენს  
კლასიური ურთიერთობის ფაქტორს. აქ კაპანელი შეგ-  
ნებულად გაურბის ფაქტის კეშმარიტ მხარეს და ამ ნია-  
დაზე ბიოლოგიაში გადააქვს საკითხის ცენტრალური სიმ-  
ძიმე.

კ. კაპანელი ამით არ კმაყოფილდება: „იდეოლოგია  
დამყაროს ორგანტროპიული ფაქტია, სწერს იგი. იდეო-  
ლოგიური განვითარება ყველა ხალხის ცხოვრებაში მიმ-  
დინარეობს ბიოსფერიულად; ქრონოლოგიური თანდათა-  
ნობა იმდენად შეიცავს შემოქმედებითი ევოლიუციის სა-  
ქრთო სახეს, რამდენათაც ცხოვრება წარმოადგენს სოცია-  
ლურ არეების შეფარდებას ერთმანეთთან. ისტორიია არ  
არის სწორი ხაზობრივი დენა. ცივილიზაციის თვითეული  
პერიოდი წარმოადგენს ერთდაგვარ წრეწირს: ”) (ხაზი  
ყველგან ჩვენია. დ. ბ.).

უკანასკნელი სტრიქონები წარმოადგენენ იმ იდეალი-  
სტურ წესედულებათა ფოკუსს, რომელსაც კ. კაპანელი

\*) იბ. „ქარ. ლიტ. სოციალური გენეზის“ გვ. 6.

\*\*) იბ. ქარ. ლიტ. სოციალური გენეზის“ გვ. 25.

ანვითარებდა „სული და იდეო“-ში. მტკიცება—იმის, რომ  
ეკონომიკის და ცივილიზაციის დენა წარმოადგენს წრე-  
წირს, ნიშნავს ისტორიული პროგრესის უარყოფას. კულ-  
ტურისათვის ხომ კაცობრიობის ისტორია „კი შშაოული  
შემთხვევების და ამორალური გლეჯის ისტორიაა“. აქე-  
დან არ არის გასაკვირი, თუ წიგნის ავტორი მისცემს უფ-  
ლებას საკუთარ თავს ამტკიცოს ისტორიის შემთხვევითო-  
ბა და რეგრესიული ხასიათი. ისტორიის „წრეწირისებუ-  
რი“ წარმოდგენა გვასწავლის, რომ არსებობს, როგორც  
განვითარების, ისე უკანდახევის პერიოდები. მაგრამ საბო-  
ლოოდ მაინც სჭარბობს უკანდახევის პერიოდები, რომლე-  
ბიც გვივლინებიან კატასტროფების სახით. დაბოლოს ეს  
მოძღვრება უარყოფს ყოველგვარ პროგრესს და ისტო-  
რიის უყურებს, როგორც ერთდაიმავე ადგილზე ტკეპნას.  
ეს უკვე აშკარა ფატალიზმი და მისტიციზმია, რომელ-  
საც არავითარი საერთო არა აქვს კეშმარიტ მეცნიერე-  
ბასთან ე. ი. დიალექტიურ მატერიალიზმთან.

კაპანელს არ ესმის, რომ მიუხედავად მრავალგვარი  
კატასტროფებისა საბოლოოდ მაინც პროგრესი ხდება.

ჯერ კიდევ ჰეგელი ამტკიცებდა ამ ფაქტის აუცი-  
ლებლობას. იმის შესახებ ფ. ენგელსი სწერს: „ამ გვარად,  
ხელახლად წინ წარმოსდგა ჰეგელის ფილოსოფიის რევო-  
ლუციონური მხარე, განთავისუფლებული იდეალისტური  
სამოსელისაგან, რომელიც ჰეგელის ნაწარმოებში ხელს  
უშლიდა მის თანამიმდევრობითი გატარებას. ერთი დიადი  
ძირითადი აზრი ჰეგელის შემდეგ ისე შევიდა საერთო აზ-  
როვნებაში, რომ მის ზოგად ფორმას დღეს ვერავინ უარ-  
ყოფს: ეს აზრია, რომ ქვეყანა მზამზარეული, დამთავრე-  
ბული საგნებისაგან როდის შესდგება, არამედ პროცესის  
ურთიერთობას წარმოადგენს, სადაც გარეგნული, თითქოს

უცვლელით საგნები და ტვინის მიერ აღბეჭდილი სახეები  
ანუ ცნებები, მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. ე. ი. ხან  
აღმოცენდებიან, ხან განადგურდებიან, ასე, რომ მოჩვენე-  
ბითი შემთხვევებისა და დროებით უკანდახვის მიუხედა-  
ვათ — ბოლოს მაინც პროგრესიული განვითარება  
ხდება“ \*).

ამრიგად, ის რასაც ზემოდ კ. კაპანელი (შპენგლერის და  
სხვათა გავლენით) ამტკიცებდა, წარმოადგენს კონტრასტს  
ფ. ენგელსის მიერ ისტოირულ პროცესების შეფასებისას.  
შტკიცება იმის, რომ ცივილიზაციის პერიოდები ერთგვარ,  
უცვლელ წრე-წირს წარმოადგენენ, მეტაფიზიკური ახსნაა  
მოვლენების. უარყოფა ისტორიული პროგრესისა და ზედ-  
ნაშენების ურთიერთ მოქმედების — აშვარა ბრძოლაა  
დიალექტიური მატერიალიზმის წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. კაპანელის ეს აზრი არ  
არის თავალი და ორიგინალური, იგი ერთ-ერთ თავის საწყის  
მე-18 საუკუნის მექანიკურ სულელურ მატერიალიზმიდან  
(ლენინი) იღებს. ეს მატერიალიზმი საგნებსა და მოვლე-  
ნებს არ უყურებდა ისე, როგორც პროცესს, როგორც ნივ-  
თიერებას, რომელიც შეუწყვეტელ განვითარებაში იმ-  
ყოფება.

ფ. ენგელსი მექანიკური მატერიალიზმის ამ ნაკლ  
● ხსნიდა იმ დროინდელი ბუნებათმეტყველების განვითარე-  
ბის დაბალი დონით და მასთან შეკავშირებულ ფილოსო-  
ფიურ აზროვნების მეტაფიზიკურ, ე. ი. ანტიდიალექტიურ  
მეთოდით, რომლითაც ხელმძღვანელობდა აღნიშნული  
მეცნიერება.

\*) იხ. ფ. ენგელსი — „ლოდვიგ ფილიპახი“, გვ. 85.

მე-18 საუკუნის მექანიკური მატერიალიზმის შეხახებ  
ფ. ენგელისი სწერს: „ბუნება, რომ მუდმივ მოძრაობაშია,  
ეს მაშინაც იცოდენ, მაგრამ მაშინდელი წარმოდგენით,  
ეს მუდმივი მოძრაობა ერთ უცვლელ წრეში სწარმოებდა  
(როგორც კ. კაპანელი ფიქრობს, დ. ბ.); ამგვარად, არსე-  
ბითად ერთ ადგილზე ჩემოდა; იგი ყოველთვის ერთხა  
და იმავე შედეგებამდე მიღიოდა \*).

თუ მე-18 საუკუნის მექანიკური მატერიალიზმს საგ-  
ნებისა და მოვლნების კეშმარიტ შემცნებაში ხელს უშ-  
ლიდა იმ დროინდელი ბუნებისმეტყველობის განვითარე-  
ბის დაბალი დონე, დღეს ხომ ამ მეცნიერებამ საგრძნობ-  
ლად წინ წარმატებია. მაშინ რა საჭიროა კ. კაპანელმა „ორგა-  
ნოტროპიულად“ გვეძახოს უკან — მე-18 საუკუნის მე-  
ტაუიზიკისაკენ, როდესაც დიალექტიური მატერიალიზმი  
იძლევა მოვლენათა სწორ ახსნას.

სასტიკად ცდება კ. კაპანელი, როდესაც იდეოლოგიას  
აცხადებს სამყაროს ორგანონტროპიულ ფაქტად, \*\*) მარ-  
ქისიზმისათვის იდეოლოგია კლასიური განცდების, მისწრა-  
ფების და მიზნების გამოთქმის გამოხატვის ფორმაა,  
რომელსაც საბოლოოდ საფუძველად ეკონომიური ურთი-  
ერთობა უდევს; ამიტომ ადამიანთა მოქმედების ამ მხარეს  
გამოცხადება ორგანონტროპიულ ფორმად, ყოვლად დაუ-  
შვებელი და გაუმართლებელია; რადგანაც ორგანონტრო-  
პიზმს (თუ მექანოტროპიზმს!) არ გააჩნია, სისტემათა ერ-  
თიანობა, თანმიმდევრობითი, მწყობრი გაგების უნარი —  
ისტორიული მოვლენებისა.

\*) იხ. ფ. ენგელის — ლუდვიგ ფეიერბახი“ გვ. 86.

\*\*) იხ. „ქარ. ლიტ. სოც. გენეზისი“. გვ. 25.

სადაც საჭიროა ფაქტის კლასიური სიმახვილით ამანა — იქ კაპანელი ბიოსფერიულ კოორდინატებით ცდილობს საკითხის გადაწყვეტას, სადაც საჭიროა დისტაქტური წინააღმდეგობათა მთლიანობის დაცვა — იქ კაპაშელი დუალიზმს იმარჯვებს.

მაგრამ ყველაზე სასაცილოა, როდესაც კ. კაპანელი იდეოლოგიის წარმოშობას საფუძვლად უდებს „გეოგრაფიულ-ტერიტორიულ“ ფაქტორებს. იგი სწერს: თითოეული იდეოლოგური ფორმა გამომდინარეობს ადგილობრივ ტერიტორიალურ-ისტორიულ და გეოგრაფიულ-სოციალურ თავისებურებიდან. თვითეული იდეოლოგიური სახეობა თითქოს სივნალია მიღებული ადამიანთა შორის ბიოსფერიულ საჭიროებათა მიმდინარეობაში \*). (ხაზი ჩვენია. დ. ბ.).

ეს არის წმინდა წყლის იდეალიზმი, რომელსაც აზავითარი საერთო არა იქნება კეშმარიტებასთან. აქ მთლიანად დავიწყებულია იდეოლოგიის წარმოშობი ფაქტორი — ეკონომიკის სახით რომელიც მულავნდება კლასიურ ბრძოლაში. იდეოლოგიის შემოზღუდვა ტერიტორიით — ნიშნავს მარქსიზმის ელემენტარული კანონების უკუგდებას. კაპანელის გაგებით გამოდის, რომ იმდენი იდეოლოგია და კლასი არსებობს, რამდენიც ტერიტორიალური შემოზღუდვა. ეს მექანიკური აზრი ძლიერ ჩამოგავს იმ ღეოდალის აზროვნებას, რომელიც შემოზღუდულია მხოლოდ თავისი ციხე-კოშკით.

მეორე ადგილას კი კაპანელი „ქართული ლიტერატურის სოციალურ გენეზისი“-ში სწერს: ბიოსფერომ წარ-

\* ) იხ. „ქართული ლიტ. სოც. გენეზისი“, გვ. 23;

მოშვა. სოციალურ განცდათა სხვადასხვაობა ერთხა და იმა-  
ვე ისტორიულ პერიოდში\*\*).

აქაც იღეალისტურ ახსნასთან გვაქვს საქმე, სოციალურ  
განცდათა სხვადასხვაობა დამოკიდებულია არა მროვლის-  
გაურ ფაქტორზე, არამედ ეკონომიკურ და კლასიურ ურ-  
თიერთობაზე. კაპანელი რატომლაც გაურბის მოვლენათა  
საფუძველებს და ამ ნიადაგზე სრულიად უმოტივოდ და  
უპასუხისმგებლოდ საკითხების სიმძიმე გადააქვს ბიოს-  
ფეროლოგიაში. ჩვენ არ უარვყოფთ ბიოსფეროს თავი-  
სებურ მნიშვნელობას; მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის ერ-  
თი ელემენტია და არა მიზეზთა ფოკუსი. აქ პირველიდი  
ფაქტორი კაპანელის მიერ სრულიად უმოტივოთა გამო-  
ტოვებული. ამ ნიადაგზე იგი ცდილობს ეკლექტიზმით  
მარქსიზმის რევიზიას. მას სურს შეაერთოს მარქსიზმი და  
ორგანოტროპიზმის „თეორია“, რადგანაც კაპანელის აზ-  
რით მარქსიზმი ორგანოტროპიზმის გარეშე — სქოლას-  
ტიკაა\*\*\*). აი სადამდე მიღის ეკლექტიკის მეთოდოლოგი-  
ური დაბნეულობა!

კ. კაპანელი „თანმიმდევრობითი“, „მწყობრი“  
მსოფლმხედველობის შემუშავების ვარჯიშობით ცდი-  
ლიაბს შექმნას, განსაკუთრებული სისტემა კატეგორიული  
ინტერატივის სახით. აქ კი კ. კაპანელი თავს ვალდებულად  
სულის — იდეალისტური დებულებების მომარჯვებით —  
ებრძოლოს მარქსიზმს; კაპანელს შესწევს გამბედაობა.  
ამტკიცოს, რომ „მეცნიერული ანალიზი, შესწავლა მო-  
ლენებისა ისტორიაში, ლიტერატურაში — შეიძლება მხო-

\*) იხ. „ქართული ლიტ. სოც. გენეზისი“, გვ. 27.

\*\*) იგივე წიგნი

ლოდ (მხოლოდ!! დ. ბ.) ორგანოტროპიზმისა და გენეზისა  
წესით“<sup>\*)</sup>).

გამოდის რომ, თურმე მხოლოდ ორგანოტროპიზმით  
შესაძლებელი ამა თუ იმ მოვლენის მეცნიერული აზალიზა.  
რატომ ვერ ხედავს კაპანელი ნამდვილ დიალექტიურ მა-  
ტერიალიზმს, მარქსიზმს, რომელთანაც ხშირად უყვარს  
მას „არშიყობა“. სად არის აქ მარქსისტული სოციოლო-  
გია, რომლისათვისაც თავდადებით იბრძვის ლენინიზმი და  
ბოლშევიზმი საერთოდ.

კაპანელის მთელი წიგნი ერთგვარი უარყოფაა დია-  
ლექტიური მატერიალიზმის: სოციალური და ლიტერატუ-  
რული პრობლემების დამუშავება ორგანოტროპიზმით  
მარქსიზმთან ბრძოლაა. კაპანელი ცდილობს მარქსიზმისა  
და ორგანოტროპიზმის, ამ ორ შეურიგებელ მსოფლმხე-  
დველობის გაერთიანებას. ცხადია, აქ კაპანელისათვის  
მარქსიზმი — შირმაა, რომლის საშუალებით ანალიზის  
იდეალისტურ შრომებს. ამ იდეალიზმის წინააღმდეგ  
ბრძოლა მარქსისტული კრიტიკის მთავარი ამოცანაა.

დღეს კლასიური ბრძოლა უკანასკნელ გამძაფრებამდე  
დავიდა. ეს ბრძოლა იდეოლოგიურ სფეროშიაც მძაფრია  
და თავისებურ გამოხატულებას პოულობს. ი. ჩევნოვის  
საჭიროა ამ საშიშროების ცოცხალი ანალიზი — რომ კლა-  
სიური მტრის სახე — იდეოლოგიაში უფრო ნათლად გა-  
მომეკინდეს.

ამ პირობებში კ. კაპანელის აღნიშნული შრომა ასრუ-  
ლებს კლასიური მტრის დაკვეთას.

ლიტერატურაში კ. კაპანელის სახით შემოდის მარქ-  
სიზმის ეკლექტიური რევიზორი, რომელიც შეგნებულად

<sup>\*)</sup> ი. „ქარ. ლიტ. სოც. გენეზის“, გვ. 40.

ცდილობს შარქისიზმის ჩევოლიუციონური შეთოვდის და-  
ხურდავებას და ორგანოტროპიზმის ეკლექტიურ „თეო-  
რიაზე მის მორგებას“. ეს მოვლენა მით უფრო სამწუხა-  
როა, რომ აღნიშნულ შრომას განათლების კომისარიატი  
უოველგვარ შენიშვნების გარეშე სახელმძღვანელოდ აწვ-  
დის მოსწავლე ახალგაზრდობას და ამით იდეალისტურ  
გესლს ანთხევს მათ ჯანსაღ ფსიქიკაში.

1930 წ. გაზ. „ახალგზარდა კომუნისტი“ № 278.

1931 წლის შენიშვნა: ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ კ. კაპა-  
ნელმა ხელმეორედ გამოსცა „ქირიული ლიტერატურის სოციალუ-  
რი გენეზისი“, რომელშიაც შეუტანია ზოგიერთი ცვლილებები,  
მაგრამ ის, რაც ჩვენი თავდასხმის ცენტრს (ე. ი. მეთოდოლოგია)  
წარმოადგენდა, კ. კაპანელს ოდნავ არ უკდია მისი რევიზია.  
ამიტომ ჩვენი წერილების საფუძვლები ძალაში აჩება.

## ფილოსოფიური სერიასთიას და ლიტერატურული მისტიციზმის შინააღმდეგ

ლიტერატურის მეცნიერების პრობლემებია უკანასკნელ ხანებში შიიბყრო არა მარტო მკვლევართა ყურადღება, არამედ საბჭოთა სახოგადოებრივი აზრიც. ამ სფეროში დასმული პრობლემების მარქსისტული-ლენინური გაშუქება მოითხოვს საკუთარ ძალთა გონიერობივი შესაძლებლობის მაქსიმალურ დაჭიმვას, რომ საკითხთა რთულ გალერეაში შევიდეს რევოლიუციონური აზროვნების კურსი.

ლიტერატურის მეცნიერების დარგში უკველად მოხდა გარდატეხა: თუ დღემდე აზროვნების ამ ფრონტის თეორიული საჭე ჩვენი მოწინააღმდეგების ხელში იყო, თუ კი უკანასკნელ დრომდე იდეალისტური და ნაციონალისტური სალიტერატურო მეცნიერება დაუსჯელი რჩებოდა, დღეს უკვე რადიკალურად შეიცვალა არა მარტო მოწინააღმდეგე ძალთა რეალური შესაძლებლობა, არამედ მოხდა ძირითადი გარდატეხა თეორიული აზროვნების სფეროში. დღეს ამ ფრონტზე წამყვან როლს მარქსისტული-ლენინური მეთოდოლოგია ასრულებს; ამ უკანასკნელმა უკვე დაიკავა გბრძანებელი სიმაღლეები და შეუნელებელი ენერგიით ებრძევის არა მარ-

ტო კლასიურ მტრებს, არამედ ჩვენ საკუთარ რიგებშიც  
ახდენს დაზვერვას — საკუთარი თეორიული ძალების  
იდეოლოგიური და თეორიული სიმტკიცის განვების მუალ-  
საზრისით.

მიუხედავად ამისა გულუბრყვილობა იქნება — გვე-  
ფიქრა, თითქოს სალიტერატურო მეცნიერების დარგში  
ყველაფერი რიგზეა. კლასიური ბრძოლების გამძალების  
ეპოქაში ასეთი თვითკმაყოფილება — მხოლოდ ჩვენს  
მტერს უწყობს ხელს — საკუთარ პოზიციების გამავრება-  
ში. მტერს ჯერ კიდევ საქმიო-სიძლიერე ახასიათებს. იგი  
თავდაცვიდან შეტევაზე გადმოდის და ხშირად ძალთა ხელ  
ახალ გადაჯგუფებას ახდენს; რაც მარქსიზმის და ლენი-  
ნიზმის მიერ წინა კარებიდან იდევნება, ხშირად მათ მიერ  
უკანა კარებიდან შედის და ძირითად პრობლემების იდეა-  
ლისტურად გადამუშავებას იწვევს. კერძოთ არ შეიძლება  
ითქვას რომ ლატერატურის ისტორიის ფრონტზე ჩვენ  
ისეთივე ძალები მოგვეპოება, როგორც სალიტერატურო  
კრიტიკის ფრონტზე. ამ ფაქტის კლასიკურ დოკუმენტს  
პროფ. ხერგი დანელიას „ვაფა-ფშაველა და ქარ-  
თველი ერი“ წარმოადგენს. ჩვენ ამ წიგნზე არაფერს არ  
ვიტყოდით, რომ მასში აგრე მკვეთრად არ იყოს მოცემუ-  
ლი მარქსიზმისა და ლენინიზმის გამიაბრუების ცდები.  
საქმიოდ მოზრდილ წიგნის მოელ მანძილზე — ს. დანელია  
პროფესორული ონბაზობით დიალექტიური მატერიალი-  
ზების უგულებელყოფას და იგნორიზაციის ეწევა. აღმაშ-  
ფოთებელი ის არის, რომ დანელია საკითხების განხილვის  
დროს მარქსიზმს შარლატანურად უარყოფს, ხოლო მარქ-  
სისტებს „უნიჭო დიალექტიკოსებს“ უწოდებს. სამწუხა-  
როა, რომ მთავლიტის მარკით — ეს არხირეაქციონური

შრომა მიღის საბჭოთა მკითხველთან და ამ ნიადაგზე  
მკვდარი ფილოსოფიი ცოცხალ თავებს აფუჭებს.

ს. დანელიას შრომა მიზნად ისახავს ვაჟა-ფშაველას  
მხატვრული შემოქმედების „საიდუმლოების ამოცნობას“,  
ის ძირითადი იდეის გაგებას, რომელიც ვაჟას პოეზიის  
ლერძა გახდა.

თემა უეპველად საყურადღებოა, რადგანაც ისეთი დი-  
დი მწერლის პოეტური ბუნების გამორკვევა, როგორც ვა-  
ჟა იყო — ფრიად ძნელი საქმეა. და ცდა ამ სიძნელის გა-  
დალახვისა — მისასალმებელი მოვლენაა. მაგრამ სერგი  
დანელიას აღნიშნული შრომა არამც თუ ხსნის სიძნელეს,  
არამედ ისედაც ბუნდოვან კითხებს გაურკვევლობის ბუ-  
რუსში ახვევს. დანელიას ხელში ვაჟა-ფშაველის მხატვრუ-  
ლი შემოქმედება ნიღაბად იქცა, რომლის საშუალებით ის  
ანალდებს საკუთარ რეაქციონურ მიზნებს; ვაჟა მისთვის  
კვლევის ძირითადი მასალა კი არ არის, არამედ უბრალო,  
დამხმარე საშუალებაა მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა-  
ში. ჩვენთვის ამ ბრძოლის ორი მომენტია საყურადღებო:  
ფილოსოფიური და ლიტერატურული. თვითოული მათგა-  
ნი ერთი-შეორეს ავსებს და ასაბუთებს. ამიტომ ჩვენ მათ  
მოლიანობაში განვიხილავთ.

ცნობილია, რომ ყოველი იდეალისტი თავის ფილო-  
სოფიურ კარიერას პრაქტიკის კრიტერიუმის წინააღმდეგ  
ბრძოლით იწყებს. ამ გზას არ ლალატობს პროფ. ხერგი  
დანელიაც. ნაწვალები პროფესორული იდეალიზმის წყა-  
ლობით — ს. დანელია პრაქტიკის კრიტერიუმს სინამდვი-  
ლეს სთიშავს და შემეცნების საზღვრების მიღმა გადააქვს  
საკითხების პრეცენტი მხარე. დანელიასათვის პრაქტიკა  
მოვლენათა ახსნის საფუძველი კი არ არის, არამედ პირი-  
ქით, თურმე „პრაქტიკული ცხოვრება არ გვაძლევს სა-

შუალებას, უფრო კარგად დავაკვირდეთ საგანს, უფრო  
ლრმად შევიჭრათ მის არსებაში, თორემ ჩვეულებრივ მო-  
შაკვდავსაც ყოველი საგანი სიცოცხლის სავსე არსებად  
წარმოუდგებოდა” \*).

დანელიას ეს სიტყვები პირველ რიგში პლაგიატია  
პლატონის ფილოსოფიური ტრაქტატებში მრავალჯერ  
გამოთქმული აზრის და ამავე დროს სიტყვა-სიტყვით გან-  
მეორებაა კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“-ს პირვე-  
ლი თავის რამდენიმე აბზაციას.

როგორც პლატონი, ისე კანტი თავიანთ ფილოსო-  
ფიურ სისტემებიდან სდევნიდენ პრაქტიკას, რაღაცანაც  
ამით გზა ეხსნებოდა იდეალურ არსს — თავისთავად, რომ-  
ლის შემეცნება შეიძლება მხოლოდ (?) „გრძნობითი ექს-  
ტაზით“. კანტი აბსოლიუტურად ამცირებდა პრაქტიკის  
როლს, მსოფლიოს მთლიან სისტემის შემეცნების დროს,  
ამ საფუძვლებზე ზრდიდა პრაქტიკიდან გამოთიშულ აზ-  
როვნების მნიშვნელობას. კანტმა მთელი თავისი გენია-  
ლობა შესწირა იმ აზრის დამტკიცებას, რომ მოვლენათა  
შილმა მყოფ აზროვნებას, ან უკერ: პრაქტიკიდან გამო-  
თიშულ აზროვნებას უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა  
აქვს გარემყარის შემეცნებაში, ვიდრე სინამდვილისადრი,  
პრაქტიკისადმი შეფარდებაში მყოფ გონებას. კანტის მიერ  
პრაქტიკის ამგვარ უგულებელყოფის წინააღმდეგ პირვე-  
ლად ლუდვიგ ფეირბახმა აღიმაღლა ხმა და დაამტკიცა,  
რომ „პრაქტიკა „ადამინური გამოცდილების“ ფორმა კი  
არ არის, არამედ ის არსებობს მისდა დამოუკიდებლად და  
შეადგენს მის საფუძველს“.

\*) ს. დანელია „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი“ გვ. 2.

ფეიერბახი მართალი იყო. როდესაც სწერდა: „რაც  
კანტს ეჩვენებოდა სულიერ, არა მატერიალურ აქტად,  
თავისთავად, ობიექტიურად ის არის მატერიალური. ცნო-  
ბიერი და ხელშესახები. ამ აქტების კრიტერიუმი ცხოვ-  
რების ცოცხალი პრაქტიკაა”. „საკითხი იმის შესახებ, სწე-  
რდა მარქსი, შეუძლია თუ არა ადამიანურ აზროვნე-  
ბას სავნობრივ ჭეშმარიტების შეცნობა, სრულიად თეო-  
რეტიული საკითხი კი არ არის, არამედ პრაქტიკული.  
ადამიანმა ჭეშმარიტება პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს,  
ე. ი. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას სინამდვილე და ქალა  
აქვს და მისი აზროვნება მოვლენათა მიღმა არ სდგას.  
ხოლო კამათი პრაქტიკიდან გამოთიშულ აზროვნების სის-  
ტორის ან უსწორობის შესახებ წმინდა სქოლასტიური სა-  
კითხია”.\*).

ლენინი „მატერიალიზმი და ემპრიოკრიტიკიზმი“  
შთელი სისასტეკით თავს ესხმის ემპრიოკრიტიკისტს —  
მახს, რომელმაც უარპყო პრაქტიკული სინამდვილე შემეც-  
ნების მთლიან სისტემაში. მახი პირდაპირ აცხადებდა, რომ  
„პრაქტიკა გამოყოფილი უნდა იქნეს შემეცნების პროცე-  
სიდან, რადგანაც ეს უკანასკნელი არ ექვემდებარება გნო-  
სეოლოგიურ განხილვას“. ასეთი განცხადებით მახი — თა-  
ვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ფართო აღ-  
გილს უთმობდა ავნოსტიკიზმს და იდეალიზმს.

„მატერიალისტის შეხედულებით, ამბობს ლენინი,  
ადამიანის პრაქტიკის „წარმატება“ ამტკიცებს, რომ ჩვე-  
ნი წარმოდგენანი შეეფარდებიან იმ სავნების ობიექტიურ

\* ) ქ. მარქსი „თეზისები ფეიერბახის შესახებ“.

ბუნებას, რომელთაც ჩვენ ავითვისებთ“ \*). სხვა ადგილზე ლენინი სწერდა: „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უძირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს და მას აუცილებლად მატერიალიზმთან მივყევართ, ივი იმთავითე უკუ ავდებს პროფესიონალი სქოლასტიკის დაუსრულებელ სპეციალიაციებს“ \*\*).

როდესაც ფეიერბახი სავნების კეშმარიტი აზრის კრიტიკიუმად პრაქტიკას ხმარობს. მარქსი კი პრაქტიკიდან გამოთიშულ აზროვნების სქოლასტიკას უწოდებს, ხოლო ლენინი იბრძვის იმისათვის, რომ ცხოვრება და პრაქტიკა ძირითად და უძირველს თვალსაზრისად გადააქციოს, მაშინ სერგი დანელია — ეს დიპლომიანი ორამცოდნე — მკითხველს ნაწვალები იდეალიზმით ასულელებს და ეპიური სიდინჯით უმტკიცებს მას. რომ „პრაქტიკული ცხოვრება არ გვაძლევს საშუალებას უფრო ერგად დავაკვირდეთ საგანს, უფრო ღრმად შევიჭრათ მის არსებაში“ ...

არსებითად დანელია ამით ახალს არაფერს არ ამბობს, იმეორებს სუბიექტიური იდეალიზმის ძეველ ზღაპარს, რომლის სიშიშვლე იფარება სიტყვიერი ონბაზობით. დანელიამ ეს ეპლექტიური მათხოვრული შეკამადი იგივე ძველ დაფლეთილ სამოსში გაახვია, მხოლოდ პლაკატი (გარეუანი) შეუცვალა; ამით მან ძლიერ ბევრი წააგო, რადგანაც თავისი იერიში მატერიალიზმის იმ პუნქტზე მიიტანა. რომელიც ძლიერ საბედისწერო აღმოჩნდა თავდამსხმელისათვის.

\* ) ვ. ლენინი „მატერიალიზმი და ემპიოკრიტიციზმი“, ტ. 13. 83. 142.

\*\*) იგივე წიგნი — ვვ. 145.

პრაქტიკის პრიტერიუმი რომ მოვლენათა ჰეშჩიტების საფუძველია, რომ ის გვეხმარება ჰეშჩიტების გაგებაში — მარქსისტულ ფილოსოფიაში ეს ხავითხი კამათს არ იწვევს და დავა მის შესახებ დიდი ხანას მოახსნავ. მაგან რამ დღეს თუ დიპლომიანი მცოდნენი კიდევ ბუქნაობენ ამ კითხვაზე, ეს მათი პროფესიონალი სქოლატიზმით და რეგვნული რეტროგრადობით აიხსნება. სქოლასტიკით და რეტროგრადობით კი წინსვლა შეუძლებელია.

აზროვნების განვითარების გრძელ მანძილზე ერთ-ერთ ძირითად სადაც პრობლემას ადამიანთა ისტორიის განვითარების შინაარსის გავება შეადგენდა. ამ საკითხის მთელი საიდუმლოება ამოიცნო მარქსიმა „პოლიტიკურ ეკონომიკის კრიტიკა“-ში, ხოლო ენგელსმა იგი ბრწყინვალედ დაასაბუთა „ანტი-დიურინგში“ და „ლუდვიგ ფეიერბახში“, მაგრამ როგორც სჩანს ეს საკითხი კიდევ აწეალებს მკვლევარებს და თავიანთ ფილოსოფიურ შრომებში საკმაოდ მოზრდილ ადგილს უთმობენ ამ საკითხის გაშუქებას. მან ქართველი მკვლევარების ყურადღებაც მიიქცია და სპეციალურ კვლევის საგნად იქცა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძლიერ ყალბ პრიზმაში ტარდება და საბოლოოდ იგი მახინჯად იქნა გადაწყვეტილი.

მკვლევართა მთელი რიგი, რომლებიც მეოცე საუკუნის მესამე ათეული წლების მიჯნაზე უგემურად ცოხნიან, ისედაც ნაცოხნ იდეალისტურ ეკლექტიზმს, იმ აზრს იცავენ, რომ ადამიანთა ისტორია, ბუნების ვითარება — გავს უცვლელ წრე-წირს და ერთი და იგივე სახე მეორდება ბუნების დაუსრულებელ ვითარებაში. ამ ნიადაგზე ისინი უარყოფენ პროგრესს და ადამიანთა ისტორიას უყურებენ, როგორც მუდმივ აღდგენას და მუდმივ დარღვევას. თუ არ ვცდები ეს აზრი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

პირველად კონსტანტინე კაპანელმა დააყენა თავის „წვალება და შემოქმედებაში“ („სტრადანიე ო ტვორჩესტვო“).

კ. კაპანელის აზრით, ადამიანთა ისტორია, წარმოადგენს ერთ უცვლელ წრე-წირს. „მ ნიადაგზე მან „სული და იდეა“—ში ამსოდიუტურად უარჲყო პროგრესის ცნება და ისტორია შეაფასა, როგორც „ამორალური გლეჯა“ (ვასაოცარი ტერმინია!). ჩვენ თავის დროზე პრესის ფურცლებზე აღვნიშნავდით, რომ კ. კაპანელმა ეს აზრი სრულიად უცვლელად გამოიტანა მე-18-~~საუკუნის~~ ფრანგულ-მექანისტურ მატერიალიზმიდან და ამ საფუძვლებზე იგი მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას. მაგრამ სამწუხაროდ ეპიგონურმა აზრმა რატომღაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა! (?). კაპანელი თუ იდამიანთა ისტორიულ განვითარებას ერთ — უცვლელ წრეში აქცევს, სამაგიეროთ ს. დანელია უფრო შორს მიღის და ამგვარ უცვლელ წრეში ათავსებს ბუნების მთელ სისტემას. „ბუნების ცვლილება, სწერს დანელია, მარადიულ წრეში ტრიალებს. ბუნების ვითარება ციკლიურად სწარმოებს და არა სწორხაზობრივად, ვინაიდან შესაძლებელი რიცხვი სახეებისა ბუნებაში არ არის უსაზღვრო, ამიტომ ერთი და იგივე სახე მეორდება ბუნების დაუსრულებელ ცხოვრებაში. „ვინც ამ აზრს ბოლომდის განვითარებდა, ის მივიღოდა მსოფლიოს პერიოდების პალინგენეზის აღიარებამდის.

რომ ერთხელ მოცემული სახე კვლავ უნდა განმეორდეს...

კვლავ უნდა იშვის ვაჟა, კვლავ უნდა მან დასწეროს „გველის მჭამელი“, კვლავ უნდა გამოსცადოს ყველაფერი ის, რაც ერთხელ ვანუცდია ამ ქვეყნად მოვლენისას, ასეთია ბუნების გრანდიოზული კონცეპცია, რომელიც პო-

ტენციონალურად მოცემულია ვაჟას პოეზიაში და ოთხე-  
ლიც აახლოვებს მას უდიდეს მოაზროვნებთან ძველ სა-  
ბერძნეთისა (ემპედოკლე, სტოელები)<sup>\*)</sup>.

ამ სტრიქონებში მოცემულია მთელი ფილოსოფიური  
კონცეპცია-მოკლებული ორიგინალობას. ამ კონცეპციის  
სიყალბე იწყება შესავალი ნაწილის მესამე სტრიქონიდან,  
სადაც ლაპარაკია სახეთა მარადიულობის შესახებ. დანე-  
ლიას ეს მტკიცება. ძლიერი ახლოა კიუვეს კატასტროფე-  
ბის თეორიასთან ბუნების მეტყველებაში; ე. ი. იმ თეო-  
რიასთან, რომელიც სახეთა წარმოშობას უზენაეს ძალას  
(ლმერთს) აწერდა. ამ თეორიის აზრით — ეს სახეები მუდ-  
მიც უცვლელია. „რამდენიც გააჩინა უზენაესმა — იმდენი  
სახე ცოცხლობს მხოლოდ“, მათი მოსპობა კატასტროფის  
ნიადაგზე უნდა მოხდეს, რომლის შემდეგ კვლავ მსგავსი  
სახეები წარმოიშვებიან. ამ მეტაფიზიკური — რელიგიუ-  
რი თეორიის წინააღმდეგ პირველად ლაშარქმა აღიმაღლა  
ხმა, ხოლო გენიალურმა ბუნებისმეტყველმა ჩარლზ დარ-  
ვინმა ბრწყინვალედ დაამტკიცა კატასტროფების თეო-  
რიის უნიადაგობა; დარვინმა დაამტკიცა, რომ ბუნებაში  
სახეები დაუსრულებლივ ვითარდებიან, დაბოლოს იცვ-  
ლებიან. დარვინმა რევოლუციონურად გამორიცხა უზე-  
ნაესის (ლმერთის) როლი სახეთა წარმოშობის თეორია-  
ში, ამ ნიადაგზე ფარდა აეხადა კიუვეს ყალბ თეორიას...  
ას ამ ყალბ თეორიას გვაჩეჩებს დღეს სერგი დანელია.  
ორტოდოქსალურად იცავს სახეთა მარადისობას, მაგრამ  
სკვენია, რომ ამ მარადისობის იდეურ მესაჭედ უზენაე-  
სი გამოაცხადოს.

<sup>\*)</sup> დანელია. — ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი", გვ. 13.

დანელია უარყოფს პროგრესის ცნებას და ბუნების  
ვითარებას უყურებს. როგორც მუდმივ ალდგენისა და და-  
შლის პროცესს. ამით დანელია ჩქმალავს მრვლენაზა დრა-  
ლექტიურ აზრს და მეტითი ზიკით ცდრელობს კითხვის  
ახსნას. ამგვარი მეტაფიზიკა ტიტანიურად დაამსხვრია  
ჰეგელმა თავის „ნაუქა ლოგიკა“-ში. ჰეგელმა პროგრესის  
ცნებას ვამოაცალა დოგმატიური საფუძველი, იგი აიყვა-  
ნა თავის სრულყოფილ სიმაღლემდე და დიალექტიური  
პრინციპებით მოძებნა შესაფერი ახსნა.

ცხადია, დიალექტიკს (მით უმეტეს მატერიალისტურ  
დიალექტიკას) ვერ მოვთხოვთ იმ ადამიანს (ს. დანელიას),  
რომელიც ბუნებაში აღიარებს მარადიულ სახის არსებო-  
ბას. მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ დანელია — ეს დიპ-  
ლომიანი არა მცოდნე ანტიური ფილოსოფიისა. საბჭოთა  
მკითხველს არ ასულელებდეს ნაწვალები იდეალიზმით და  
ამ ნიადაგზე ნილბ ქვეშ არ ეწეოდეს მარქსისტულ-ლენი-  
ნური მეთოდოლოგიასთან ბრძოლას. თავის ფილოსოფიურ  
შრომებში, რომ მკვდარი თეოლოგიური მოძღვრებით არ  
ავსებდეს „ცოცხალ თავებს“.

\* \* \*

ს. დანელია თავის შრომის ფილოსოფურ ნაწილში  
საკმარის დიდ ადგილს უთმობს ქრისტიანულ დოგმატიზმს.  
ამ დოგმატიზმით იბრძვის, როგორც ჰეგელის. ისე მარქსის  
წინააღმდეგ. ს. დანელიამ მარქსის რევოლუციონურ მე-  
თოდოლოგიას ქრისტიანული მისტიკიზმი დაუპირისპირა,  
ზოგადი და კერძო (კონკრეტული) ცნებების ნაცვლად  
გააძარონა რელიგიური სქემები, იდეიის განხორციელება

սասწայլագ մոտինօա და არსებულის პოზიტური გავერა, როგორც შემეცნების რევოლუციონური მხარე, განდევნა თავის ფილოსოფიური მსჯელობის არენიდან.

„ჰეგელის მემარცხენე მიმდევრები, — სწერს დანელია, ამბობენ, რომ ისტორია არის იდეიის განხორციელების პროცესი. ქრისტიანობას ეს შეხედულება შემდარად მიაჩნია. მისი (ქრისტიანობის) აზრით იდეიის განხორციელება არის სასწაული... იდეიის განხორციელება მართლაც სასწაულია და პოზიტიურად მისი განაზრება შეიძლება როგორც დაუსრულებელი პროცესისა მხოლოდ. ვერც პლატონი, ვერც კანტი ვერ ხსნიან როგორ ხდება ზოგადი ცნებების (იდეიის, კატეგორიის) გაკონკრეტება ემპირიაში, მართლაც ზოგადსა და კონკრეტ შორის უნდა იყოს სქემა, რომლის საშუალებით ხორციელდება კონკრეტის ზოგადისათვის მორიგება... მაგრამ სქემა თვითონ ზოგადობაა კონკრეტი წარმოდგენის მიმართ და კონკრეტობაა ზოგადი კატეგორიის მიმართ. ამრიგად იმის მაგივრად, რომ პრობლემა კონკრეტისა ზოგადობისათვის მორიგებისა გადაწყვეტილი იქნეს სქემის დაშვებით პრობლემა მხოლოდ რთულდება და მრავლდება; ერთი პრობლემა ორ ბლემად იქცევა, ე. ი. უნდა ახსნილი იქნეს ჯერ როგორც არის შესაძლებელი სქემისათვის კონკრეტი წარმოადგენის მორიგება. ამის ასახსნელად საჭირო ხდება ორი ახალი სქემის დაშვება, შემდეგ ოთხი, ახალის, შემდეგ რვა ახალის და ასე დაუსრულებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ იდეიის განხორციელება. ან ვაკოტრება დაუძლეველი პრობლემაა აზროვნებისათვის, და ინდივიდუაცია გაუგებარია პოზიტიური შემეცნებისათვის“ \*).

\* ) დანელია „ვაერა ფშაველა და ქართველი ერი“, გვ. 68.

ამ ფილოსოფიურ მსჯელობაში სიინტერესოა იმ მე-  
შარცხენე პეგელიანელის ამოცნობა, რომლის წირზაღმდევზ  
რელიგიოზური იერიშები მიაქვეს ს. დანელიას. დანელიას  
საპირდაპირო დებულებების თანახმად შეიძლება ითქვას,  
რომ აქ დანელია მარქსს გულისხმობდა, რომელმაც მაშინ,  
როცა პეგელის დიალექტიკის რევოლიუციონურ მხარეს  
უნიჭო ეპიგონები ტალახში სცრიდენ, ამ დიდებული მას-  
წავლებელის მოწაფედ გამოაცხადა თავი.

შენიშვნის სახით უნდა განვაცხადოთ, რომ დანელიას  
ძლიერ ყალბად ესმის იდეიის ცნება. იდეიის ქვეშ ის გუ-  
ლისხმობს იდეალიზმს, რაც აბსოლიუტურად შემცდარია.  
ფ. ენგელსი ფილოსოფობის დიურინგს მიუთითებდა, რომ  
მან თავის ფილოსოფიურ დასკვნებში გააიგივევა იდეა-  
ლური და იდეალისტური. დიურინგმა იდეა მიიღო, არა  
როგორც ადამიანის თავში გადამუშავებული მატერია-  
ლური რამ, არამედ იდეიის მიმართება მოღუნა — იდეა-  
ლიმზისაკენ და ამით „დამტკიცა“, რომ იდეიის მიღებას  
ჩვენ მივყევართ იდეალიზმისაკენ. ენგელსი იდეიის ამგვარ  
გაგებას „ეკლექტიკურ მათხოვრულ შეკამადს“ უწოდებდა.  
რომელსაც მხოლოდ დიურინგისთანა პროფესორულ  
სქოლისტიკოსები ამზადებდნ.

დანელიას ასევე ყალბად ესმის ზოგადისა და კონკრეტ  
(კერძო) ცნებების რაობის საკითხი. ამ ორი ცნების ერთი-  
შეორის მიმართებაში კონტრასტის ელემენტები აღმოაჩი-  
ნა. ასეთი ყალბი გაგების შედევიად დანელიამ ერთი-შეო-  
რეს დაუპირისპირა ზოგადი და კონკრეტი და მათ შორის  
ჰარმონიის დასამყარებლად დაუშვა რელიგიური ექსტა-  
ზით შესუდრული სქემა; მაგრამ პირობითად დაშვებული  
სქემა უძლური აღმოჩნდა საკითხების კეშმარიტ გადაწ-  
ყვეტაში.

ყოვლად დაუშვებელია ზოგადისა და კონკრეტ ცნებების დაპირისპირება, რაღაც მაშინ შეუძლებელი ვახდებოდა კონკრეტის განზოგადოება და განზიგადოებულის გაკონკრეტულობა. ზოგადი და კერძო ცნებები ერთმანეთს კი ორ უპირისპირდებიან. არამედ ერთი-მეორეს ავსებენ განსაზღვრულ დროში და სიცრცეში. ამასთან ერთად კონკრეტის განზოგადოების პროცესი — მექანიკური, სასწაულებრივი პროცესი კი ორ არის. როგორც ამას დანელია ფიქრობს, არამედ ის გამომდინარეობს მათ დიალექტიურ ბუნებიდან. ბუნებრივია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ შესძლო — ვერც პლატონმა და ვერც კანტმა. რაღაც ისინი იდეიის განხორციელების პროცესს, კონკრეტულ-პრაქტიკულ ცხოვრებაში კი ორ ეძიებდენ, არამედ იდეალურ არსში ნახულობდენ გამოსავალ წერტილს. ისინი იდეალურს — „შეტერიალურში კი ორ ნახულობდენ, არამედ პირიქით. მატერიის დემიურგად („შემქმნელად“) იდეას აცხადებდენ.

ზოგადი და კონკრეტ ცნებების გარკვევის დროს სერგი დანელია ერთი-მეორეში ურევს გნოსოლოგიურ კატეგორიას და მატერიის აღნავობის ამა თუ იმ თვისებას, ნამდევილად კი „სრულიად მიუღებელია მატერიის ამა თუ იმ აღნავობის (სტროენი), და გნოსელოგიური კატეგორიის ერთმანეთში არევა“ (ლენინი). რაღაც ასეთი არევა გზას იკაფავს იდეალისტურ ფილოსოფიისაკენ.

მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, რომ დანელიამ იდეიის განხორციელების საკითხი გადასწყვიტა ქრისტიანიზმის თვალსაზრისით. „იდეიის განხორციელება მართლაც არის სასწაული“ სწერს დანელია და ამის მტკიცება სკირდება იმ აზრის ნათელსაყოფად. რომელიც მთელი საუკუნეების მანძილზე იერიქონის საყვირით გაკიოდა.

„ძდეა, რომელიც სასწაულით ხორციელდება დამაუკიდება  
(შემოშქმედია) სინამდვილის“.

მარქსი პირიქით იმპობდა:

„ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი როაელსაც იგი  
დამოუკიდებელ სუბიექტათაც კი აქცევს, შემოშქმედია  
სინამდვილისა, რომელიც მხოლოდ მის გარევან გამოააშ-  
ვარავებას წარმოადგენს, ჩემთვის კი პირიქით, იდეალური  
სხვა არ არის რა, გარდა მატერიალური მხოლოდ ადამია-  
ნის თავში გადატანილი და გადამუშავებული“ \*).

ნათელია, რომ დანელიას სწორედ მარქსი ყავდა მხე-  
დველობაში, როდესაც წინააღმდეგ მემარცხენე ჰეგელია-  
ნელებისა, უარყოფდა იდეის განხორციელების პროცესს  
მატერიალურ ქვეყანაში. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება  
პროფ. ს. დანელია, იგი, მატერიალისტურ დიალექტიკას  
უკანა კარებიდან უვლის და წინა კარებიდან საქვეყნოდ  
თავს ესხმის არსებულის პოზიტიურ გაგებას. შენიშვნის  
საშით უნდა განვაცხადოთ, ამგვარ ლაშქრობას ჩვენი ამ-  
ხანაგებიც ეწევიან, და ამით ანტიმარქისტულ ანტილენი-  
ნურ პოზიციებზე სდგებან; მარქსი კი ამტკიცებდა, რომ  
„არსებულის პოზიტიური გაგება იმავე დროს შეიცავს მი-  
სი ნეგაციის (მისი უარყოფის) და მისი აუცილებლობის  
მოსპობის გაგებას. ყოველ შექმნილ ფორმას განიხილავს  
მოძრაობაში, ე. ი. წარმავალობის მხრივ. არავის წინაშე  
ქვდს არ იხრის და კრიტიკული და რევოლუციონუ-  
რია \*\*).

თავის შრომის ფილოსოფიურ ნაწილში დანელიას აბ-  
სოლიუტურად ყალბად აქვს გაგებული კაცობრიობის ის-

\* ) კ. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. 1. გვ. LXIII.

\*\*) იგივე წიგნი, გვ. LXIV.

ტორის განვითარების პროცესი. „მთელი ისტორიული  
პროცესი — სწერს დანელია, რომლის შინაარსს, ადამიანის  
ბუნებისაგან განაპირების ცდა შეადგენს და სტამელსაც კულტურულ განვითარებას ეძახიან, არის ადამიანის დაკ-  
ნიების, მისი დაშლის და მოსპობის პროცესი. ისტორიუ-  
ლი კაცობრიობა მინდიასავით ფიქრობს, რომ ის ღვთაე-  
რივ სიმაღლეს უახლოვდება, ნამდვილად კი ზევით როდი  
შიდის; რადგანაც ზევით არარაობაა, არამედ მინდასავით  
კვდება, რათა მისი სხეულის ელემენტებისაგან კაცბი გაჩნ-  
დენ. ამ ჭიების განვითარების გზა კვლავ ჰავაწევს ერთ  
დროს ადამიანებამდის, ეს ადამიანი კვლავ მოინტომება  
კულტურის შექმნას, ადამიანებიდან განდგომას და კვლავ  
დაიშლება. რათა კვლავ მის სხეულიდან ჭიები აღმოცენ-  
დენ, ასეთია მარადიული წრე, სადაც ბრუნავს მსოფლიო  
რიცოცხლე, რომელსაც არ აქვს არც დასაწყისი და არც  
დასასრული”.

ამ ციტატაში მხოლოდ ოთხი მომენტია კრიტიკის ყუ-  
რადლების ღირსი: პირველი, მტკიცება იმის, თითქოს კა-  
ცობრიობა იბრძვის ბუნებისაგან-განაპირებისათვის; მეო-  
რე, მტკიცება, რასაც ჩვენ კულტურას ვეძახით არის სი-  
ყალბე, ნამდვილად კულტურა მეტი არაფერია, გარდა  
ადამიანის დაკნიებისა, მისი დაშლისა და მოსპობის; მე-  
სამე, თითქოს კაცობრიობა მინდიასავით ფიქრობს, რომ ის  
ღვთაებრივ სიმაღლეს უახლოვდება და მეოთხე, ყველა ეს  
ერთ უცვლელ წრეში სწარმოებს.

ეს კითხვები ყურადღების ღირსია, რადგანაც მათი არ-  
სებითი გადაწყვეტა მხის სინათლეშე გამოიტანს ს. დანე-  
ლის პესიმისტრი, ასეგმითად დოგმატიურ-რელიგიო-  
ზური ფილოსოფიის სიღარაკეს. აღნიშნული დასმული  
კითხვები ახალი არ არის და დანელიაც ორიგინალობის

პრეტენზიით ვერ დაიტრაბახებს, იგი ჯერ კიდევ მცირება  
ბერძნებმა დააყენეს. ძევლი ბერძნების გენიალური ახორ-  
ვნება შეეჭიდა ამ პრობლემატიურ კითხვებს, მაგრამ მა-  
თი ამოხსნა ვერ შესძლეს, რადგანაც ამ საქმეს ხელს უმ-  
ლიდა მაშინდელი ფილოსოფიის და კერძოდ საბუნების-  
მეტყველო მეცნიერების განვითარების დაბალი დონე.

კ. მარქსმა, თავის ერთ-ერთ შესანიშნავ შრომაში \*) ეს  
კითხვები გაკვრით გაარჩია, რომელიც შემდეგ საფუძ-  
ვლად დაედვა „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკას“. მარ-  
ქსმა გენიალურად დაამტკიცა, რომ კაცობრიობის ისტო-  
რია — ბუნებისაგან განაპირების ისტორია კი არ არის,  
არამედ კლასთა ბრძოლის ისტორიაა, რომ კულტურა კა-  
ცობრიობისა — ადამიანის დაქნინების, მისი დაშლის და  
მოსპობის პროცესი კი არ არის, არამედ კულტურა არის  
ორგანიული მთლიანობა ცოდნისა და გამოყენების, რო-  
მელიც ახასიათებს რომელიმე კლასს ან და მის მართველ  
ჰარტიას. კაცობრიობა მინდიასავით კი არ ფიქრობს და  
ამ ნიადაგზე ლვთაებრივ სიმაღლეს კი არ უახლოვდება,  
არამედ თავის არსებობის შენარჩუნებისათვის გრანტიო-  
ზულად იბრძვის ბუნების დამორჩილებისათვის, მისი გა-  
მოყენებისათვის. ადამიანთა ისტორია ერთ უცვლელ წრე-  
ში კი არ ხდება, არამედ ეს განვითარება წარმოადგენს —  
პროგრესის ერთ განუწყვეტელ დიალექტიურ ჯაჭვს, რო-  
მელთა რგოლები ერთი-მეორის უბრალო განმეორება კი  
არ არის, არამედ განსხვავდებიან, როგორც მასით, ისე ამ  
მასის თვისებით. და განა ამის შემდეგ, კიდევ რჩება რამე  
ადგილი დანელიას პესიმისტური რელიგიოზური ფილოსო-

\*) К. Маркс — „Различие между натурфилософией Демокрита и натурфилософией Эпикура“.

ფილისათვის, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ნათელი  
გონიერით კი არ ზოშავს, არამედ მინდის გულუბრყვილო-  
ბით ცდილობს არსებულის ახსნას! ცხადია არა რომ არა რომ

ს. დანელიას ასევე ყალბად აქვს გაგებული მშვენიერების პრობლემა, სილამაზის ცნება. ამ ცნებას დანელია ანიჭებს აბსოლიუტურ-განყენებულ მნიშვნელობას. „ბუ-  
ნებაში — სწერს დანელია, განხორციელებულია აბსო-  
ლიუტური მშვენიერება... აბსოლიუტური მშვენიერება  
მარადიული არის და მას არ შეიძლება ჩაიმე მოაკლდეს,  
ან მიემატოს“.

სილამაზის, მშვენიერების ამგვარი განმარტება იდეა-  
ლისტურია და არსებითად ვერ ხსნის საკითხს. აქ ასესნილი  
ისევ ასახსნელი ხდება. ამავე დროს დანელიას ინდეფერენ-  
ტიულად აქვს გაგებული სილამაზის წარმოშობის რაობა  
იყი მას მხოლოდ ბუნების ნაწილად სთვლის და კაცობ-  
რიობაზე ერთიანად ავტოლებს. ნამდვილად კი: „სილამა-  
ზის იდეალი, რომელიც მეფობს ამა თუ იმ დროს, ამა თუ  
იმ საზოგადოებრივ კლასში, წარმოსდგება კაცობრიობის  
განვითარების ბიოლოგიურ პირობებისაგან, ფეხს იკიდებს  
ამ პირობებში, აქედანვეა სხვათა შორის რასიული თვისე-  
ბები. მეორეს მხრივ სილამაზის იდეალი ფეხს იკიდებს ამა  
თუ იმ საზოგადოების, თუ კლასის წარმოშობის და არსე-  
ბობის ისტორიულ პირობებში. და სწორედ შემდეგ ეძღვა-  
ვა ამ იდეალს სრულიად განსაზღვრული და არა აბსოლუ-  
ტური. არა განყენებული მნიშვნელობა“ \*).

ს. დანელია ეთაყვანება „წმინდა სილამაზეს“, მაგრამ  
ვერ ამჩნევს (!), რომ ამით „ის სრულიადაც არ ხდება და-

\* ) პლეხანოვი. „Эстетическая теория Н. Г. Чернышевского“,  
том 6.

მოუკიდებელი ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ისტორიული  
და ბიოლოგიურ პირობებისაგან, მისი ესთეტიური გემოვ-  
ნება შეინც ამ პირობების ნაყოფია". და თუ დროებით  
თვალს არიდებს ამ პირობებს, ეს მხოლოდ დაწესებით  
ოინბაზობაა, რომლის ნიღაბ ქვეშ იმაღლება საკუთარი  
კლასის იდეოლოგიური მავნებლობა.

სილამაზის და მშვენიერების ცნებების კატეგორია ისე-  
თივე კონკრეტულია, როგორც კლასის წარმოშობა და  
მისი არსებობის ისტორიული პირობები. აბსოლუტურა  
მშვენიერება, როგორც უცვლელი რამ—ბუნებაში არ არ-  
სებობს, რადგანაც მისი ლოგიური სისტემა ეწინააღმდე-  
გება სილამაზის აბსოლიუტურობას. ეს უკანასკნელი პი-  
რობითაც რომ დაუშვათ, მაშინ სილამაზის ცნებიდან უნ-  
და გამოვჩიტოთ მისი უტილიტარული მნიშვნელობა, ეს  
კი შეუძლებელი შესაძლებლობაა.

მაგრამ დანელია ამ წინააღმდეგობას წინდაწინევე  
გვერდს უვლის უტილიტარიზმის უარყოფით. დანელის  
სძაგს უტილიტარულ ღირებულებაზე საუბარი. ამ ნიადავ-  
ზე მან — ეს უკანასკნელი გამორიცხა მომქმედ არენიდან.  
„უტილიტარიზმზე — სწერს დანელია, მაღლა სდგას უდი-  
დესი ეროვნული კონცეპცია ბერძნებისა. პლატონიზმი.  
შსოფლიო აზრი პლატონისათვის იყო სიკეთე. პლატონი  
ფიქრობდა, რომ სიკეთე არის უმაღლესი კატეგორია, რომ-  
ლის ქვეშ უნდა განიხილოს სამყარო. კინაიდან მისი შე-  
სედულებით სიკეთე არის ის, რისთვისაც შექმნილია ყვე-  
ლაფერი. სიკეთე არის ერთად-ერთი ჩეალობა, რომლის  
გარეშე იმყოფება მხოლოდ არარაობა, შინაარსიხაგან და-  
ცლილი სივრცე, ანუ ქაოსი. ერთი სიკეთე იშლება მრავალ  
კატეგორიებად, რათა ჩასწვდეს ამ უსაზღვროდ განფენილ

ქაოსის უფსკრულს, შეიპყროს იგი და დაუქვებდა, საკუთარ არსს” \*).

პლატონის ეს არხიიდეალისტური ეთიკიზმი — სივრცა სიძლიერით გააკრიტიკა არისტოტელემ. პლატონისათვის თუ ადამიანური სიკეთე ერთად-ერთი რეალობა იყო, რომლის გარეშე იმყოფებოდა მხოლოდ არარაობა, სამავიეროდ არისტოტელისათვის სიკეთე მხოლოდ ერთი მხარეა სამყაროსი და ადამიანური ცხოვრების, და არა მისი შემომქმედი. ამით არისტოტელემ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ — მატერიალიზმისაკენ, თუმცა ეს გენიალური მოაზროვნე ვერ ამაღლდა მატერიალიზმის იმ სიმაღლემდე, საიდანაც იწყებოდა წყალვარდნილი იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის.

„ფილოსოფოსი“ დანელია იმდენად გააჩირეაქციონერდა, რომ მეოცე საუკუნის მესამე ათეული წლების მიჯნაზე — არისტოტელეს გაგებიდან — რამდენიმე მანძილით დაიხია უკან და პირდაპირ ჩავარდა პლატონის იდეალიზმი.

რატომ მოხდა, რომ პლატონის ეთიკიზმი უცვლელად შეიღო ს. დანელიამ?

გამოჩენილი დეკარტე ამბობდა: „პლატონის მიმბაძველებს შორის — ყველაზე უფრო თავი ისახელეს უნიჭოება“ — მ. ჩეენ დანელიას უნიჭობას ვერ დავწამებთ. მაგრამ ნათელია, რომ ამ ნიჭს ფლობს არა დანელია, არამედ პლატონის რელიგიური ფილოსოფია.

არისტოტელეს შემდეგ, პლატონის ეთიკიზმი ყველაზე ოსტატური თანმიმდევრობით მატერიალისტმა ბარუს

\* ) დანელია, — „ვარა ფშველა და ქართველი ერი“, გვ. 16. ხაზი ჩეენია — დ. ბ.

სპიზონამ გააკრიტიკა, მაგრამ აღმაშფოთებელი ის პრის, რომ დანელია — სპინოზის ამ გამოსცვლას პლატონის „წინააღმდეგ — მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში“ არ ნახულობს, არამედ მას ხსნის სპინოზის ებრაული ბუნებით. ეს არის ყველაზე საძაგელი ხერხი — მატერიალიზმთან ბრძოლისა, რომლის ნიღაბქვეშ იმაღლება დანელიას ანტისემიტური ბუნება.

• •

უდავოა, რომ ლიტერატურული დებულებები მით უფრო მტკიცეა, რამდენადაც ისინი დასაბუთებული იქნებიან ფილოსოფიის უკინასკნელი მიღწევებით. დანელიაც ამ განხრით იწყებს ლაშქრობას „უნიჭო დიალექტიკოსების“ წინააღმდეგ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის თავის სიმართლეს ფილოსოფიის უკინასკნელ მიღწევებით კი არ ასაბუთებს, არამედ უკვე მოძველებულ სქოლასტიზმით ცდილობს რთული პრობლემების გადაწყვეტას; ამ ნიადაგზე დანელიას ლიტერატურული დასკვნები ვერ უძლებენ ვერავითარ კრიტიკას.

დღეს ყოველ ფილისტერს ჩვეულებად გადაექცა რომელიმე გამოჩენილი ხელოვანის აპოლიტიკურად გამოცხადება. დანელიაც თავის ლიტერატურული კარიერის წმინდა მოვალეობად სთვლის ამ ძეირთას „ტიტულის“ ორტოდოქსლურად დაცვას და ქრისტიანული პათოსით აცხადებს: ვაჟას პოეზია აპოლიტიკურია და ეს გარემოება ვიწროდ არის დაკავშირებული ვაჟას მსოფლმხედველობასთან“. \*) პირდაპირ ივგენი დვალის „ფილოსო-

\*) დანელია, — „ვაჟა ღმაველი და ქართველი ერი“, გვ. 16.

ფიაა"; გამოდის, რომ ვაკეს მსოფლმხედველობაც ჰქონდა  
და იმავე დროს კი აპოლიტიკური იყო.

ჯერ კიდევ არისტოტელემ იცოდა, რომ მისი მსოფლი  
მხედველობა გააჩნია, ის არ შეიძლება აპოლიტიკური  
იყოს. მარქსმა ჩამოაყალიბა და მოგვცა მწყობრი შეხედუ-  
ლება ამ საკითხზე; ამიტომ დღეს დავა დანელიასთან ვაკეს  
პოლიტიკურობის თუ აპოლიტიკურობის შესახებ ჩვენ ზე-  
დმეტად მიგვაჩნია. შევრლის მსოფლმხედველობის საკით-  
ხი მარქსიზმის-ლენინიზმის მიერ უკვე გადაწყვეტლია, მა-  
გრამ თუ დოგმატიურობით დაავადებული ტვინის პატრო-  
ნები გადაწყვეტილი საკითხის გადაუწყვეტლობის რეს-  
ტავრაციას ახდენენ, ეს აიხსნება მათი გონებრივი სილატრა-  
კით, რომელიც საკუთარ კლასთან ერთად დოითი-დღე  
იფიტება.

დანელია კიტა აბაშიძეს „თავს ესხმის“ მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ ეს უკანასკნელი პოლიტიკურ იდეას ეძებდა  
ვაკეს მხატვრულ შემოქმედებაში. ამ საფუძვლებზე დანე-  
ლია აბსოლიუტურად უარყოფს ვაკეს ლექსების პატრიო-  
ტულ მოტივს და მხოლოდ წარმართულ ეთიკაში ეძიებს  
მისი პოეზიის პანთეისტურ ბუნებას. თუ ამ აზრს შეგნებუ-  
ლად (და არა განვებ!) ამტკიცებს დანელია, მაშინ ვაძე-  
დულად შეიძლება ითქვას. რომ ის ან აბსოლიუტურად  
ვერ იცნობს ვაკეს მხატვრულ შემოქმედებას, ან და არ  
ძევს ვაკეს პოეზიის გაეგბის უნარი. ვაკე-ფუშაველა კი თა-  
ვის ერთ-ერთ საუკეთესო წერილში \*) ხაზს უსვამს თავის

\*) ვაკე-ფუშაველა — „პოემები“ ტომი III. წერილი „პასუხად  
იპ. ვართაგავეს“.

ლექსების პატრიოტულ მოტივს. ერთ-ერთ ფშაველის შეკითხვაზე — თუ რას გულისხმობდა იგი ლუხუმში, ვაკა უპასუხებს: „საქართველოსო“. ასეთია ფაქტების ენა... და ამ შემთხვევაში ვაკას უფრო მეტს დაუჯერებთ, ვიდრე მის მოცენატ მკვლევარს — ს. დანელიას.

მაგრამ ამით არ სწოდება საკითხების ცენტრალური სიმძიმე. დანელიასათვის ვაკას პოლიტიკურობის მტკიცება მხოლოდ შესავალი ნაწილი იყო — მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის. დანელიას მთელ თავის შრომაში არსად ისე პირდაპირ და შარლატინურად არ ვაულაშერებია მარქსიზმის წინააღმდეგ, როგორც ლიტერატურულ სტილთა წარმოშობის საკითხში. დანელია სწერს: „ხელოვნების დიალექტიკურს (თუ დიალექტიკურ — დ. ბ.) ვითარებაში დასავლეთ ქვეყანათა სიმბოლიზმი იყო ნატურალიზმის ანტიოქეზისი. მისი (ე. ი. სიმბოლიზმის — დ. ბ.) წარმოშობა გამოწვეული იყო არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, როგორც ამას ამტკიცებენ ტენდენციოზობით გატაცებული უნიჭო და ვულგარული დიალექტიკოსები, არამედ დასაბუთებული იყო თვით ხელოვნებაში მოცემული იმანეტურ ძალთა ლოგიკით“ \*).

რომელი „უნიჭო დიალექტიკოსები“ ყავს შედველობაში ს. დანელიას — ამ რელიგიოზური ფილოსოფიის დალაი-ლამას? ვის უწოდებს იგი ვულგარიზატორებს? ჩვენთვის ნათელია, რომ დანელიას ქრისტიანული „რისხვა“ მიმართულია მარქსიზმის და მარქსისტების წინააღმდეგ,

\* ) ს. დანელია „ვარ-ლექსები და ქართველი ერი“ გვ. 25. ხაზი ჩვენია — დ. ბ.



რომლებისათვისაც „ლიტერატურაში სტილთა ბრძოლა — კლასთა ბრძოლის ერთ-ერთი სახეა“ \*).

დანელიას აზრით — საზოგადოებაში მომხდარი ცელულური ლებები არავითარ ვავლენას არ ახდენენ სტილთა ცვლაზე, ეს ცვლილებები თუ ხდება, მხოლოდ ხელოვნებაში მოცემული იმანენტურ ძალთა ლოგიკის შემწეობით. რამდენად რეტროგრადული რეგვნობით უნდა იყოს დაავადებული კაცი, რომ ასე ატლეტიურად ისროდეს დაუსაბუთებელ, უსაფუძვლო ფრაზებს! განა რომანტიზმი, სიმბოლიზმი, ნატურალიზმი და რეალიზმი — სხვადასხვა კლასთა ფსიქო-იდეოლოგიური მხარის გამოთქმის და გამოხატვის ფორმა არ არის! განა თვითეულ ლიტერატურულ სტილს — საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები არ უშზადებდა არსებობისათვის ნოყიერ ნიადაგს! ასე იყო ისტორიულიც, ასეა დღესაც. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში გენიალური ბელინსკი სწერდა: „შეგნება ყოფნის... დიდებული სინამდვილის გამონაკრთობია.. სწორედ ეს შეგნება არის შინაარსი ხელოვნებისა“ \*\*) ამავე საკითხზე რუსეთის გამოჩენილი მოაზროვნე — ჩერნიშევსკი თავის შესანიშნავ წერილში „ხელოვნების ესტეტიური დამოკიდებულება სინამდვილისადმი“, სწერდა: „ცხოვრება ყველაზე უფრო ლამაზია და იგი საფუძვლად ედება ხელოვნებას“. „ადამიანი, ბუნება, ქვეყანა, მსოფლიო — ამბობდა დიდი მხატვრული მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე, ერთი დიდებული წიგნია... მეცნიერება არას სთარგმნის უხატებო უსურათო სიტყვებით, პოეზია კი...

\*) И. Маца — „Искусство эпохи зрелого капитализма на Западе“, гл. 23.

\*\*) В. Белинский — „Сочинения“, том 1, стр. 419.

სურათებით... თუ პოეტი მეცნიერებას არ მომზადეს, მაგრა  
ტო ცარიელი ნიჭი კერ უთარგმნის ამ წიგნსა" \*) .

როგორც მკითხველი ხედავს სამი დიდი მოაზროვნე  
აღიარებს პრაქტიკული ცხოვრების და სინაზღვილის პრი-  
მატის ხელოვნების იმანენტურ ბუნებაში. კიდევ მეტი: ისი-  
ნი „მღელვარე და მუდამ მოძრავ საზოგადოებრივ ცხოვ-  
რებას“ საფუძვლად უდებენ ხელოვნებას; დანელია კი —  
ეს გაუსწორებელი იდეალისტი ხელოვნებას სთიშავს სი-  
ნაზღვილეს, რეალობას და არსებულის იქით ეძიებს მისი  
განვითარების საფუძვლებს. აბსოლიუტურად მართალი  
იყო ვ. ლენინი, როდესაც თავის „მატერიალიზმი და ემპი-  
რიკურიტურიზმი“-ში სწერდა: „ფილოსოფიური იდეალიზ-  
მი ეს არის გზა ხუცობისაკენ“. სწორედ ამ გზას დაადგა  
დანელია და მას ის და აკლია, როგორც ზოგიერთ სხვა  
ქართველ პროფესიონერს, საკულტურო საბჭოს წევრად გახდეს  
და შესაფერისი გატარებილი ანაფორაც წამოიხუროს.  
რომელი პრობლემების განხილვის დროს იგი პირველ რიგ-  
ში ხუცესია და შემდეგ კი მოაზროვნე. დანელიას იმორჩი-  
ლებს მკვდარი რელიგიოზური ფილოსოფია. აქ არის მისი  
დამარცხების საფუძვლებიც.

ლიტერატურული სტილი (რომანტიზმი, სიმბოლიზმი,  
ნატურალიზმი, რეალიზმი, ფუტურიზმი) როგორც მხატ-  
ვრული ნაწარმოების ყველა ელემენტთა მონოლიტური  
მთლიანობა, ფეხს იკიდებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში,  
კლასთა ურთიერთდამოკიდებულების საფუძვლებზე იგი  
ვითარდება და ამავე საფუძვლებზე ისპობა. ლიტერატუ-  
რული სტილი იდეების მხატვრული სისტემაა; ან უკეთ:

\*) ი. პავჭავაძე „ნაწერების სრული კრებული“ ტომი V, გვ. 256.

სტილი წარმოადგენს იდეების სინთეზს და ამ სინთეზის  
მხატვრულ ასპექტს მთლიანობაში.

რომანტიზმი, როგორც დაცუმული კლასიკის დამოუკიდებელი გიური მხარეს გამოთქმის და გამოხატვის ერთ-ერთი ფორ-  
მა — შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ ფეოდალიზმი-  
სა და კაპიტალიზმის შეჯახების ფონზე. სიმბოლიზმი კი  
კაპიტალიზმის და კომუნიზმის დაპირისპირების, მათ შო-  
რის ბრძოლის ნიადაგზე. ამიტომ ამ ორ სტილ შორის არის  
განსხვავება. სცდებიან მკვლევარები (ხშირად ჩვენი ამხა-  
ნაგებიც), როდესაც სიმბოლიზმს ნეორომანტიზმს უწოდე-  
ბენ. ამგვარი გაიგივეობა ვერ ხსნის საკითხს, პირიქით —  
კიდევ უფრო ამუნდოვანებს და ვაურკვევლობის სალტეებ-  
ში აქცევს საკითხთა მთელ როლს. სიმბოლიზმი, როგორც  
ლიტერატურული სტილი სავსებით განსხვავდება რომან-  
ტიზმისაგან. სპეციფიკა ამ ორი სტილისა სხვადასხვა დრო-  
ში და სივრცეში იღებს განმასხვავებელ თვისებებს და ამა-  
ვე პირობებით კანონდება იყო. მათ შორის მსგავსება მხო-  
ლოდ იმაშია, რომ ორივე წარმოიშვა კლასის დაცუმის სა-  
ფეხურზე, მაგრამ როგორც ამ დაცუმის შინაარსი. ისე მისი  
ფორმა სხვადასხვაა, თუმცა ისინი ერთ მთლიან ჯავაშია  
მოქცეული. რომანტიზმი იბრძოდა ცრუკლასიციზმის დო-  
გმატური ნორმების წინააღმდეგ და ამ ნიადაგზე ის პროგ-  
რესიული იყო (თუმცა იყო — სხვა საკითხებში ბოლომდე  
რეაქციონური დარჩა), ხოლო სიმბოლიზმი რეაქციაა რეა-  
ლიზმის მიმპრო; ამდენად ის — დაცუმის, დაკნინების, ე.  
ი. დეკადენური საფეხურია ხელოვნების განვითარებაში.

აი ამას ვერ ამჩნევს (უკეთ არ უნდა რომ შეამჩნიოს)  
ჩვენი დროის დალიალამა (ს. დანელია) და დონქიზოტური  
გამბედაობით თავს ესხმის თითქოს „უნიჭო დიალექტიკო-  
სებს“ ანუ მარქსისტებს. მაგრამ ვირ გრძნობს (?), რომ ამ-

გვარ უნიჭობას საკითხების განხილვის დროს თვითონ იჩინს  
და ამ უნიჭობის განაჩენზე ხელს თვითონ აწერს.

ს. დანელია თავის შემდგომ მსჯელობაში დაუყრიტს კარგობრივი როგორც ხელოვნების ისტორიულ გზას — წინა კარებიდან საქვეყნოდ სდევნის და უკანა კარებიდან შემოყავს მის-ტიური-დეკადენტური ლიტერატურული სტილი სიმბოლიზმის სახით. ამ ტრაგი-კომედიის დროს დანელია მხატვრული ნაწარმოების იდეური მხარის იგნორიზაციის ეწევა და დომინანტის როლს ფორმას ანიჭებს. „რეალისტურმა ზრუნვამ — სწერს დანელია, იდეიის გამოსახვაზე ბუნების კანონების შეხაფერისად ისეთ უკიდურეს წერტილს მიაღწია, რომლის იქით ხელოვნებისათვის გზა უკვე აღარ იყო დარჩენილი; ხელოვნება ან უნდა მომკვდარიყო (ნუთუ?! — დ. პ.) ან უნდა ახალი გზა მოენახა. ეს გზა იყო სწორედ ის, რომელზედაც შესდგა სიმბოლიზმი“ \*).

როგორც ხედავთ — დანელია რეალიზმში ხელოვნების სიკედილს გრძნობს და ამ უკანასკნელის გადასარჩენად, თავისი ხუცური ხელით რეალიზმი გადაისროლა „მატერიალისტურ ნაგავში“.

ს. დანელიას საყვარელმა (?) ბელინსკიმ მენცულთან \*\*\* კამათის დროს რეალისტური ხელოვნების ასეთ აბსოლიუტურ უარმყოფელებს „დურაკები“ უწოდა და

\* ) ს. დანელია „ვავა-ცშაველა და ჭართველი ერთ“ გვ. 25.

\*\*) იგვე წიგნი — გვ. 26.

\*\*\*) გოერეს გამოჩენილი კრიტიკისი.

სიბრაზისაგან ხელის ჩაქნევით შენიშვნებში სწერდა: „კუ-  
ზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“. მე და მკითხედლი  
იმ გენიალური კრიტიკოსის შეფასებას ვაძლევთ ხმას და  
ნუ იქნება საწყენი, თუ ბელინსკის მიერ განსულელ ყდი—  
მიანთა რიცხვში — ს. დანელიასაც შევიტან.

აღამიანები, რომლებიც ყოველგვარ რეალისტურ ხე-  
ლოვნებას უარყოფენ და ამავე დროს სიმბოლიზმის პრო-  
გრესიულობას და რევოლიუციონერობას ამტკიცებენ,  
ისეთივე რეაქციონერები არიან როგორც თვითონ სიმბო-  
ლიზმის ბუნება. სიმბოლიზმი ხელოვნების განვითარებაში  
იყო დეკადენტური საფეხური. ეს უკანასკნელი გამოიწვია  
კაპიტალიზმის მომწიფების და დაცემის აუკილებლობის  
შეგნებამ. სიმბოლისტურმა ხელოვნებამ „დაკარგა“ შე-  
ძოქმედების ძირითადი ღერძი, ისე როგორც ბურჟუაზიაზ  
დაკარგა არსებულის რეალისტური გაგების უნარი. დღეს,  
მიუხედავათ იმისა, რომ ტეხნიკის სფეროში კიდევ ახერხებს  
წინსვლას, იდეოლოგიის სფეროში იგი გაკოტრდა და გა-  
მოიფიტა. ამ საფუძვლებზე სრულიად კანონზომიერია, თუ  
ვიტყვით, რომ სიმბოლიზმი და ფუტურიზმი უკანასკნელი  
სიტყვაა ბურჟუაზიული ხელოვნების, ამის იქით წასვლა  
მისთვის შეუძლებელია.



ს. დანელია არჩევს რა სიმბოლიზმის ესტეტიკურ ბუნე-  
ბას, მის გნოსეოლოგიურ მხარეს, ამ გარჩევის ყოველ დე-  
ტალში იგი შეგნებულად გაურბის არსებულის პოზიტიურ  
გაგებას და მეტაფიზიკური, დამშვიდებით ცოხნის პოლო-  
ძოზმის ძველ ძონებში გამოხვეულ დოგმატიურ ფილო-  
სოიფას. ამიტომ არის, რომ დანელიას ვერ გაუგია მისტი-

ციზმის შინაგანი წარმოშობისა და მისი რაობის საკითხი; მისტიკიზმის ბუნების გასაგებად სოციალურ ცხოვრებაში კი არ იხედება, არამედ ნაციონალისტურ და გეოგრაფიულ ფაქტორებში ნახულობს (?) გამოსავალ წერტოლს.

„არც პესიმიზმისათვის და არც მისტიკური ექსტაზისათვის — სწერს დანელია, ვაუს პოეზიაში აღვილი არ რჩება, სად საქართველო და სად მისტიკიზმი? განა საქართველოს მზის სხივებს მისტიკიზმი გაუძლებდა? განა ისეთი ფიზიურად საღი კაცი „როგორც ვაუს იყო მისტიკიზმის დანებდებოდა? არახოდეს“ \*).

ეს პასუხი არსებითად არაფერს ხსნის, რადგანაც იხსნილი კვლავ ასახსნელი რჩება; მაგრამ მოყვანილი ციტატა ერთხელ კიდევ ზედმეტად ააშკარავებს დანელიას მსოფლმხედველობის სიბეცეს. რა უნდა ეწოდოს იმ ადამიანს, თუ არა ფილისტერი, რომელიც უზარმაზარ სოციალურ მოვლენას საქართველოს მზის სხივებით ხსნის და იმეორებს გეოგრაფიული სკოლის ძველ ცოდვებს. ამით ს. დანელიას გონიერივი ჰორიზონტი ვერ სცილდება ნაციონალისტურ შარლატანობის ვიწრო ნაჭუჭს და ამ ნიადაგზე დოგმატიურ ფილოსოფიის მკვდარ წერტილზეა მიჯაჭვული.

ცნობილია, რომ სიმბოლისტები, რომლებიც ნამდვილ ქვეყანაში მისტიკოსებად რჩებიან, უარყოფენ სამყაროს საიდუმლოების ამოცნობას შემეცნების პოზიტიური ხერხებით. რომელიც თვითონ გულისხმობს მიზეზობრიობის შტკიცე საფუძველს, და ამ მოტივით სიმბოლისტები ცდილობენ — სამყაროს დაფარულ საიდუმლოებას მისწვდენ მისტიკური ექსტაზის საშუალებით, მაგრამ სიმბოლიზმის მ დამახასიათებელ ტენდენციას ბიძგა აძლევს არა რომე-

\* ) ს. დანელია „ვაუს-უშუალა და ქართველი ერი“ გვ. 33.

ლიმე ერის მხურვალე მზის სხივები და თვითონ შწეობის  
ფიზიკური მდგომარეობა, რადგანაც ყველა ეს ჭარების სის-  
ტემის მხოლოდ ერთი მხარეა, არამედ სოციალური გარეულ-  
მო, კლასობრივი ურთიერთობა და კლასიური ფსიქოლო-  
გია. კლასიურ დეტერმინიზმის საზღვრების გადალახვა —  
როგორც საერთოდ, ისე მხატვრულ შემოქმედებაში შეუძ-  
ლებელია. ჩვენ არ ვიზიარებთ პერევერზევისებურ დეტერ-  
მინიულობას, რომელმაც ეს საკითხი მეტი-მეტი კალმხი-  
კობით კარიკატურამდე დაიყვანა, მაგრამ ეს მაინც არ იხს-  
ნის დანელიას. მწერლის ნებისყოფა — მოწყვეტილი კი არ  
არის სოციალურ გარემოს, არამედ მასში ყალიბდება და  
საბოლოოდ ამავე ფაქტორით კანონდება.

პირობითად დაუშვათ, რომ ამ საკითხში დანელია  
„მართალია“, რომ მისტიკიზმი უცხოა საქართველოს მზის  
სხივებისთვის და ვაჟას ფიზიკური ჯანმრთელობისათვის.  
მაშინ ეს კანონი უნდა ვრცელდებოდეს არა მარტო ვაეაზე,  
არამედ ბაირონშე, გოერეზე, ლაფორგზე, ვერლენშე, რემ-  
ბოზე, ბოდლერზე და სხვა მისტიკოს-რომანტიკოსებზე,  
რადგანაც მათი ქვეყნების მზის სხივების სიძლიერე არ  
ჩამოუვარდება საქართველოს და ამავე დროს თვითეული  
მათგანი ჯანმრთელობით ვაეაზე ნაკლები არ ყოფილი. მა-  
შასადამე ეს კანონი ზოგადი არ არის და მისი გამოჭრა  
მხოლოდ საქართველოსათვის შეიძლება „გამართლებუ-  
ლი“ იქნეს ნაციონალისტური შარლატანობით, მაგრამ  
შარლატანობას ნამდვილ ქვეყანაში ხეირიანი ჯერ არაფე-  
რი არ გაუკეთებია.

ს. დანელია განაგრძობს: „მისტიკოსი ემივენება მთელ  
ხილულ ბუნებას, სხვათა შორის მთელ კაცობრიობასაც და  
იძირება საკუთარ თავში, რათა თავის სულის ფსკერში  
იპოვოს აბსოლიუტური და ნეტარებით შეერთოს მას.

სწორედ ამ საკუთარი ნეტარებისათვის მიაჩნდა მას მავრ-  
როდ გაემიჯნოს საკუთარ ბუნებას, განთავისუფლდეს გა-  
რეგნული შთაბეჭდილებისაგან. რომელიც იწყალებენ შემსი-  
დაიხშოს ყურთა ხმენა, თვალთა ხედვა, თითოთა შეხება, და  
მთელი თავისი გულისყური მიაჰყროს საკუთარ „მე“-ს ში-  
ნაგან განცდას“.

მისტიკოსის გამახასიათებელ მხარეების ამგვარ გან-  
შარტებას არავითარი საერთო არ აქვს ფაქტის კეშმარიტ  
მხარესთან. ისტორიის გრძელ მანძილზე, რომანტიკოსები  
და მისტიკოსები მიუხედავად იმისა. რომ მკითხველ საზო-  
ხოგადოებას მრავალჯერ დაპირდნენ, — ქვეყნის გამიჯვ-  
ნას, თურმე ნამდვილად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. რო-  
მანტიკოსები და მისტიკოსები უარყოფნენ „პოზიტიურ  
ქვეყანას“ და ამავე დროს ყელამდე ჩაფლულნი იყვნენ გა-  
ბატონებული კლასის (ბურეუაზიის) მეშჩანურად აშმორე-  
ბულ ყოფა-ცხოვრებაში, რომანტიკოსები და მისტიკოსე-  
ბი ყოველ მხატვრულ ფაქტში მკითხველს პირდებოდენ  
თვითმკვლელობას. მაგრამ სიკვდილის ყველას ეშინოდა.  
შოპენპაურს — ამ პესიმისტურ ფილოსოფიის მონურ  
მორჩილს სძავდა ქვეყანა; მაგრამ არა ნაკლებ უყვარდა სი-  
ცოცხლე. მისტიკოსები პროტესტს აცხადებდნენ ბურეუა-  
ზიულ კაფე-შანტანების გარყვნილების წინააღმდეგ. მაგ-  
რამ ამ გარყვნილებას ისინი გახელებით ეძლეოდნენ. ასე  
რომ მისტიკოსი და რომანტიკოსი ნამდვილად როდი ემიჯ-  
ნება ხილულ ქვეყანას, და თუ ზოგჯერ პროტესტს აცხა-  
დებდენ ამ ქვეყნიური ცხოვრების მიმართ, ეს შხოლოდ  
რეაქციონური რევერანსია, რომელიც საკუთარ „მე“-ში  
ატარებს კლასის გახრწნისა და გადავვარების შხამიან ელე-  
მენტებს.

ბურგუაზიული მისტიკოსები ნიღაბაფარებული რეა-  
ლისტები არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი  
უფრო ობიექტიურად გამოხატავს ხაკუთარი კლასის და-  
ცემისა და დაკნინების ფაქტს, მაშინ როდესაც მეორენი  
ფილისტერულად ფარავენ დაცემის ღრმა სოციალურ ხა-  
ფუძვლებს.

დანელიას სრულიად ყალბად ესმის ხელოვნების რაო-  
ბის და დანიშნულების საკითხი. იგი იმეორებს უკვე მო-  
ძველებულ ბუალოს დებულებას, თითქოს ხელოვნება იყო  
მიბაძვა. დანელია სწერს: „ხელოვნების დანიშნულება სი-  
ნამდვილის განმეორება კი არ არის, არამედ ხინამდვილი-  
სადმი მხოლოდ მიბაძვა“ . „ხელოვნებამ უნდა მიმართოს  
შთაგონებას, თუ მას სურს არ ულალატოს თავის დანიშ-  
ნულებას“ . „ხელოვნება კი არ გამოხატავს, კი არ ხატავს,  
არამედ ის ანიშნებს მხოლოდ“ .

სამივე დებულებას ერთი აზრი აქვს. გამოთაშოს ხე-  
ლოვნება სინამდვილიდან და კლასიურ ურთიერთობიდან.  
ამ ნიადაგზე ხელოვნების იდეოლოგიური ზედმოქმედების  
როლი აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. ვინც ამტკიცებს, რომ  
„ხელოვნება მიბაძვა“, „თამაშია“, მას არ ესმის ხელოვ-  
ნების უტილიტარული ღირებულების საკითხი. ხელოვნე-  
ბის გრანდიოზულობა წაბაძვაში კი არაა, არამედ სინამ-  
დვილის აქტიურ მხატვრულ გამოსახვაში. ხელოვნება  
კვრეტის ფორმა კი არ არის, არამედ კლასიური განცდების,  
მისწრაფების და მიწნების გამოთქმის და გამოხატვის ფორ-  
მაა, ხელოვნება იდეების მხატვრული სისტემაა.

დანელიას არხიიდეალისტურად აქვს განმარტებული  
მხატვრული სახის ცნება, „მხატვრული ხახები, სწერს და-  
ნელია, დროისა და სივრცის პირობებით დამძიმებულ ტი-  
პის ფარგლებს ხცილდებიან და უნივერსალური სიმბოლოს

ზოგადობას აღწევენ“ \*); თუ ამ ფაქტს მიუმატებთ დანერლიას ბრალდებას, თითქოს „ქართველ ხალხს“ არ ჰქონდეს ხინდისი, რომელიც თურმე „არის დუღაბი ურომლისოდ კოშკი არ შენდება“ მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს შართლაც რომ „უსინდისო“ იდეალიზმის „სინდისიერ“ დამცულთან.

ს. დანერლია თავის შრომას შემდევი სიტყვებით ამთავრებს: „ვაჟა იყო წარმართი, წარმართს რომაელები უწოდებდნენ „პაგანუ“-ს, „პაგუს“ ნიშნავს სოფელს, კუთხეს; პაგანუს არის „სოფლის მცხოვრები“, „სოფლელი“. როცა ქრისტიანობამ ვაიმარჯვა მიყრუებულ კუთნეებში და სოფელში დარჩა კიდევ წარმართობა, და ამიტომ „სოფლელი“ შეიქმნა რომაელთათვის წარმართის აღმნიშვნელ სიტყვად. ვაჟა მგოხანი იყო პაგანუს, წარმართი (ან თუ გნებავთ უკულმართი) რადგან ის იყო ხოვლელი. ვაჟა მოგვაგონებს ფენიმორ კუპერის კომანჩებს და მოგიანებს, რომელიც გასწყვიტეს ამერიკელ პურიტანებმა“ \*\*).

ეს არის რელიგიური ბოდვა.

სიტყვა „პაგანუსში“ წარმართობის შინაარს სდებს; ნამდვილად კი რომაელები „პაგანუს“-ს ხმარობენ „სოფლელის“ აღსანიშნავად, იქმნება ის წარმართი, უკულმართი თუ ქრისტიანი, ასე რომ სიტყვის „პაგუს“ მნიშვნელობა დაკავშირებულია არა წარმართობასთან, არამედ სოფელთან; და უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა სოფლელი წარმართი არ არის.

მაინც რატომ დასჭირდა დანერლიას ვაჟას წარმართობაზე ლაპარაკი, როდესაც მის მხატვრულ შემოქმედებაში

\* ) ს. დანერლია „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ გვ. 42. ხაზი ჩვენია — დ. ბ.

\*\*) ს. დანერლია „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ გვ. 87.

დომინანტის როლს ქრისტიანიზმი ასრულებს? მტკიცების  
მიზანი ერთია. ვაკა იყო უკულტურო ადამიანი. მაგრამ  
ასეთი უკულტურობა დანელიასათვის დამცირება ჩამდინა,  
რაღაც მისთვის კულტურა არის ადამიანის დაშლის გა-  
გადაგვარების პროცესი, რასაც ჩვენ კულტურას ვეძახით,  
დანელია მას სიყალბეს, თალღითობას და სიკერაგეს უწო-  
დებს. ამიტომაა, რომ დანელიასათვის ვაჟას უკულტურო-  
ბის მტკიცება — ერთი საუკეთესო მუხლია თავის ყალბ  
„თეორიის“ დასამტკიცებლად. ამგვარ თვალსაზრისებე-  
სდგას ვერონტი ქიქოძეც, და სამწუხაროდ ამ შეხედულ-  
ბამ ჩვენში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა.

დანელიას მტკიცებლის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ  
ნაწილში არის მთელი რიგი არხირეაქციონური აღგრძები,  
მაგრამ ხაგაზეთო წერილში მათი კრიტიკა წერილის ფორ-  
მას ვაზრდიდა და ტეხნიკური მიზეზები ბორკილად შეიქ-  
მნებოდა მისთვის, ამიტომ ჩვენ მათ დროებით „უყურად-  
ლებოდ“ დავტოვებთ. საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ და-  
ნელიას აქვს ორტროგრადული პრეტენზია მატერიალიზმზე  
მაღლა დგომისა, მაგრამ ვერ გრძნობს, რომ ის ორივე ფე-  
ნით მკვდარი ფილოსოფიის ჭაობში სდგას და ამ რიგად/  
ჯერ კიდევ „ცოცხალი“ ბურკუაზიული-კულაკური და  
ფეოდალური ინტელიგენციის „სოციალურ დაკვეთას“ ას-  
რულებს.

ს. დანელიას „შეუდრეველი“ ბრძოლა მატერიალიზმის  
(კერძოდ კი დიალექტიური მატერიალიზმის) წინააღმდეგ  
პროფესორულ ოინებად რჩება. ამ ოინბაზობის როლი იმა-  
ში მდგომარეობს, რომ მან გზა გაუკავოს პოლძოზმის  
ძველ ძონძებში გამოხვეულ მათხოვრულ-რეაქციონურ  
ფილოსოფიას. ჩვენი საბრძოლო ამოცანა კი იმაში მდგო-

მარეობს, რომ „სამზარეულო“ სადაც მზადდება ეს ფრთხო-  
სოფია შეუდრეველ იდეური ბრძოლით უნდა დაიკერძოს;  
ამით ჩვენ არაფერს წავაგებთ, მოგებით კი შემცირ შევრჩ-  
შოვიგებთ.

გაშეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ № № 161, 162, 166, 167.  
1931 წლისა.

შენიშვნა: ამ წერილის პირველი დასტამბევისას ივტორი აკა-  
კის და ვაჟას მხატვრლი შემოქმედების არა სწორ შედარებას  
ახდენდა.

---

## ბოლშევიზმი თუ სოციალ- ფედერალიზმი?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80—90-იან წლებში დიდი დავა იყო იმის შესახებ, იყვნენ თუ არა მე-60-ცე წლების მოღვაწენი ბატონყმობის წინააღმდევნი. მარქსისტები თავიდან ამ აზრს იყავდენ, რომ თერგდალეულები არ ებრძოდენ ბატონყმობას, ხოლო „ხალხოსნები“ მაიაშვილის მეთაურობით პირიქით, ამტკიცებდენ, რომ პირველად ბატონყმობის სისაძაგლის წინააღმდევ თერგდალეულებმა დაიწყეს ბრძოლა.

ეს საკითხი დიდი პოლიტიკური ბრძოლის საგანია. საკითხი ეხებოდა რევოლუციონურ მოძრაობაში ამა თუ იმ კლასის ან პარტიის მიერ ჰეგემონიის დამყრობას. თუ ლიბერალური ინტელიგენცია იმ თავითვე სოციალისტური რევოლუციონური მოძრაობის მესვეურად იქნებოდა მიჩნეული, მაშინ ბუნებრივად სწყდებოდა საკითხი ფედერალისტურ-ნაციონალისტური ინტელიგენციის სასარგებლოდ, რაიც პოლიტიკურ ენაზე რევოლუციონურ მოძრაობაში ბურუუაზიის ჰეგემონიას მოასწავებდა, ვინაიდან ბურუუაზიული თავისი შინაარსით ფედერალიზმი უშუალოდ უკავშირდებოდა ფეოდალურ (და ამნაირად ილია ჭავჭავაძის) ლიბერალიზმს.

ისტორიულად სადაც საკითხები გადასწყვდა მარტინზ  
მის და მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ. დოკუმენტის  
რად იქმნა დამტკიცებული ის ფაქტი, რომ მესამეცნიერები  
არამც თუ ილაშქრებდენ „ბატონიუმობის სისტემის“ წინააღმდე  
მდევ, არამედ ცდილობდნენ მის გაუმჯობესებას. ფეოდა-  
ლურ ლიბერალების „რევოლიუციონურობა“ იმაში მდგო-  
მარეობდა, რომ ისინი ფეოდალიზმის, ფეოდალური კლა-  
სის და მისი ინტელიგენციის გადარჩენის მიზნით ფეოდა-  
ლიზმის და კაპიტალიზმის „შეგუებას“ ცდლობდენ (სხვა-  
თა შორის ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პრაქტიკა სათა-  
ვადაზნაურო ბანკის „შექმნის სახით სწორედ ამ „შეგუ-  
ბის“ საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს). ქვეყნის  
ასეთი განვითარების გზას ლენინი ბურჟუაზიული განვი-  
თარების „პრუსიულ“ გზას უწოდებდა.

ლენინიზმის თანახმად არსებობს ორი ტიპი ქვეყნის  
ბურჟუაზიული განვითარებისა; პირველი მათ შორის არის  
ბურჟუაზიული განვითარების ამერიკული გზა, როდესაც  
ხდება პირდაპირი პლებეურ-გლეხური ბურჟუაზიულ-დე-  
მოკრატიული სისხლისმღვრელი რევოლუცია. მეორე გზა  
კი ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის „შეთანხმებაში“  
მდგომარეობს. ასეთი „განვითარების“ დროს თვით ფეო-  
დალებიც იღებენ ინიციატივას რეფორმისტულ-შემთან-  
ხმებელ გზით კაპიტალიზმში კუს ნაბიჯით გადასვ-  
ლის, ან უკეთ გადახოხვის საჭმეში. კაპიტალიზმის ასეთი  
„განვითარებას“ პრუსიაში (გერმანია) ჰქონდა აღვილი.  
ილია ჭავჭავაძის არჩილიც („ოთარაანთ ქვრივიდან“) ფეო-  
დალური კლასის გადარჩენის მიზნით სწორედ ამ პრუსიულ  
გზით განვითარებისაკენ მოუწოდებდა თავისივე „მოყვა-  
რებს“, ვინაიდან, ილიასი არ იყვეს, არჩილიც „მოყვარეს“  
(ესე იგი ფეოდალებს) პირში უძრავოდა.


შუშათა მოძრაობაშ და მარქსიზმის საქართველოში სა-  
ბოლოვოდ ახადა ნიღაბი ლიბერალების „რევოლიუციო-  
ნურობას“.

მაგრამ მარქსიზმის ასეთი ისტორიული გამოწვება ას-  
ასევენებდა ქართველ ნაციონალისტურ-რეაქციონურ ინტე-  
ლიგენციის და 1903 წელში სოციალ-ფედერალისტების  
მიერ კვლავ აღიძრა მესამოციანი წლების მოღვაწეთა სა-  
კითხი. სოციალ-ფედერალისტებმა არჩილ ჯორჯაძის სახით  
გვერდიდან შემოუარეს ისტორიულ სინამდვილეს და სა-  
ჯაროთ დაიწყეს მტკიცება თითქოს თერგდალეულები არა  
მარტო ბატონყმობის წინააღმდეგნი იყვნენ, არამედ მათ  
გარევეულად წამოაყენეს სოციალიზმის პროგრამა.

ფედერალისტების მიერ ისტორიული სინამდვილის და-  
მახინჯების წინააღმდეგ პირველად ხმა აღიმაღლა ამხ.  
ფ. მახარაძემ და ღოკუმენტალურად დაამტკიცა, რომ ნა-  
ციონალისტური ინტელიგენცია ამახინჯებს სინამდვილეს.  
უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულმა ღოკუმენტებმა ეო-  
თხელ კიდევ დაასაბუთეს მარქსისტების სწორი შეხედუ-  
ლება თერგდალეულებზე, მაგრამ გაუსწორებელმა დედ-  
მა ინტელიგენციამ კვლავ სცადა გადაწყვეტილი საკითხის  
რესტავრაცია და კიდევ ერთხელ დაიწყო თერგდალეულ-  
თა სოციალისტური ხასიათის მტკიცება. ვახტანგ კოტეტი-  
შვილი, კაპანელი და კამპანია საბჭოთა მკითხველს ერთ-  
გულად უმტკიცებენ სოციალ-ფედერალისტების ამ უკვე  
მოძველებულ აზრს, კიდევ მეტი, სოციალ-ფედერალისტე-  
ბის ამ შეხედულებებს სამწუხაროდ ჩვენი პარტიის რიგე-  
ბშიაც აღმოაჩნდნენ ერთგული დამცველები. ეს ხალხი სა-  
ქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას  
დაწყებული ორმოციან წლებიდან დღევანდლაშდე, იმავე  
საზომით და მიღვომით იხილავენ, რომელიც დიდი ხანია

შემუშავდა ორჩილ ჯორჯაძის და საერთოდ ნაციონალისტური ინტელიგენციის ლაბორატორიაში, კიდევ მეტი: ისინი პარტიის შიგნიდან მტრის საქმეს აკეთებდნ და მარა ქიზმის შეტენილი დიდი ბრძოლების შედეგათ მიღებულ ჭეშმარიტებებს აშკარა რევიზიას უკეთებენ. ისინი უკვე გადაჭრილი საკითხების ირგვლივ ბრძოლის, ასე ვთქვათ, „მესამე ტურს“ იწყებენ. მათ მიერ ხელახლა აბუჩად ავდებულია მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის მიერ შემუშავებული შეხედულებანი. ისევ და ისევ მეორდება ქართული შოგინისტური ინტელიგენციის ცდა თავისი ისტორიული რეაბილიტაციით რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიულ ჰეგემონიად დამტკიცებისა. ძველი ინტელიგენციის აი ამ განწყობილებათა გამოძახილს აქა-იქ ვევდებით ჩეენი, პარტიის შიგნითაც. ასეთი გამოძახილის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სიმონ ხუნდაძე, რომლის მთელი რიგი ისტორიულ ლიტერატურული შრომები წარმოადგენენ თანამედროვე პირობებში იმ პროგრამის გამოძახილს, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებში, რომელიც წამოაყენა ნაციონალისტ „ხალხოსნებმა“ და ბოლოს სოციალ-ფრერალისტებმა. ამგვარი მოვლენა თავის-თავად სამწუხაროა, რაღაც ეს ხდება კომუნისტური პარტიის შიგნიდან და მკითხველ საზოგადოებაში ანტიმარქსისტული და ანტიბოლშევიკური აზრი მარქსიზმ-ლენინიზმათ საღდება.

სიმონ ხუნდაძე პირველ რიგში მკაცრ პროტესტს აცხადებს იმ „უსამართლობის“ წინააღმდევ რომლის მიხედვით ჩეენში ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალებულები არ იყვნენ ცნობილნი, როგორც ბატონყმობის წინააღმდევ მებრძოლი ჯგუფი: „ჩეენში, ამბობს ოფიციალური, დავრცელებული არის ყალბი შეხედულება, უათქოს ჩეენს სამორიანი წლების ინტელიგენცია არავითარ ბრძოლას არ მარტიმოებდა ბატონ-



ყმური წყობილების წინააღმდეგ, რომ ისინი ბატონიშვილს მოსპობას კი არ მოითხოვდენ, არამედ შეკეთებას და სხვა. უნდა ვსთქვა, რომ ასეთი შეხედულება გაუგებრობაზე არის აღმოცენებული; იგი საკითხების უცოდინარობის ნაყოფი უფრო არი, ვინემ ობიექტიური მსჯელობის \*).

რომელ „ყალბ“ შეხედულებაზე ლაპარაკობს ხუნდაძე? ვის აზრს უწოდებს ავტორი სიყალბეს, გაუგებრობისა და უცოდინარობის ნაყოფს, ვისზე მიაქვს იერიშები? ჩვენთვის ნათელია რომ ეს რისხვა მიმართულია მარქსიზმის და ბოლშევიკების წინააღმდეგ! ასეთი იერიში მარქსისტების მისამართით გამოხმაურებაა ჯორჯაძის შეტევებისა. არჩ. ჯორჯაძე ჯერ კიდევ 1903 წელში მარქსისტების წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ „პირველი ხანა ამ ჯგუფის (თერგდალეულების) მოლვაწეობისა დახასიათდება აზროვნების ფარგლებში სხოლასტიური აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრებაში. მხოლოდ სოციალურ-საკითხთა ფარგლებში ბატონიშვილ საქართველოს უარყოფაში“ \*\*).

მეორე ფედერალისტმა მაიაშვილმა არჩილ ჯორჯაძეზე უფრო იდრე შეიმუშავა ის აზრი, რომ ბატონიშვილის წინააღმდეგ პირველად თერგდალეულებმა დაიწყეს გადაშწყვეტი ბრძოლა.

ეხება რა მათ მნიშვნელოვან როლს, ის ხაზგასმით ლაპარაკობს: „აი თურმე ვინ აღიმაღლა ხმა დაჩაგრული გლეხკაცობის სასარგებლოდ, ვინ ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ გათელილი სახელი ადამიანისა... აი ვინ მიიტანა იერიში თავადაზნაურობისა და მისი უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ“ \*\*\*).

\* ) ურნ. „მნათობი“, 1930 წ. № 2-3, გვ. 155.

\*\*) არჩ. ჯორჯაძე, — წიგნი მეხუთე, გვ. 192.

\*\*\*) მოგვყავს ფ. მახარაძის მიხედვით.

ამასვე იმეორებდა კოტეტიშვილი „ფეოდალური საქართველო ჯერ არ მომკვდარა, მაგრამ სიკედილმა კი ჩამოაცრა და თვით თავიდიშვილთა წრეში გაისმა | პრიოტესტობა ხმა“ -ო.

ყველა ამ „თეორიების“ აზრით ბატონყმობის წინააღმდეგ პირველად თვით თავად აზნაურობამ და მისმა ინტელიგენციამ გაილაშქრა. მაგრამ ეს არის ნაციონალისტურულედერალისტური ლაყბობა. ბატონ-ყმობის წინააღმდეგ პირველად ხმა აღიმაღლა არა თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ, არამედ ჩვენმა წინაპარმა დანიელ ჭონქაძემ. ამას ანგარიშს არ უწევს ერთის მხრივ ფედერალისტ-რეაქციონერი არჩილ ჯორჯაძე და ფედერალისტთა ბელათი მაიაშვილი და მეორეს მხრივ რეაქციონერი ნაციონალისტი ვ. კოტეტიშვილი. სამწუხაროდ ასევე იქცევა „კომუნისტი“ ს. ხუნდაძეც.

„ძველი სოციალური წყობილების (ბატონყმობის) წინააღმდეგ ბრძოლაში, სწერს იგი, მეთაურობა უცილოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ საზოგადოებას“ \*) მაგრამ ამას არ ჯერდება ს. ხუნდაძე. გამარჯვების წყურვილით გატაცებული საჯაროთ ამტკიცებს: „ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ჩვენ ვხვდებით სოციალისტური აზროვნების ელემენტებს“ -ო \*\*).

\*) „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. 2, გვ. 77.

\*\*) ს. ხუნდაძე. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ გვ. 66, ტ. 2.

ეს უკვე შეგნებული ბრძოლაა მარქსიზმის წინააღმდეგ  
და ისტორიული სინამდვილის ასევე შეგნებული დამახინ-  
ჯება.

როგორია ამ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური აზრი? კერ კიდევ 1902 წელში ამხ. ფ. მახარაძე მაიაშვილთან კა-  
მათის დროს სწერდა: „საზოგადოდ პგონიათ, რომ რო-  
გორცილია ჭავჭავაძე, ისე იმ ახალგაზრდობის გუნდი, რომ-  
ლებსაც მესამოცე წლების მოღვაწეებს უწოდებენ საზო-  
გადოებრივ ასარეზზე გამოსვლისთანავე ქანდებ და სკექ-  
დენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მით უფრო გასაკვირვე-  
ლი აქ კიდევ ის გარემოებაა, რომ ყველა ეს მოღვაწენი თა-  
ვადაზნაურები, განთქმული ოჯახის შვილები იყვნენ და  
აი თურმე პირებელად ვის „აუმაღლებია ხმა დაჩაგრული  
გლეხეაცობის სასარგებლოდ, ვინ ცდილობდა აღედგინა  
ფეხვეშ გათელილი სახელი ადამიანისა“. აი თურმე ვინ  
„მიიტანა იერიში თავად აზნაურების და მის უფლება უპი-  
რატესობის წინააღმდეგ“. საიდან, განავრძობს ამხ. ფ. მა-  
ხარაძე, ან როდის გავრცელდა მესამოცე წლების მოღვა-  
წებზე ასეთი აზრი? როდის იყო, რომ „თავადაზნაურებს  
და განთქმულ ოჯახიშვილებს“ ოდესმე ჩვენში ბრძოლა  
აეტეხათ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? ჩვენ განვიხილეთ ამ  
მხრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერი ამას  
მზგავსი არ დაგვინახავს“ \*).

ამხ. ფ. მახარაძის აზრი, რომ აბსოლუტურად პროთა-  
ლია ამას თვითონ ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს. „უჩიკება  
და კანონში“, იგი სწერს: „ჩვენს ცხოვრებაში დასდასაც  
(კლასებად), დაყოფა ერებისა არ არსებობდა... ჩვენში თა-

\* ) ფ. მახარაძე. „დ. ჭონქაძე და მისი დრო“, გვ. 95.

ვადაზნაურობას დღევანდლამდის თითქმის მარტო ის უპირატესობა ქონდა რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალედ იხსენიებოდა და გლეხი კი არა...

მართალია აქა-იქ ჩვენშიაც არსებობდა წოდებათა შორის განხევთქილება, მაგრამ აქ მიზეზი ივივეა, რაც კაცთა შორის ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“ -ო. ვფიქრობთ ჩვენი აზრის ნათელსაყოფად ხუნდაძესთან არ დაგვჭირდება მეფეთა კანონმდებლობის და განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსის კანონების გადაშლა, რომლის მუხლები აცამტვერებს ილია ჭავჭაძის „რევოლიუციონერობას“. მაშინ რატომ მოხდა რომ ხუნდაძეს იგი ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფის მებაირახტრეთ გამოჰყავს? კიდევ მეტი, მან ილიას შემოქმედებაში აღმოაჩინა სოციალისტური აზროვნების ელემენტები! მოუთმენელია მარქსიზმისა და ლენინიზმის ასეთი გაყალბება.

ხუნდაძე სრულიად ყალბად აფასებს მესამოცე წლების ქართული პრესის სოციალურ მნიშვნელობას. მარქსიზმის დამახინჯების საქმეში ს. ხუნდაძეს იმდენად დაეკარგა ისტორიული მოვლენების გაგების აღლო, რომ ილია ჭავჭავაძეს ორგანო „საქართველოს მოამბის“ შეფასებაში არჩიოდ ვორვეაძეზე მარჯვნივ იხევს და მაიაშვილის თვალებით ზომავს მის მნიშვნელობას.

ისტორიულად ცნობილია, რომ, როდესაც ქართულ შშრომელ გლეხობას აღრჩობდა ბატონ-ყმობის ველური სისასტიკე, მაშინ „საქართველოს მოამბე“ -ს არც ერთ ნომერში სიტყვაც არ უთქვამს ბატონყმობის შესახებ, ეს მაშინ, როდესაც ბატონყმობა ცენტრალური პრობლემა იყო მაშინდელი ეპოქის. ამიტომ სრულიად სამართლიანად ამს.

ფ. მახარაძე საქართველოს მოამბეს მკვდარ ორგანიზაციას უწოდებდა \*).

არჩილ ჯორჯაძე მარქსისტებს ეთანხმება რმაში, რომ „საქართველოს მოამბეს“ მართლაც ხმა არ იძოულია ბატონიშვილის საკითხებზე. მაგრამ დანაშაულის შესარბილუბლად ამას ჯორჯაძე ხსნის არა უურნალის უმოქმედობით, არამედ ცენზურის სისასტიკით. მოუსმინოთ ჯორჯაძეს: „თუ ეს არ მივიღეთ მხედველობაში (ლაპარაკია ცენზურაზე) უცნაურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საპროგრამო წერილში ბატონიშვილის საკითხი არ არის ნახსენები, არამც თუ საპროგრამო წერილში არ ვარვებთ ამ მთავარ საგანს, უურნალის სხვა წიგნებშიც არ არის არც ერთი სიტყვა რომელიც პირდაპირ ეხებოდეს ამ საგანს. ეს იყო სასტიკ ცენზურის ნაყოფი“ \*\*). ჯორჯაძეს სურს, რომ სამარცხვინო ლაქა, რომელიც გადაკრული ქონდა „საქართველოს მოამბეს“, არსებული ობიექტური პირობებით ახ-სნას, რათა ამით გზა გაუკაფოს იმ აზრის განმტკიცებას, რომ საქართველოში სოციალიზმის პირველი მოციქული სამოციანი წლების ინტელიგენცია იყო, ხუნდაძე არა მარტო სამარცხვინო ლაქის მოცილებას სცდილობს, არამედ „საქართველოს მოამბეს“ აწერს ბატონიშვილის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმის მებარისახტრის როლს. ხუნდაძე „საქართველოს მოამბის“ შესახებ სწერს: „ილაშქრებდა რა სქოლასტიურ-რელიგიურ აზროვნების წინააღმდეგ უურნალი ამასთანავე გარკვევით ქადაგებდა დემოკრატიზმს. მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა ილაშქრებდა ბატონიშვილის წინააღმდეგ“ \*\*\*). რამდენად უნდა დაკარგოს -

\*). ფ. მახარაძე. თბ. ნინოშვილი“, — გვ. 12.

\*\*). არჩ. ჯორჯაძე — წიგნი 5. გვ. 75.

\*\*\*). ს. ხუნდაძე. „ნ. ჩერნიშვილი“, გვ. 180.

კომუნისტმა კლასობრივი ალლო, რომ რეაქციონერ არჩილ ჯორჯაძეზე მარჯვნივ წავიდეს და იმ მიზნით, რომ იღია ჭავჭავაძე სოციალიზმის უმწიკვლო მოციქულად გამოუკვანოს, შეუწყნარებლად ამახინჯოს ისტორიული სინამდვილე.

რეაქციონერ ფედერალისტი ჯორჯაძე არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ „საქართველოს მოამბე“ დუმილით შეხვდა ბატონიშვილის გარშემო წამოჭრილ მწვავე საკითხებს; საიდან გამოყავს სიმონ ხუნდაძეს თავისი ანტიმარქისტული დასკვნა „საქართველოს მოამბის“ შესახებ მაგრამ ჩვენს მიერ მოყვანილ ციტატაში ხუნდაძე უფრო შორს მიდის და გან. „დროება“ ბატონიშვილის წინააღმდეგ შეპრძოლ გაზეთად მიაჩნია. კიდევ მეტი თურმე ამ გაზეთშა ჩაუყარა საფუძველი სოციალისტურ მიმღინარეობას საქართველოში. ეს აზრიც ფედერალისტური სიყალბეა და ჯორჯაძის მოჭორილი ამბავი.

როგორი აზრია შემუშავებული „დროებას“ შესახებ მარქსისტულ ლიტერატურაში. „დროებას“ რედაქციისათვის არ ყოფილი გარჩევა ბატონის და გლეხს შორის... არსებითად „დროება“ იცავდა მემამულეებს“ — ამბობს ამ. ფ. მახარაძე<sup>\*)</sup> ხუნდაძეს კი თავისი წიგნ „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ცალკე თავი შეაქვს მყვირილა სათაურით — გან. „დროებას“ სოციალისტური ტენდენციები“. მაგრამ აზრი ჯორჯაძეს და აზრი ხუნდაძეს ფაქტები ხელს არ უწყობს. ნამდვილად საქმე სულ სხვაგვარად იყო. გაზეთი „დროება“ ერთ-ერთ თავის მოწინავეში (№ 22) არჩევს რა თავადაზნაურების და ღარიბ გლეხობის საკითხს, ღარიბებს ასე მიმართავს: „ღარიბები

\*). ამ. ნინოშვილია“. გვ. 13-14.

იმიტომ ხართ რომ ჭკუას არ ხმარობთ და ჭკუით არ ცნოვ-  
რობთ” -თ.

ამ რეაქციონური ფრაზებით ცდილობს გაზ. „დროე-  
ბა“ თავის მისის შესრულებას, და ასეთ ორგანოს ხუნდაძე  
სოციალისტური ტენდენციების მატარებელ გაზეთს უწო-  
დებს.

ხუნდაძე ზღაპრულად ადიდებს „ხალხოსნური“ ინტე-  
ლიგენციის როლს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების  
განვითარების ისტორიაში, და საბოლოოდ ლოლიკურად  
მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიზმი გაგრძელებაა ნა-  
ციონისტის „ხალხოსნების“ და შემდეგ კი ფედერალის-  
ტების. ამ მიზნით ხუნდაძე სცდილობს გაამშვენიეროს და  
გაასპერაკოს ქართველი ხალხოსნების ბელადები და მკით-  
ხველის წინაშე დააყენოს როგორც ორტოდოქსალური სო-  
ციონისტები. ყველაფერი ეს წინასწარ გზების გაწმენდაა  
იმ აზრის ნათელსაყოფად, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე  
დიდხანს გაჰქიონდა, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა ამ  
ნაციონალისტურ-ლიბერალურ ინტელიგენციამ დაიწყო  
და არა მუშებმა და მარქსისტებმა, რომ თითქოს მაიაშვი-  
ლი სოციალიზმისათვის პირველი თავდადებული მებრძო-  
ლი იყო. არჩილ ჯორჯაძის გავაფულ გზას არ ჰალაქობს  
ხუნდაძე და „დამაჯერებელი“ ტონით სწერს „მკითხველ-  
მა არ უნდა დაივიწყოს რომ პრინციპიალურად და სიტ-  
ყვიერად გ. მაიაშვილი არასოდეს არ დაშორებია სოცია-  
ლიზმის ნიადაგს, თეორიაში იგი დარჩა სოციალისტი“.

„მე-19 საუკუნის დასაწყისში (?) მან მხურვალე მონა-  
წილეობა მიიღო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩა-  
მოყალიბებაში და მისი ერთად-ერთი ლიდერი გახდა ”).

\* ) ს. ხუნდაძე. „სოც. ისტ. საქართველოში“ გვ. 163.

ერთი სიტყვით ხუნდაძის აზრით მაიაშვილი სოციალისტი ყოფილა, მხოლოდ იმიტომ რომ ის ფედერალისტთა ბელადი იყო. აქედან დღევანდელი ხუნდაძის აზრით ფედერალისტური პარტია სოციალისტური ყოფილა, ვაშოდის ავრეთვე ისიც, რომ ბოლშევიზმს ტყუილა უბრალოდ უბრძოლია ფედერალიზმის წინააღმდეგ, თუ კი ის სოციალისტური პარტია იყო.

კერძოდ მაიაშვილის „რევოლიუციონერობის“ შესახებ ფ. მახარაძე სწერს: „კატორლიდან დაბრუნების შემდეგ, 1882 წელს, იგი (მაიაშვილი) „ივერიაში“ ათავსებს წერილს სათაურით „წერილი ქართულ საზოგადოების მიმართ“. რომელიც თავდებოდა, იმათ, რომ იგი ურჩევდა მაშინდელ საზოგადოებას ე. ი. თავადაზნაურობას და ქალაქის თვითმართველობას, შეეგროვებიათ სტატისტიკური მასალები ხალხის ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად. ეს წერილი მოწმობდა მხოლოდ იმას, რომ მისი ავტორი სწყვეტდა ყოველგვარ კავშირს თავის რევოლიუციონურ წარსულთან. მას რევოლიუციის აღარაფერი შერჩენდა“ \*).

როგორც ხედავთ ს. ხუნდაძის აზრი კატეგორიულადაა დაპირისპირებული ფ. მახარაძის მტკიცებასთან. ასეთი კონტრასტი არ არის შემთხვევითი, რადგანაც აქ ერთი მეორეს უპირისპირდება მარქსისტული და ფედერალისტური აზროვნება. ტყუილად სცდილობს სიმ. ხუნდაძე ფედერალისტების ბელადს მაიაშვილს მისცეს ორტოდოქსალური სოციალისტის მანდატი, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის ბელადი გახდა ფედერალიზმისა (იხ. ზემოთ შოყვანილი ციტატა). ქართული აზროვნების ისტორია სულ საწინააღმდეგო საბუთებს იძლევა, არ შევცდებით თუ ვიტყვით,

\* ) ფ. მახარაძე. „ეგნ. ნინოშვილი“.

რომ მაიაშვილი იმ „სოციალისტების“ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც მარქსმა „კომ. მანიფესტში“ რეაქციონური სოციალისტები (ფეოდალური სოციალისტები) უწოდა, რა ახასიათებდათ რეაქციონურ სოციალისტებს? „ფეოდალური სოციალიზმი არის სანახევროდ ჩივილი, სანახევროდ პასკვილი, სანახევროდ ამოძახილი წარსულისა, სანახევროდ მუქარა მომავლისა, ხანდიხან შიგ ვულში დამჭრელი ბურჯუაზიისა თავის მწვავე, მახვილი და განმანადგურებელი მსჯელობით, მაგრამ კომიკური შთაბეჭდილების მომხდენი მით, რომ სავსებით მოკლებულია უნარს გაიგოს თანამედროვე ისტორიის მსვლელობა.

პროლეტარიატის სამათხოვრო აბგას ეს ბიტონები დროშად აფრიკალებენ, რომ თავის გარშემო ხალხი შემოეკრიბათ, მაგრამ როგორც კი ხალხი მათ გაჰყვებოდა, ის შათ ზურგზე ამჩნევდა ძველ ფეოდალურ ღერბებს და უკან გარბოდა ხმა მაღალი და უპატივცემულო ხარხარით“ \*).

საქართველოში აი ასეთი „რეაქციონური სოციალიზმის“ მამამთავარი იყო გ. მაიაშვილი, რომელმაც თავის მოლვაწეობის პირველ პერიოდში პროლეტარიატის და დაჩაგრული ხალხის სამათხოვრო აბგა დროშად ააფრიკალა, რათა თავის გარშემო ხალხი შემოეკრიბა, მაგრამ როდესაც დაჩაგრული ხალხი მას არ გაჰყვა, მან ზურგი შეაქცია მასებს და უპატივცემულო ხარხარით გაიქცა რეაქციონურ ურნალ „ივერიისაკენ“.

ეს ღრმა მნიშვნელოვანი ფაქტი არ უნდა გაიგოს ს. ხუნდაძემ: „ისტორიული ფაქტია — სწერს ხუნდაძე, რომ 1872 წელს საქართველოს ნაროდნიკულ ინტელიგენციამ

\* ) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კომუნისტური მანიფესტი“ გვ. 51.

დაარსა პირველი რევოლუციონური პარტია საქართველოში... ან. ფურცელაძე ერთ-ერთი აქტიური წევრი და დამაარსებელია ამ საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებულ პირველ სოციალისტური პარტიისა \*).

ამხ. ფ. მახარაძე ამის საწინააღმდევოდ სწერდა: „უწინარეს ყოვლისა შემცდარია ამხ. ს. ხუნდაძე, როცა გადაწრით გვეუბნება, რომ 1872 წელს ნაროდნ. ინტელიგენციამ დაარსა საქართველოში „პირველი რევოლუციონური პარტია“, „ასეთი პარტია, სწერს ამხ. ფ. მახარაძე, ჩვენს ისტორიამ არ იცის“, კიდევ მეტი ქართული ნაროდნიკები „საქართველოში დაბრუნებისთანავე სრულებით ივიწყებენ ამ შეხედულებებს. (ლაპარაკია უტოპიურ სოციალისტურ შეხედულებებზე) და არსებითად ხდებოდენ — თავადაზნაურობის... მომხრეებიდ დე)\*\*).

ს. ხუნდაძეს ასევე ყალბად აქვს ახსნილი ქართული ინტელიგენციის აზროვნების განვითარების სხვადასხვა დაწები და კერძოდ კი სოციალისტური აზროვნების განვითარების საფეხურები.

ხუნდაძის აზრით, სოციალისტურ აზროვნებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 60 წლებში ილ. ჭავჭავაძის შეთაურობით. „ომთავრესად, სწერს იგი, 60-იანი წლები, დასასრულს და 70-იან პირველ წლებში ქართული საზოგადოებრივი აზროვნება განაყოფიერებული იქნა ორი მეტად მნიშვნელოვანი მომენტით: ა) კაპიტალისტურ ურთიერთობის კრიტიკით და ბ) სოციალისტური დოქტრინის წამოყენებით“ \*\*\*).

\*) ეურმ. „ქართული მწერლობა“ 1930 წ.

\*\*) ფ. მახარაძე, ევ. ნინოშვილი, გვ. 10.

\*\*\*) სიმ. ხუნდაძე. „სოც. ისტორ. საქართველოში“, გვ. 69. ტ. 1.

„60-იანი და 70-იანი წლების ინტელიგენციაში თავ-  
მოყრილია, როგორც დემოკრატიული რევოლიუციონერი  
და ლიბერალური, პროგრესიული, ისე სოციალისტური  
სისტემების ფორმულები... ილია ჭავჭავაძის „ნაწერებში“  
ჩვენ ვნახულობთ სოციალისტური აზროვნების ელემენ-  
ტებს“ \*).

ასეთი ტენდენციური დამახინჯება ისტორიული ფაქ-  
ტების შეუწყნარებელია. პირველი იმიტომ, რომ სოცია-  
ლისტური აზროვნების დატა წინ გადაწყულია რამდენიმე  
ათეული წლებით და მეორე იმიტომ, რომ ს. ხუნდაძემ, ისე  
როგორც ამას არ. ჯორჯაძე აკეთებდა, ილია ჭავჭავაძეს  
მიაკრა სოციალისტობის იარღიკი.

სიმ. ხუნდაძემ განვეძებ გადაწია წინ სოციალისტ. აზ-  
როვნების განვითარების დატა საქართველოში, ამ გადაწყ-  
ერის მიზანი მხოლოდ ერთია; სიმ. ხუნდაძეს უნდა დაამ-  
ტკიცოს, რომ საქართველოში სოციალიზმის წინამორბედ-  
ობი იყვნენ, არა მარქსისტები ე.წ. „მესამე დასელები“, არა-  
ძედ თერგდალეულნი და მათ შორის ილია ჭავჭავაძე.

აი სადამდე მიდის კლასიური ალლოს დაკარგვა. ყოველ  
შემთხვევაში ხუნდაძე აქ აზროვნებს არჩ. ჯორჯაძის თა-  
ვით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხუნდაძე თითქმის ყვე-  
ლა შრომებში, სადაც ლაპარაკია სოციალისტური აზროვ-  
ნების განვითარების შესახებ არ არჩევს ერთი მეორისაგან  
სოციალიზმის სხვადასხვა სახეს. იგი ყველგან მხოლოდ  
„სოციალიზმს“ სწერს.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჯორჯაძე შედარებით  
ხუნდაძესთან უფრო ობიექტიურობას იჩენს და სოციალის-  
ტურ აზროვნების დატას უკავშირებს 90-იან წლების მეო-

\* ) იგივე წიგნი გვ. 66.

რე ნახევარს. ე. ი. „მესამე დასელების“ გამოსულიას. „მაგ-  
რამ მკითხველი შეცდება, სწერდა ჯორჯაძე თუ იფიქრებს,  
რომ სოციალიზმი მესამოცე წლებიდან იქეთვებს ფესტ  
ჩვენს მწერლობაში. ნამდვილად კი სოციალისტური პარ-  
ონოვნება და მიმართულება ჩვენს მწერლობაში 90-იას  
წლებამდე ანგარიშში ჩასათვლელ შოვლენად არ ჩაით-  
ვლება. არც ნიკოლაძე და არც ვინმე სხვა ამ მიმართუ-  
ლების ბელადად არ გამხდარა“ \*).

რატომ მოხდა რომ სიმ. ხუნდაძე სოციალისტური პა-  
როვნების დამწყებად საქართველოში სთვლის მესამოცე  
წლების მოღვაწეებს, კერძოდ კი „ხალხოსნებს“, რომლებ-  
მაც თურმე ჩამოაყალიბეს „პირველი სოციალისტური პარ-  
ტია“, მაშინ როდესაც არ. ჯორჯაძემ ეს უკანასკნელი  
ანგარიში დასათვლელად არ მიიჩნია. ეს არ არის შემთხვე-  
ვითი შოვლენა, რადგანაც მასში მარხია მთელი საიდუმ-  
ლოება. რაში მდგომარეობს ამ საიდუმლოების ნასკვი?

ხუნდაძე თავის ყველა შრომებში ანეითარებს ერთ  
შთავარ დამახასიათებელ ტენდენციას, რომლის აზრი სო-  
ციალ-ფედერალისტური პარტიისადმი და მისი წინაპარ-  
თადმი განსაკუთრებულ გულთბილ დამოკიდებულებაში  
მდგომარეობს, ხუნდაძე ყოველ ნაშრომში ავინებს ნ. უორ-  
დანიას, ზოგჯერ არ ეთანხმება ფ. მახარაძეს, მაგრამ არც  
ერთგან არ არის გაყიცხვა ჯორჯაძის და ფედერალისტუ-  
რი პარტიის, კიდევ მეტი. ზოგიერთ ადგილებში ხუნდაძე  
თავის აზრის დასამტკიცებლად არ. ჯორჯაძის ავტორი-  
ტეტს მიმართავს. რა თქმა უნდა აუცილებლად საჭიროა  
ნ. უორდანიას რეაქციონური ბუნების კიდევ და კიდევ გა-  
მოაშეარავება, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა არ. ჯორჯა-

\* ) არჩ. ჯორჯაძე. „ობზულება“, ტ. 5, გვ. 180.

ძის რეაქციონურ, ფეოდალური და ნაციონალისტურ სა-  
ხის მხილება, ეს იქნებოდა ბოლშევეკური კრიტიკა; მაგრამ  
ხუნდაძე ასეთ დანიშნულებას განგებ უხვევს გვერდს უდა-  
ნამდვილად არ. ჯორჯაძის აზრების რესტავრაციონის გა-  
მოდის. ასეთ პირობებში ნ. კორდანიას წინააღმდეგ ბრძო-  
ლა მისთვის საფრად ხდება.

ხუნდაძეს არ შეუძლია ბოლშევიზმის პოზიციიდან —  
როგორც კორდანიას, ისე ჯორჯაძის გაერიტიკება, ამი-  
ტომ საბოლოოდ ხუნდაძის ბრძოლა უფრო მოგვაგონებს  
ფედერალისტების მიერ მარქსიზმთან — ძველი ანგარიშე-  
ბის გასწორებას საქართველოში რევოლუციონური მოძ-  
რაობის საკითხში, ვიდრე ბოლშევიზმს.

ამას მოითხოვს ფედერალიზმის ინტერესები, რომლი-  
თაც დამძიმებულია ხუნდაძე, ხალხოსნებს, რომლებიც სა-  
ქართველოში „რეაქციონური სოციალისტები“ იყვნენ სიმ.  
ხუნდაძე უწოდებს „პირველ სოციალისტურ პარტიას“. ეს  
შტკიცება წინასწარი გასაღები იყო ფედერალიზმის დიდი  
რევოლუციონური წარსულის დასამტკიცებლად, რადგა-  
ნაც ჩვენში ხალხოსნები, რომლებზედაც ხუნდაძე ლაპარა-  
კობს, ფაქტიურად ფედერალისტების წინაპრები იყვნენ.  
„ჩვენთვის უდავო ფაქტია, — სწორს ხუნდაძე, რომ სოცი-  
ალიზმ-ფედერალიზმი როგორც თავის იდეოლოგიით, ისე  
თავისი მეთაურებით, თავის შემადგენლობით იყო ახალი  
ფორმით თავისებური განმეორება ნაროდნიკების მოღვა-  
წეობისა და იდეოლოგიის. ამას არც არჩილ ჯორჯაძე უარ-  
ყოფდა \*)“) აი, სწორედ ამ აზრის დასამტკიცებლად დას-  
კირდა ერთის მხრივ მაიაშვილის ორტოდოქსალურ სოცია-

\*) ს. ხუნდაძე. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“,  
გვ. 183, ტ. 2.

ლისტად მონათვლა და მეორეს მხრით ასეთ ხალხოსტების გამოყვანა პირველ სოც. პარტიათ, მაშინ, როდესაც როგორც მაიაშვილი, ისე ხალხოსნები ოთხმოციან, წლების შემდეგ ჩაქციონურ როლს თამაშობდნენ საქართველოში. მის დავიწყება კომუნისტი მკვლევარისათვის მიუტოვებელი დანაშაულია.

მაგრამ ყველაზე მოუთმენელია, როდესაც ხუნდაძე ამტკიცებს თითქოს ბოლშევიზმი ნაციონალურ საკითხში ქართველ ხალხოსნებს დაუახლოვდენ და მათი გზა განავრდეს. „ეროვნულ საკითხის მოწესრიგებაში — სწერს ხუნდაძე, ნაროღნიულმა ინტელიგენციამ საღი ინტერნაციონალური პრინციპი შეითვისა და ამასთანავე ეროვნული მომენტი დაუმორჩილა სოციალურ მომენტს; უკეთ: ერთა განთავისუფლების საქმე სოციალურ რევოლიუციის გამარჯვების საქმეს დაუკავშირა; თანამედროვე ბოლშევიზმშა განავრდო ეს ინტერნაციონალიზმის პრინციპი და ეს ინტერნაციონალური პოლიტიკა ჩეკოვალიუციონურ პროლეტარიატის სოლიდარობაზე გააშენა“ \*). ამ მტკიცებაში რაღაც სხვანაირი მუსიკა, რომელიც ძლიერ გვაგონებს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების ბეჭვილითი ორგანო „ტრიბუნა“-ში (№ 608, 1923 წ.) შოთავებულ ს. ხ. (უნდაძე) ჩაქციონური, ანტი-ბოლშევიკურ წერილს.

ს. ხ. (უნდაძე?) გან. „ტრიბუნა“-ში სწერდა: „მაგრამ ის რაც ჩვენ (ე. ი. ფედერალისტებსა და ბოლშევიკებს) გვაახლოვებს და ერთ სახეობას გვაძლევს, ეს არის სოციალიზმის განხორციელების პროგრამა, გზა, საშუალება, თანამედროვე კითარებაში კომპარტიამ და მოელმა კო-

\* ) ს. ხუნდაძე. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, გვ. 183, ტ. 2.

მინტერნმა. ისეთი პლატფორმა, ისეთი გეზი მოქმედებისა აიღო და შეითვისა, რომელმაც არსებითად წაშალა ჩვენს შორის წინეთ არსებული წინააღმდეგობა და სხვადასხვაობა“ (ხაზი ჩვენია).

ეს სტრიქონები იწერებოდა 1923 წელში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხუნდაძე ფედერალისტი იყო. ეს მტკიცება ჩვენ მისთვის კი არ მოვიყვანეთ, რომ რამენაირად ძველი ანგარიში გაგვესწორებია და მკითხველებისთვის სიმ. ხუნდაძის ყოფილი ფედერალისტების ბელადობა მოგვიგონებინა. ბოლშევიკები მხოლოდ მაშინ მოიგონებენ ხოლმე რომელიმე პარტიის წევრის „ყოფილობას“, თუ კი ის რაიმე ფორმაში გაიმეორებს იმ რეაქციონურ იდეებს, ან საქმეებს, რომლის დამცველი ის იყო სხვა პარტიაში ყოფისა და მუშაობის დროს. გამოდის რომ ხუნდაძე იშ თავითვე, იმ რწმენით მიღიოდა პარტიაში, რომ ბოლშევიზმი საერთოდ და კერძოდ ნაციონალურ საკითხში მათ (ე. ი. ფედერალისტების) პოზიციაზე დადგა. ეს რეაქციონური აზრი ს. ხ. (უნდაძე) გამოსთქვა ჩვენს პარტიაში შემოსვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი შემცდარია და რეაქციონური, აქ ჩვენ არ გავიხსენებდით მას, რომ ხუნდაძეს უკანასკნელ თავის შრომაში არ გაემეორებია ეს შემცდარი პოზიცია, გამოდის, რომ კომუნისტურ პარტიაში შესვლის წინ დასახული პროგრამა ბოლშევიზმის გაფედერალისტების დამტკიცებისა ჯერ არ მოხსნილა და მას „კომუნისტი“ ს. ხუნდაძე წიგნიდან წიგნში „ამტკიცებს“.

ხუნდაძის ტენდენცია ორ ფრაზაში შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: ქართული ლიბერალური ინტელიგენციიდან მოდის ყოველივე, სოციალიზმიც და რევოლუციიც. ამიტომ რევოლუციის მონაპოვარის პატრიონობის საქმეში ამ ლიბერალურ ინტელიგენციის შთამომავალთ (ე. ი. ფედე-

რალისტებს) სათანადო წილი უნდა ქონდეთ და მართლაც ზემოთმოყვანილ ციტატებში ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე ხუნდაძე ამტკიცებს თითქოს ბოლშევიზმი წაციონის-ლურ საკითხში ქართველ ნაციონალისტ „ხალხოსნების“ პოზიციაზე გადავიდა.

ამრიგად, უკეთებთ რა ჯამს ამ წინასწარ შენიშვნას ხუნდაძის შესახებ, ჩვენ პირდაპირ უნდა შევხედოთ სინამდვილეს თვალში და ვაღიაროთ, რომ სიმ. ხუნდაძის „თეორიის“ ხახით ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში და ლიტერატურის ისტორიის ფრონტზე ჩვენ საქმე გვაქვს ფედერალიზმთან შემარიგებლობისა და მის რეცილივთან. ხუნდაძე აყალიბებს და ებრძვის ბოლშევიზმს და რევოლიუც. მარქსიზმს თავის მრავალრიცხოვან შრომებში. ამასთანავე ს. ხუნდაძე ხრულიად არ იყენებს თავის კვლევითი მუშაობის დროს და არამც თუ იყენებს, დემონსტრაციულად უკუ აგდებს, კვლევის ლენინურ მეთოდს.

ამიტომ სიმ. ხუნდაძის მუშაობა ლიტერატურის სფეროში ატარებს აშკარა უშუალო ოპორტუნისტულ ხასიათს, ვინაიდან ის აყალიბებს ჩვენში რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას. ამ რიგათ ეს საკითხი თითქოს შორებული ისტორიის სფეროდან აქტუალურ პოლიტიკურ საკითხად იქცევა და ისტორიის ასეთი გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკურ თეორიული აზრის ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად ხდება.

გაზეოთ „კომუნისტი“ 27 სექტემბერი 1931 წელი.

## ფორმალიზმის, ესთეტიკის და სოციალ-ფილიზმის რეცილივების წინააღმდეგ

ქართული თეატრის წარსულზე, მის სადლებო და მომავალ პერსპექტივებზე ჩვენში ორიოდე წიგნი თუ მოიძებნება. ხაზ გასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ბოლშევიკური გაშუქება საგრძნობლად მოისუსტებს. ამიტომ ლენინურ თეორეტიულ ცდას თეატრების შესწავლის და მათი განვითარების გზების გათვალისწინების საქმეში — ჩვენ უთუოდ უნდა მივესალმოთ. მაგრამ საქმე ისაა, თუ ვისგან ან როგორ შეიქმნება თეატრის ეს თეორია და ისტორია.

ამ შემთხვევაში ამხ. ამაღლობელის ცდა ქართული თეატრზე მარქსისტული წიგნის დაწერისა საყურადღებოა, მაგრამ ამ ყურადღებას ის იქცევს თავისი არა დადებით, არამედ უარყოფითი მხარეებით. ამხანავ ამაღლობელ-მა უდავოთ შესძლო შეეგროვებია ზოგიერთი ფაქტები ქართული თეატრალური ცხოვრებიდან და რამოდენიმე მოახერხა მათი სისტემატიზაციაც. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამაღლობელისებურ „სისტემატიზაცია“ შენდება არა ბოლშევიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ცხადია არ შეიძლება უარყოფა იმ ფაქტის, რომ ზოგიერთ ადგილებში ავტორი ცდილობს გადავიდეს ფედერალისტურ-ნაციონალისტურ და რეალისტურ პოზიციე-

ბიდან (რომელსაც ის ადგა 1924 წლამდე — „მემარცხენე“ ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთ პუბლიკისტის სახით), მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისზე, მაგრამ უდნა გვახსოვდეს, რომ ეს გადასვლა არც ისე ადვილი საქმეა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ აუცეოქებია ყველა ის შემაერთებელი ხიდები, რომელ-თაც უკან და პირდაპირ ფედერალისტურ იდეალიზმისაკენ მივყევართ. ამს. ამაღლობელის წიგნი სავსეა არა მარტო ცალკეულ შეცდომებით, არამედ ამ შეცდომების საფუძ-ველზე სისტემა სდგება.

## 1. ფორმალიზმი და დებორინილობა

„ვ. ვევოლსკი სთვლის, სწერს ამაღლობელი, თეატრის ნამდვილი ისტერიოგრაფია თეატრალურ სტილთა და დარგების (სახეობების) ანალიტურ აღწერას წარმოადგენს, რომელიც (ბრძოლა) სოციალ-ეკონომიკური გავლენით მიმდინარეობს“. რა თქმა უნდა, განაგრძობს ამაღლობელი, ავტორი მართალია, — თეატრის მეცნიერული ისტორიის შექმნა სხვანაირად არც შეიძლება თუ სტილს გავიგებთ არა როგორც რაღაც თავისთავად მხატვრულ ფორმას, არამედ როგორც კლასის მსოფლშეგრძნობას მისი ესტეტიური იდეოლოგიის გამოხატვას. (ს. ამაღლობელი — „ქართული თეატრი“, მოსკოვი, 1930 წელი გვ. 10-11).

თეატრის ისტორიოგრაფიის ასეთი განსაზღვრა ძირითადათ ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს. მოვლენების შემეცნება აღწერილობითი მიდგომის საფუძველზე და შემდეგ ძიების ძაფის გაწყვეტა — არის მეტაფიზიკური ფორმალ ლოღიკის ერთი დამახასიათებელი თვისე-

ბათავანი. ანალიზის საჭიროებას ჩვენ არ უარყოფთ, მაგრამ ეს უკანასკნელი დიალექტიურ მატერიალიზმი, როგორც მისი ორგანიულად შემადგენელი წაწერული მოხსნილი ფორმების სახით შედის. განცალკავებულად ანალიტიური მეთოდზე დაყრდნობა თეატრალური მოვლენების შესწავლისას, იმდენად უსუსური გზაა, რომ ის მეთოდოლოგიურ დასკვნების გამოკვეთამდე კი არ ყოფნის, არამედ სავნის უბრალო აღწერისთანავე ხელიდან გვისხლტება.

ცნობილია, რომ დებულება კლასთა ბრძოლის არსებობის შესახებ ბურჟუაზიულ ეკონომისტებმა აღმოაჩინეს, მაგრამ რადგანაც მათ ვერ შესძლეს ანალიტურ მეთოდს გასცილებოდნენ, ამ ფაქტის აღმოჩენასთან ერთად გაიყინენ. მარქსმა გენიალურად მოიხმარა რა მატერიალისტური დიალექტიკა (რომელიც, თავის თავში იტევს ანალიზისა და სინტეზის საფეხურებს) დაასაბუთა ის გარემოება, რომ აღამიანთა საზოგადოებაში არსებული კლასთა ანტაგონიზმი უნდა გადაიჭრას რევოლუციონური გზით — პროლეტარიატის, როგორც აღმავალი კლასის მიერ.

დაკმაყოფილება ანალიტური მეთოდით და სინტეზის თავიდან აცილება გამომდინარეობს მხოლოდ შცოცავ ემპირიზმიდან, რომელიც პარტიის პოლიტიკურ (ქოვრებაში მეღავნდება მემარჯვენე გადახრისა და საქმისნობის სახით. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მარტო ფაქტების უსიცოცხლო აღწერა მეცნიერება კი არაა, არამედ უბრალო ნომენკლატურა, უკანასკნელი კი ამს. ამაღლობელს მარქსიზმის მეთოდოლოგიის ენაზე, რომ ვთქვათ ბურჟუაზიულ ობიექტივიზმიდან გადმოყვა.

განვაგრძოთ შემდეგ: მარქსისტისათვის სტილთა ბრძოლა არა თუ მიმდინარეობს „სოციალ-ეკონომიკურ პირობების გავლენის ქვეშ“, არამედ საბოლოო ჯამში სწორედ ეს ბრძოლა ამ „პირობებით“ განისაზღვრება. მართალია ამა-ლლობელის შენიშვნა, რომ სტილი უნდა გაგებულ იქნას როგორც იდეოლოგიის გამოხატულება, მაგრამ ეს შენი-შვნა შენიშვნათ ჩატარდა და თვითონ ავტორი კი თავდაყირა ეშვება ფორმალიზმის ჭაობში. ზემოდ მოყვანილ ციტატაში მის მიერ გათანაბრებულია სტილის პრობლემა თეა-ტრის დარგების (სახეობების) პრობლემასთან. მაგრამ ვი-ნაიდან თეატრის დარგებისა და სახეობების ბრძოლის სა-კითხი უფრო ახლოს სდგას ფორმის საკითხთან, აშიტომ გამოდის, რომ ამაღლობელს სტილის მცნება ფორმალის-ტურად ესმის.

ნალდ ფორმალიზმს და სტილის მცნების არ გავებას ჩვენ ვაწყდებით უფრო რელიეფიურად ცალკე საკითხე-ბის გამორკვევის დროს „დრამატიული ნაწარმოების არსი, სწერს ამაღლობელი, მდგომარეობს ეპოსისა და ლი-რიკის ელემენტების შეკავშირებაში, რომელიც მაყურებ-ლის წინაშე სახავს სინამდვილიდან აღებულ მოვლენას (გვ. 15). არაა სწორი თითქოს ეპიური და ლირიკული ელემენტების შეერთება დამახასიათებელი იყოს მხოლოდ და მხოლოდ დრამისათვის. რატომ არ შეიძლება ასეთ შე-კავშირებას აღვილი ქონდეს პოემაში, რომანში? თუნდაც რომ დაუშვას — დრამის დამახასიათებელი თვისება ნამ-დვილად არის ეპოსისა და ლირიკის ელემენტების შედუ-ლება, მაშინ მივიღებთ, რომ ასეთი შეკავშირება არის სპეციფიური ნიშანი დრამისა და მეტი არაფერი. ამაღლო-ბელს კი საგნის ეს სპეციფიკა აყვანილი აქვს არსის ხარის-ხში. არსი თვითონ გააჩნია სპეციფიკა: არსი და სპეციფიკა

ერთი არაა. ამ ჩა არ ესმის ფორმალიზმით განსწავდეს  
ადამიანს.

სხვა ადგილის (გვ. 16) ავტორი ეხება რა ბურულამისულ  
თეატრებს აცხადებს: „სტილი ამ თეატრისა ბრძანებულის-  
ტური“. აქვე ოთხიოდე სტრიქონის შემდეგ მუშათა თეა-  
ტრზე იმავეს იმეორებს: „სტილი ამ თეატრის რეალის-  
ტურია“. კიდევ ამავე გვერდზე საბჭოთა თანამგზავრულ  
თეატრზე: „სტილი ამ თეატრის ძირითადში პირობით-  
რეალისტურია“. გამოდის, რომ ყველა თეატრების სტილი  
ერთი და იგივეა. აქ სტილი დაყვანილია შეოლურ გაგე-  
ბამდე. მეორე მხრივ რეალიზმი ამაღლობელისათვის (რო-  
გორც დებორინის მომენტევიუმ იდეალიზმისათვის ფი-  
ლოსოფიის ისეთი მოვლენები, როგორიცაა ეპირიზმი და  
სხვა, მუდმივ კატეგორიებად არის მიწნეული) რაღაც უც-  
ვლელი მარადიული რამ ყოფილა. რომელიც დიამეტრა-  
ლურად დაპირისპირებულ კლასების თეატრალურ ხელო-  
ვნებას ერთნაირად ახასიათებს.

ამაღლობელი რეალიზმის გაგების საკითხში აშკარად  
ადგება ფორმალიზმის გზას: „ფორმალურ მხრივ ახლად  
ორგანიზაციაშინილი თეატრი დარჩა რეალისტური მიმარ-  
თულების ჩარჩოებში“ — ლაპარაკობს ის ერთ თეატრზე  
(გვ. 52). მაგრამ იგივე ამაღლობელი ზევით მოყვანილ  
ციტატაში სტილისა და რეალიზმის ცნების გარკვევას  
დროს მივიდა მათი სრულ გაიგივეობამდე. ეხლა კი მან  
გაათანაბრა არა თუ სტილი და თეატრალური სკოლა  
(„რეალიზმი“), არამედ სტილი და ფორმაც (ფორმალური  
მნიშვნელობის ესა და ეს თეატრი რეალისტურია) ამდაგვარად  
თუ ავტორის აზრით თეატრების ისტორია თეატრალურ  
დარგების (სახეობების) და სტილთა ბრძოლის ისტორიას,  
მაშინ ჩვენ ვასკვნით, რომ ამაღლობელის აზრით თეატრე-

ბის ისტორია თეატრალური ფორმების ბრძოლის ისტო-  
რია ყოფილა, ვინაიდან სტილის პრობლემა მას ფორმა-  
ლისტურად აქვს გაგებული.

ერთობაზე  
ცალკეული

2. ინტელიგენტურ-ესთეტიკური თეატრის მოპია-  
რულობა თუ მარჩისტული თეატრალური  
მეცნიერება?

გამოდის, რა ამხ. ამაღლობელი თეატრალურ ხელოვნე-  
ბის ფორმალისტურ გაგებიდან, ის თავის შერიც იმუშავებს  
შესაფერის „უპარტიო“-ესთეტიკურ თეატრის მოყვარულ  
ინტელიგენტის მიღვიმას. ერთ ადგილას ის მოითხოვს,  
რათა კრიტიკოსი არ მფარველობდეს ამა თუ იმ თანამგზა-  
ვრულ თეატრს მეორე რომელიმე თეატრის ხარჯზე, მა-  
გრამ ავტორი იმავე გვერდზე შენიშნავს, რომ „თითეულ  
ჩვენთაგანს აქვს უფლება“ „პიროვნული ესთეტიკური და  
ინდივიდუალური გემოვნება ქონდეს“. საკითხავია, რას  
მოგვცემს ამ „თითეული ჩვენთაგანის“ გემოვნების გამო-  
ყოფა და დაპირისპირება „არა თავისი“ გემოვნების მი-  
მართ, თუ არა მეცნიერებისა და თეატრის მოყვარულთა  
წერილ-ბურეუაზიულ პრაქტიკას?

მართლაც ამხ. ამაღლობელი მეცნიერული შეხედულე-  
ბების მაგივრად იძლევა სპექტაკლების ინდივიდუალურ  
შერჩევის მაგალითებს. ის როგორც ესთეტი-მოყვარული  
და ფორმალისტი ყველაზე უფრო კმაყოფილდება „სა-  
კვირველი თავისებური“ და „მხიარული დადგმებით“.

ამხ. ამაღლობელისთვის ყოველი ჩერისორი, რომელიც  
კი ძველი თეატრის ფარგლებში ნოვატორად გამოდის —

რევოლუციონერია. მაგალითად ამაღლობელის გაგების  
რევისორ მარჯანიშვილმა „საესებით მოაბრუნა“ თეა-  
ტრი. ჩვენ არ შევეხებით აქ მარჯანიშვილის უდაო დამ-  
სახურებას და ნიჭს. ჩვენი მიზანია მხოლოდ ამაღლობე-  
ლის მეთოდოლოგიის გამომულავნება. ისმება კითხვა: რო-  
გორ ესმის ავტორს თეატრალური რევოლუცია? ამაღ-  
ლობელს რევოლუციასა და ნოვატორობას შორის იყი-  
ვეობის ნიშანი აქვს დასმული; და ამის საფუძველზე მა-  
რჯანიშვილი როგორც რევისორი გამოცხადებულია  
სრულ რევოლუციონერადაც და ნოვატორადაც, იმ  
დროს როდესაც თვით ამაღლობელი სცნობს, რომ მარ-  
ჯანიშვილი რჩება ნოვატორად ძველი თეატრის ჩარჩოებ-  
ში. ამაღლობელმა და საერთოთ სხვა თანამგზავრული  
თეატრების არა მკბთხე მეცნატებმა უნდა იცოდნენ, რომ  
ნოვატორობა ძველი თეატრის საფუძველზე, როდესაც  
უკანასკნელი არ ქმნის პრინციპიალურად (კლასიზიზად)  
ახალ პროლეტარულ თეატრს — ნიშნავს მხოლოდ და  
მხოლოდ რეფორმას და არა რევოლუციას. ეს დებულება  
სწორია ყველა თანამგზავრისათვის, რა ვინდ ნიჭიერი და  
შემოქმედი არ იყოს ესა თუ ის რევისორი (ამ შემთხვევა-  
ში მარჯანიშვილი). ეს ასეა რადგან თანამგზავრი იმდენად  
რამდენადაც ის მხოლოდ თანამგზავრია, ჯერ ჯერობით  
ძველი თეატრის საფუძველზე სდგას. მარჯანიშვილი  
მიუხედავად იმისა, რომ ის სულ უფრო და უფრო გვიახ-  
ლოვდება პროლეტარული თეატრი მას არ შეუქმნია და  
ამიტომ ყველა ასეთ რევისორებს, რომლებიც თანამგზავ-  
რებათ გვევლინებიან სრულ რევოლუციონერებს ვერ ვუ-  
წოდებთ.

ამაღლობელი რევისორ მარჯანიშვილს აცხადებს სრულ  
რევოლუციონერად, იმ დროს, როდესაც სხვაგან შენი-

შნავს, რომ (გვ.91) მარჯვანიშვილის თეატრს ახასიათებდა „ფორმალური გადახრა“. შეიძლება ავტორს უნდოდა ეთქვა „ფორმალისტური განხრა“, მაგრამ რატოვიაც თვითონ თონაა ამით დაავადებული, ამიტომ მარჯვანიშვილის შემოქმედების წარსულში ასეთ გადახრას ვერ პოულობს. ამის შემდეგ გასაკვირი როდია თუ ამხ. ამაღლობელი თეატრალური მოვლენების კლასობრივ შეფასებას ყოველ ნაბიჯზე გაუჩინის. თეატრისა და მისი აუდიტორიის კლასობრივი შესწავლის მაგიერ ის ზოგიერთ ქართველ პოეტების დილეტანტურ ხმაურს იშველიებს „ანალიზის“ გასაღრმავებლად. „პოეტი ტიციან ტაბიძე სწერდა“. (70) „პოეტი შალვა აფხაძე სწერდა“... (71), „პოეტი პაულო იაშვილი ამბობდა“... ამგვარად ეყრდნობა რა იმას, რასაც დეკადენტი პოეტები თავიანთ ლირიული ლაყბობით თხზავდნენ, ამხ. ამაღლობელი განაგრძობს: „თეატრი ცდილობდა, სხვა და სხვა შემაღვენლობის მაყურებელთა მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა“. ვინ იყვნენ ეს მაყურებლები? პოეტი პაულო პლიუს ტიციან ტაბიძე, პლიუს კიდევ პაულო, და კიდევ ტიციანი — განა ესაა ქართული თეატრის საზოგადოებრივობა?! სადაა მეცნიერული კლასობრივი ანალიზი? ვისთვისაა საჭირო ასეთი „მაყურებლობის თამაში“.

ნუთუ ამხ. ამაღლობელს არ ესმის, რომ ორიენტაცია მაყურებელ საზოგადოებაზე სრულებითაც არ ნიშნავს დეკადენტ პოეტების (რომელთაც თეატრს რომ თავი დავანებოთ, სხვა საკითხშიაც ხეირიანი არასოდეს არაფერი უთქვამთ) კველაფერში დაუჯერო. წიგნი ამტკიცებს, რომ ავტორმა ლენინური მეთოდოლოგია ინტელიგენტურ ესთეტიკურ განწყობილებებს ანაცვალა და ამდაგვარად გზა გაუხსნა ყოველგვარ ანტიმარქსისტულ შეხედულებას

თეატრალური პრობლემების გაშუქების დარგში. ეკედან  
გამომდინარე ავტორმა დაივიწყა მარქსიზმისათვის ის  
ანბანური კეშმარიტება, რომ მარტო თეატრის კი ანუ ქმნის  
აუდიტორიას, არსებითათ განსაზღვრული კლასობრივი  
საზოგადოებრივობა ქმნის თეატრს. „კვრეტა პასიური  
ელემენტია, ამბობს ამაღლობელი, კვრეტა წარმოდგენის  
მხოლოდ ლოგიური დასასრულია. მისი ათვისებაა (11).  
თუ მაყურებელი პასიური მკვრეტელია, ამის შემდეგ გა-  
საგებია ქართული თეატრის ამაღლობელისებურ ისტო-  
რიაში რატომაა ეს ფაქტორი გარიყული და რატომ იქვთ  
დათმობილი მთელი ასპარეზი თეატრების გმირების თავ-  
გადასავალს. გმირი ქმნის თეატრს, უკანასკნელი მხოლოდ  
გენიალური პირების საქმეა. შესაბამისი საზოგადოებრიო-  
ბა კი მხოლოდ პასიური მაყურებელია. ჩვენ კი ვფიქ-  
რობთ, თუ ეს ასეა, მაშინ ლოგიურობა მოითხოვს თეა-  
ტრალურ შემოქმედების კრიტიკა და თეატრების ისტო-  
რია შეიცვალოს თეატრების გმირების ბიოგრაფიათ.

ჩვენ არ უარყოფთ საზოგადოებრივად სასარგებლო  
პირთა ბიოგრაფიის შედგენის საჭიროებას, მაგრამ ბიო-  
გრაფიებიც უნდა სდგებოდეს მეცნიერულად და არა ამა  
თუ იმ თეატრის მოყვარულის თვალთახედვით. მეორე  
მხრივ მეცნიერება თეატრალურ ხელოვნებაზე და კერ-  
ძოდ თეატრალური კრიტიკა არავის არა აქვს უფლება  
შესცვალოს ბიოგრაფიით. პარტიის წევრებს, რომელნიც  
მუშაობენ თეატრალური ხელოვნების დარგში, კუდში  
მაჩანჩალობის მაგივრად უნდა შეეძლოთ ბოლშევიკური  
ხელმძღვანელობის გაწევა თანამგზავრულ თეატრებზე.  
არავითარ შემთხვევაში არ შეიძლობა დაუშვათ პარტიის  
თეატრალური პოლიტიკის შეცვლა ამა თუ იმ თანამგზა-  
ვრული თეატრის, ან თანამგზავრი რეჟისორის პოლი-

**ტიკით.** არიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც გულდახმალ  
ცდილობენ თანამგზავრულ თეატრების „გარდაქმნას“  
მისდამი მაჩანჩალობის გზით, მაგრამ სამწუხაოთ პირი-  
ქით ხდება, თვითონ ეს ამხანაგები იქცევიან თანამგზავ-  
რებად და კარგავენ ბოლშევიკურ გამჭრიახობას (თუ კი  
იყენ როდისმე ასეთებად). ასეთი მეცენატობით თანა-  
მგზავრულ თეატრს ზედმეტი ტვირთი ემატება. ისინი  
თანამგზავრულ თეატრს კი არ შველიან მოკავშირედ გა-  
ხდომის საქმეში, არამედ ეზიდება უკან წარსულისაკენ,  
ვინაიდან მონურად უდასტურებენ ყოველგვარ შეცდო-  
მებსაც კი:

მარჯანიშვილის ანალოგიურ მაჩანჩალა კრიტიკოს  
წარმოადგენს ამს. ამალლობელი: „თუ კი მარჯანიშვილი  
პიესის გაცნობისას ისმენს გულცივად ეს ნიშნავს რომ  
მას არ მოსწონს იგი, თუ კი ისმენს სიხარულით“. (89).  
და ასე შემდეგ. ან: „კ. მარჯანიშვილმა პირველ მოქმე-  
დების დამთავრების შემდეგ ასწია პალტოს „ყელსახვევი  
და“. (89). კი მაგრამ ვთქვათ, რომ მარჯანიშვილს დაავი-  
წყდა პალტოს „ყელსახვევის აწევა“, რა დამოკიდებულე-  
ბა აქვს ასეთ წვრილმანებს თეატრალურ პრობლემების  
მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. მარჯანიშვილის თეა-  
ტრის წარსულის მოამბის როლში გამოსვლა ეს მეცნიერება  
კი არაა, არამედ ინტელიგენტური მეცენატობა. კიდევ  
შეტი: — ამალლობელის მხრივ ასეთი შინაურული მითქ-  
მა-მოთქმა მარქსისტული მეთოდოლოგიის მიტოვებას  
მოასწავებს. დრამატიული შემოქმედება კოტე მარჯანი-  
შვილის პალტოს ფოლაქების ნერვიულობიდან არ მო-  
მდინარეობს. ამალლობელს უნდა ესმოდეს, რომ თეატრის  
ყოველ დაღგმაში სოციალ - პოლიტიკური ცხოვრების  
ტალღა მძაფრად სცემს, რომელიც თავის მხრივ განსა-

ზღვრავს თეატრების ისტორიას და თეატრალური კრი-  
ტიკის განვითარების გზებს. ეს ძირითადი მსაზღვრავი  
ფაქტორი ავიწყდება ინტელიგენტურ ესთეტიკურობით  
და ავადებულ მკვლევარს და საპატიო როლის შესრულე-  
ბას ცდილობს ფოლაქებისა და ყელსახვევების ფსიქო-  
ლოგიური მდგომარეობის აღწერით. ეს მარქსისტული  
კრიტიკა კი არ არის, არამედ შინათეატრალური (при-  
театральное) ბიოგრაფიული შემოქმედება. და კრიტიკის  
ასეთ გაყალბებას ყოველნაირად უნდა ვებრძოლოთ, რო-  
მელი თეატრისა და რეჟისორის მიმართ არ უნდა იყენ-  
ის მიმართული.

### 3. იდეალისტური ინტეიტივიზმი

„ნამდვილი ტალანტები, სწერს ამაღლობელი, ყოველ-  
გვარი კანონების გარეშე მყოფ ფორმებს ჰქმნიან. ისინი  
შემოქმედებითი ზეშთაგონებით (вдохновение) ქმნიან  
ახალს უჩვეულოს და სხვადასხვანაირ დაღვმებს“ (81).

საქმე რა თქმა უნდა მხოლოდ იმაში კი არაა, რომ  
ამაღლობელი ხმარობს სიტყვას „ზეშთაგონებას“, არამედ  
იმაშია, რომ ამაღლობელი ინტუიციის წყალობით ხსნის  
თეატრის შემოქმედებით პროცესებს. მარჯანიშვილი, რო-  
გორც ბურეუაზიული დეკადენტი ერთ დროს უახლოვ-  
დებოდა პრინციპიალურ ეკლექტიზმს; ახდენდა რა სხვა-  
დასხვა თეატრული ფანრების აღრევას, ცდილობდა მოეცა  
წუთიერი და მახვილი ნერვების გამაღიზიანებელი ეფექ-  
ტური სცენები. აქედანვე გამომდინარე მან გამოიმუშავა  
უსისტემოების სისტემა, უპრინციპობის პრინციპი, რამაც

მარჯვანიშვილის თეატრი თავის დროზე მოამწყვდია თეატრალურ ოპერეტას საზღვრებში. ის სწორედ იმ ოპერეტულობას, ანარქიზმს და დეკადენტურ აუარდნილობას ამალლობელი ყოველგვარი თეატრალური შემოქმედების კანონად აქცევს. ავტორს მოყავს რა მარჯვანიშვილზე კრიკიცის შემდეგი შენიშვნა: „ეშმაკმა უწყის რაშია — ხაიდუმლოება. რაღაც ინტუიტიური მონაცემია“ (92) თავის მხრივ უმოწმებს და განავრძობს „ჩვენ უნდა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ უკულტურობისა და უკოდინარობის წინააღმდეგ, აღმოჩენებს (ყოველგვარს?) და ნოვატორობას (ყოველგვარს?) უნდა ვაფასებდეთ. ჩვენ უნდა მივესალმოთ და დავეხმაროთ ისეთ „უსისტემო რეჟისორებს“, რომელნიც აღმოჩენენ ახალ გზებს თეატრალურ ხელოვნებაში (82).

კი მაგრამ უსისტემობა (თუ გინდ ბრჭყალებში აღმული) რატომ უნდა გადავაქციოთ კანონად? იმიტომ, რომ ამალლობელის აზრით ყოველივე თეატრში უსისტემობიდან მოდის. ანდა ეგებ იმიტომ, რომ ამალლობელის შეფრეიირმა ოდესალაც ოპერეტულ ანარქიზმში გაითქვა სახელი. კი მაგრამ ეს მხატვრული შემოქმედების პროცესის ინტუიტივისტური მისტიკიკაციაა?!

(აქვე შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამალლობელის ზემოთ დახასიათებულ იდეალისტურ დებულებებიდან გამომდინარეობს ხელოვნების მხოლოდ ფხიხოლოგის გამოსახვის საშუალებათ აღიარება — გვ. გვ. 15 33).

## 4. სოციალ-ფედერალიზმის რეციდივის შესახებ

არა მარტინ და გიორგი გურიაშვილი

ძირითადი პოლიტიკური შეცდომები, რომლითაც სავსეა ამაღლობელის წიგნი ნაციონალისტურ ხასიათს ატარებენ. ის ბევრს ლაპარაკობს „ნაციონალურ ფსიქოლოგიის“ შესახებ. მოყავს რა ამ ცნების ათიოდე განმარტება ვუნტრიდან, ფულედან, ოტო ბაუერიდან (!), კულიკოვიდან (!!) და ასე შემდეგ, ამაღლობელი ამდენი „მარქსისტების“ ჩამოსახელების შემდეგ, სწივის, რომ მარქსიზმი არ იძლევა „ნაციონალურ ფსიქოლოგიის“ ცნების განმარტებას. აქ ამაღლობელი სავსებით მართალია! მარქსიზმი მართლაც არ იძლევა ნაციონალურ ზეკლასიურ ფსიქოლოგიის განსაზღვრას, როგორც ამაღლობელს სურს. არსებითად ზეკლასიურად ესმის ამაღლობელს შაგალითად ნაციონალური კოლორიტი მუსიკაში: „ბიზესა და ვაგნერს შორის არსებობს კოლოსალური განსხვავება ნაციონალურ კოლორიტის თვალსაზრისით. პირველში ჩვენ ვამჩნევთ ფრანგულ სიმსუბუქეს და გრაციას, მეორეში ვარმანულ სირთულეს და მონუმენტალობას. ასეთივე განსხვავება არსებობს ერთის მხრივ კორნელისა, რასინისა, და მეორე მხრივ შექსპირისა და მარლოს შორის. პირველში თავდაჭერილობა და შემარივებლობა და მეორეში სიღრმე და ტრაგიულობა. იგივე მოვლენები მეორდება მხატვრობაშიაც. რაფაელი — მიზიანი იტალია. დიურერი — სიდინჯე და მონუმენტალობა ვერმანისა“ (117 — 118). ბიზეს „სიმსუბუქისა და გრაციის ვაგნერის „მონუმენტალობის“, შექსპირის ტრაგიულობის და სხვა ასე შემდეგ მარტოოდენ ნაციონალური ბუნების ასსნა მარქსიზმის აშკარა ნაციონალისტური გაყალბებაა. „ამიტომ, განა-

ვრძობს ამაღლობელი, სინამდვილემ იცის გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, ქართული და არა მსოფლიო ან ევროპიული თეატრები“ (123); მაშასადამე ამაღლობელის თვალსაზრისით ჩვენ არ უნდა ვისტაროთ შემდეგი მცნებები: „დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული თეატრი“ ან: „აღმოსავლეთის ამ და ამ ეპიკის ფეოდალური თეატრი“. ამაღლობელი აქ ეწევა სახეკულიაციას იმ დებულებისას, რომ სხვადასხვა ქვეყნების თეატრები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საფეხურებთან შესაბამისად ატარებენ ნაციონალურ-სპეციფურ ფორმას. ავტორისათვის ნაციონალური ნიშნები გადაქცეული არიან რაღაც დამოუკიდებელ მოვლენად და თავის მხრივ აყვანილი არის მთავარ ფაქტორის ხარისხში. განა უველავერი ეს არ ნიშნავს დაბრუნებას ფედერალიზმის კაობისაკენ?“ განსაზღვრული ისტორიული ეპოქები, განავრძობს იგი, ავხებენ ნაციონალურ კულტურას განსაზღვრულ სოციალურ-კულტურულ შინაარსით“ (119). ინტერნაციონალური პროლეტარული შინაარსი დაქვეითებულია ისეთ რაღაცათ, რომელიც სხვას „ავსებს“ საღამოებითხა ავტორმა, თითქოს შინაარსი ავსებს რაღაც. მის მიღმა არსებულ ფორმას? ამაღლობელს შეეძლო წაეკითხა ენგელსის „ნატურდიალექტიკიდან“ საწინააღმდევო აზრი, საღაც ნათქვამია, რომ ფორმა არის შინაარსის გამოვლინების საშუალება.

მეტად დამახასიათებელია აგრეთვე შემდეგი სტრიქონები: „პროლეტარულ კულტურაში, ინტერნაციონალურ კულტურაში რჩება ნაციონალური ფორმა“ (121). აქ ფორმის მუდმივ კატეგორიათ გამოცხადებასთან გვაქვს საჭმე. ეს ნაციონალური ფორმა ყოველი კლასობრივი შინაარსისთვის ერთი და იგივე რჩება და „ივსება“ ამა თუ

მ კლასობრივი შინაარსით, ისე როგორც ჭურვები  
წყლით. აქ ავტორმა სტალინის ფორმულა სრულებით გა-  
აყალბა და მისი გაერა სოციალ-ფედერალიზმის პორტ  
ციებისაკენ გადაიყვანა.

ამაღლობელი სტალინის ფორმულის იმ ნაციონალის-  
ტურ გაყალბებათა ტალღის გავლენის ქვეშ არის, რომელ-  
მაც (ტალღამ) თითქმის ყველა რესპუბლიკებში ჩაიარა და  
რომელიც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სახე იყო.  
მაგალითიდ, ის წერს: „პროლეტარული კულტურა კლა-  
სობრივი შინაარსით და ნაციონალური ფორმით (122).  
ჯერ ისიც შეცდომა იყო, როდესაც. ამაღლობელმა სტა-  
ლინის „პროლეტარული შინაარსით“ შესცვალა „ინტერ-  
ნაციონალისტურით“. ვინაიდან ფორმალურად ინტერნა-  
ციონალიზმს მენშევიზმიც კი ებლაუჭება. მართალია ნამ-  
დვილი ინტერნაციონალისტობა მხოლოდ რევოლუციო-  
ნურ პროლეტარიატს შესწევს, მაგრამ საჭიროა ყოველ-  
თვის ინტერნაციონალიზმის პროლეტარულობისათვის ხა-  
ზის გასმა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სტალინს არ დაუ-  
პირდაპირებია „კლასობრივი შინაარსი“ და „ნაციონალუ-  
რი ფორმა“, როგორც ამას ამაღლობელი სჩადის. კლა-  
სობრივი შინაარსი ჯერ კიდევ არ ნიშნავს პროლეტა-  
რულს, ვინაიდან სხვა კლასებიც ავრცელებენ. მეორე და  
მთავარი კი ისაა, რომ თუ მხოლოდ შინაარსია კლასობ-  
რივი და ფორმა კი რაღაც სხვა, მაშინ ამაღლობელის  
ნაციონალურ ფორმას რაღაც ზექლასიური ხასიათი ეძლე-  
ვა, რაც ამაღლობელის წიგნის სხვა ნაწილებშიაც  
მეღავნდება (გავიხსენოთ ამაღლობელის მიერ ზემოთ ნა-  
თქვამი თითქოს ფორმა ისეთი რამაა, რაც „რჩება“ ძელი  
და რაც „ივსება“ ცვალებადი კლასობრივი შინაარსით).

5. ხუნდაძეშინა და აგალლობელი ან  
თეატრის ფედერალური ისტორია

ერთოვანი

ამას წინვედ გაზეთ „კომუნისტ“-მა სასტიკად გამოი-  
ტიკა ამბ. ხუნდაძის მიერ საქართველოს რევოლუციო-  
ნური მოძრაობის და ლიტერატურის ისტორიის ფედერა-  
ლისტური გაყალბება. ასეთივე ხუნდაძისებურ დამახინ-  
ჯებას მიმართავს ამაღლობელიც და ის, რაც ლიტერა-  
ტურის სფეროში „ხუნდაძევშჩინად“ უნდა იქნას მონათ-  
ლული, იმასვე ვხვდებით ჩვენ თეატრის სფეროში ამაღ-  
ლობელის სახით.

მაგალითად ამაღლობელი სწერს: „...კლასობრივი ზაფი  
გლეხობის და ქვეყნის ინტერესების დასაცავად და ასე  
შემდეგ — აი რომანტიულ-ნაციონალისტური პიესების  
თემები“ (150). ან და იქვე ისეთ აშეარა შოვინისტურ  
პიესებზე, როგორიცაა სუმბათაშვილის „ლალატი“ და  
სხვა ასეთები, იგი სწერს თითქოს ისინი „აღვივებდენ ნა-  
ციონალურ თვითშეგნებას და არ აკლდათ (ჩე ნევ) ნა-  
ციონალისტური ტენდენციებიც“ (48).

ამაღლობელი ბევრს ლაპარაკობს ბურჟუაზიულ-რე-  
ვოლიუციონურ თეატრზე, მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ-  
რევოლიუციონურ თეატრის არსებობა ისტორიულად ჯერ  
კიდევ გამოურკვეველია, ვინაიდან ჩვენში ხელოვნებია  
ფრონტზე უმრავლეს შემთხვევებში ბურჟუაზიული იხ-  
ტელიგენცია — ფეოდალურ ლიბერალებთან ხელი-ხელ  
ჩაკიდებული გამოდიოდა. ამ „ბლოკის“ მთავარი ცეცხლი  
მუშათა კლასისა და გლეხობის წინააღმდეგ იყო მიმარ-  
თლული და მისი რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ  
„ბრძოლა“ მხოლოდ ნაწილობრივ ოპოზიციონერობად  
და არა რევოლიუციონერობად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ

ამალლობელი იმდენად შორს მიღის, რომ ბურუუაზიულ  
თეატრს 1905 წლის რევოლიუციის იდეებს თავს ახვივს  
(52). მაგრამ ცნობილია, რომ იმპერიის „განაპირია“ ქვეყანა  
ნებში 1905 წლის ნაციონალისტებიც „იბრძოდენ“, რაოც  
არ ნიშნავს. მათ ცხრასხუთეულობას! ამალლობელი კი  
დევ უფრო მარჯვნივ იხევს და-აცხადებს, რომ 1905 წელს  
ბურუუაზიული თეატრი კულტურულ-განმანათლებელ  
ორგანიზაციებს შორის ყველაზე დიდ რევოლიუციონურ  
როლს ასრულებდათ (ნუ თუ რევოლიუციონურ პრესაზე  
და ლიტერატურაზე მეტს?).

აშენარაა თუ რატომ მაღავს ამალლობელი ბურუუა-  
ზიულ-ფეოდალური „ბლოკის“ კულტურის ექსპლატა-  
ტორულ ხასიათს; იგი ყოველთვის ჰუმანიური გულთბი-  
ლობით გაიძახის, რომ ეს კულტურა მჩაგვრელებს ებრძო-  
დათ (54). მაგრამ ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავს, რომ ეს  
კულტურა ბოლოს და ბოლოს თვით იყო მჩაგვრელთა  
კულტურა. ნუ თუ პარტიულ ამნანავ ამალლობელისა-  
თვის საკმარისია ამა თუ იმ მიმართულების ნაციონალის-  
ტობა, რომ ესა თუ ის თეატრი რევოლიუციონურად გა-  
მოცხადებულ იქნას!

ინ და რატომ მაღავს ამალლობელი იმ გარემოებას,  
რომ ბურუუაზიული თეატრი ფეოდალურ კულტურის  
ხარჯზე და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობ-  
და (49).

რატომ მაღავს იგივე ამალლობელი თეატრალურ  
ფრონტზე არსებულ კლასთა დიფერენციაციის და ბრძო-  
ლის? მაგალითად ის ლაპარაკობს სახალხო თეატრზე, მაგ-  
რამ ერიდება ამ თეატრის კლასობრივი შინაარსის გამო-  
რკვევას. მხოლოდ სხვათა შორის აღიარებს ამალლობელი  
ამ თეატრის გლეხურობას და ამასთანავე რამოდენიმეხელ

დასძენს, რომ ეს თეატრი ფეოდალური თეატრის „კვერცხით“ (33, 144) იყო და თურმე „ქართული თეატრის შეილიც“ ყოფილა (46) მაგრამ თუ ეს თეატრი გლეხურია, მაშინ ის ასე თუ ისე ბრძოლაში უნდა იყვნეს ფეოდალურ თეატრთან. სწორედ ამ ბრძოლას გვიმაღავს ამაღლობელი.

საბჭოთა თანამგზავრულ თეატრის განხილვის დროსაც ამაღლობელი არ ხედავს ამ კლასთა ბრძოლას. ის სხვათა შორის ამბობს, რომ მათ (მარჯვინიშვილს და ახმეტელს) ეხლა რევოლიუციონურ ჩეპერტუარზე ექვთ აღებული გეზი. განა ასე იყო ყოველთვის? ან და რა დიდი ბრძოლები დასჭირდა და ჯერ კიდევ სჭირია ჩვენ საზოგადოებრივობას ასეთი მობრუნების მოსახდენად? განა თეატრის ისტორიკოსს, ან კრიტიკოსს აქვს უფლება ამ ბრძოლებს გვერდი აუხვიოს, თუ ამაღლობელს არ სურს შეაფერადოს რევოლიუციის საღებავი ამა თუ იმ რეჟისორის წარსულით.

მაგრამ უველაზე პირში ვარდინილი ხუნდაძეებინა ამაღლობელისა იწყება იქ, სადაც ის მუშათა თეატრს ეხება. პირველი: ამაღლობელი სცნობს მუშათა თეატრის არსებობის მხოლოდ რევოლიუციამდე, გასაბჭოების შემდეგ კი თურმე მხოლოდ თანამგზავრული თეატრი არსებულა (16). მეორე: ამაღლობელი პირდაპირ ნახალურად დასკინის მუშათა თეატრს, როდესაც პირმოთხოვით აცხადებს მისი „სახელოვანი ისტორიის“ შესახებ და თვითონ კი სულ ორ-ნახევარ გვერდს უძღვნის ამ სახელოვან ისტორიას. არც ერთი დადგმის, მსახიობის მოღვაწის ან მიმართულების დახასიათება მუშათა თეატრის ისტორიდან, არც ერთი ფოტო-ილუსტრაცია დამატებებში.

გასაბჭოების შემდეგ პერიოდში არსებული სხვადასხვა  
 სტუდიები ბლობათ აქვს დახასიათებული ამაღლობელს  
 (თვით ყველაზე უნიჭო ფალავაც კი). ამასთანავე უკუ  
 ერთი სიტყვა თვითმომქმედ თეატრზე, რომლის არსებო  
 ბას ავტორი სტრიქონსა და სტრიქონს შორის სხვათა შო-  
 რის იხსენიებს. ან საღაა 1905 წლის პატარა, მაგრამ ჩვენი,  
 რევოლუციონური თვითმომქმედ თეატრების მუშაკები  
 (მაგალითად კობახიძე და სხვები?), ან ეგებ მათ იმით  
 დააშავეს, რომ შოვინისტები არ ყოფილან? ისინი მხატ-  
 ვრულად სუსტი იყვნენ? ისინი როგორც გასაბჭოების შემ-  
 დეგ არსებული პროლეტკულტის თეატრი ვერ გაიზარ-  
 დენ (რომელიც მხოლოდ იმით არის თურმე აღსანიშნავი,  
 რომ მასში ერთხელ მოგასტროლე წუწუნავამ კარგი და-  
 ფგმა გააკეთა?). მაგრამ მეცნიერებაც და კრიტიკაც იმის-  
 თვისაა საჭირო, რომ ავხსნათ ამ სისუსტის მიზეზები პრო-  
 ლეტარული თეატრის გზების გათვალისწინებისათვის.  
 ამაღლობელს კი მხოლოდ შემდეგი ხასიათის პრობლემები  
 აინტერესებს: „ქართული თეატრი, როგორც ნაციონალუ-  
 რი“ (ამ თემაზეა წიგნის მთავარი წერილი), მაშინ როდე-  
 საც ისეთი თემა, როგორიცაა პროლეტარული თეატრის  
 საკითხები, ამაღლობელს არ აინტერესებს. მკვლევარს  
 მხედველობიდან შეგნებულად ვამორჩა „ტრამი“ (მუშათა  
 ახალგაზრდობის თეატრი), მაშინ, როდესაც თეატრის ეს  
 ფორმა წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად საინტერესო სახეს;  
 პროლეტარული თეატრისას; რომელიც ჰქმნის გრანდიო-  
 ზულ მოძრაობას პროლეტარული-თეატრალური შემოქმე-  
 დების ფრონტზე.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამაღლობელის წიგნი ნა-  
 ციონალისტურ შეცდომათა მთელ რიგს შეიცავს, რომელ-  
 ბიც ყალიბდებიან გარკვეულ სისტემად. ეს შეცდომები

თავის დასაწყისს სოციალ-ფედერალიზმში იღებენ. მათ-  
ლობელს სწორედ ამ სოციალ-ფედერალიზმის ჩეკი-  
ცები აქვს. პარტიის შიგნით ასეთი შეცდომები წარმოად-  
გენენ ადგილობრივ ნაციონალისტურ გადახრას, ამაღლო-  
პელის შეცდომები მეთოდოლოგიური ხასიათისაცაა. ეს  
მეთოდოლოგია ფედერალისტური იდეალიზმისაკენ გვეზი-  
დება, (ამაღლობელი ეკლექტიური და იდეალისტური შე-  
ცდომების მატარებელიც არის).

სოციალ-ფედერალიზმს საქართველოში საკმაოდ ძლი-  
ერი ინტელიგენცია ჰყავდა. ამ სოციალ-ფედერალისტურ  
ინტელიგენციის თანამედროვე ჩეკიდივების გამოაშეარა-  
ვება არც ისე ადვილია, ვინაიდან სოციალ-ფედერალიზმი  
თავიდანვე „სოციალისტური“ ფრაზეოლოგიით შეფერა-  
დებული გამოდიოდა. მისთვის ვინც ნდობით ეპყრობოდა  
ფრაზებს ასეთი შეცდომების აღმოჩენა არც ისე ადვი-  
ლია დღეს.

მაგალითად ამხ. გ. მუშიშვილმა კარგი ჰქნა, რომ ჩე-  
ცენზით სასტიკად გააკრიტიკა ამაღლობელი, მაგრამ  
მიუხედავად ამ სისასტიკისა მან ობიექტიურად დაჰუარა  
ამაღლობელის შეცდომები. ის იღებს ერთ მეორე ხარის-  
ხოვან საკითხს ქართული თეატრის წარმოშობის დატის  
შესახებ და მხოლოდ ამ ერთ საკითხით ამტყუნებს ამაღ-  
ლობელს ნაციონალისტურ პოზიციების დაცვაში.

გამ. „კომუნისტი“-ს აუცილებელი დამსახურება იმა-  
შია, რომ მან გაილაშქრა ამაღლობელის შეცდომების წი-  
ნააღმდეგ, მაგრამ ამხ. მუშიშვილმა, როგორც ცენტრა-  
ლურ ორგანოში მოთავსებულ წერილის ავტორმა, შე-  
ჰქმნა ამაღლობელის კრიტიკის მინიმანისტური მასშტაბი.  
რამდენადაც ვერ დაინახა ამაღლობელის წიგნში მთავარი,  
სახელდობრ ფედერალიზმის ჩეკიდივები. ამით მან ამაღ-

ლობელი კრიტიკისაგან ობიექტიურად დაიფარა. მაგრა  
 შვილი კარგს შერება, როცა მენშევიზმის შეფერადებაში  
 აკრიტიკებს ამაღლობელს, ვინაიდან მენშევიცური და უკ-  
 დერალისტური ნაციონალიზმი — როგორც ამბობენ! უსა-  
 კე ძმებია". მაგრამ ფედერალიზმსა და მენშევიზმს შორის  
 არის განსხვავებაც, სპეციფიკა; და ამს. მუშიშვილმა  
 არამც თუ ეს სპეციფიკა დაივიწყა, არამედ სრულიად ვერ  
 (თუ არ?) შეამჩნია ამაღლობელის წიგნში ისეთი შეცდო-  
 მები, რახაც ფედერალიზმის რეცილივები უნდა ვუ-  
 წიდოთ. მუშიშვილს სხვაზე უფრო მახვილი თვალი უნდა  
 ჰქონოდა ფედარალისტურ შეცდომებზე, მით უფრო მა-  
 შინ, როდესაც ამ შეცდომებს ჩვენ მიუყევართ არ. ჯორ-  
 ჯაძის სოციალ-ფედერალისტურ ფანთეონში.



卷之三

卷之三